

# შრომითი დავალები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2020, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2020, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №5

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2020, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

### 1. თანამდებობაზე დანიშვნა

ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა  
ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით ..... 4  
სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხის მნიშვნელობა  
პირდაპირ (უშუალო) თანამდებობაზე აღდგენისათვის ..... 35

### 2. სახელფასო დავალიანება და კომპენსაცია

მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება ..... 84; 104; 118  
მიუღებელი ხელფასისა და  
კვების კომპენსაციის ანაზღაურება ..... 154; 161

### 3. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი

შსს თანამშრომლის კადრების განკარგულებაში გადაყვანისა და  
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება ..... 170

# 1. თანამდებობაზე დანიშვნა

## ჰაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით

### გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-1445(კ-18)

23 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 23 იანვარს მ. თ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი 2013 წლის აპრილიდან მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში. გამგეობაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, იგი დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის დროებით მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ქალაქ საგარეჯოს ადმინისტრაციულ ერთეულში. შესაბამისად, მოსარჩელეს აღნიშნული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მოუწია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება. მოსარჩელე მ. თ-მა განაცხადი შეიტანა იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელზედაც იგი უკვე დანიშნული იყო დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ამასთან, ჰქონდა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

მოსარჩელის მითითებით, მან წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი, კონკურსის მეორე – ტესტირების ეტაპზე აიღო 49 ქულა (მაქსიმალური ქულა – 60, მინიმალური ზღვარი – 31), ასევე,

წარმატებით გაიარა გასაუბრების ეტაპიც, ვინაიდან ყველა იმ კითხვას, რომლის ცოდნაც მას მოეთხოვებოდა მითითებული თანამდებობის დასაკავებლად, სწორად და ამომწურავად გასცა პასუხი. თუმცა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მისი კანდიდატად წამოყენება არ მომხდარა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოსარჩელემ კომისიის მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საპრეტენზიო კომისიაში, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელის განმარტებით, საბოლოოდ მან საკუთარ შრომით უფლებათა დასაცავად სიღნაღის რაიონულ სასამართლოს მიმართა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით ძალაში დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, დაკმაყოფილდა მ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრი, ბათილად იქნა ცნობილი კომისიის ოქმები და კომისიას გასაუბრების ეტაპის ხელახალი ჩატარების შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა. თუმცა მოსარჩელის მითითებით, 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების მ. თ-ს კვლავ უარი ეთქვა კანდიდატად წარდგენაზე. ფაქტობრივად, კომისიამ ძალაში დატოვა მის მიერ თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, სრულად არ გაითვალისწინა სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი გასაუბრების ეტაპის მიმდინარეობასა და აქტის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

ამდენად, მოსარჩელემ მ. თ-ის კანდიდატად წამოყენებაზე უარის თქმის ნაწილში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის №1-04/1 გადაწყვეტილებისა და იმ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომელზედაც მოსარჩელეს განაცხადი ჰქონდა შეტანილი. მოსარჩელემ, აგრეთვე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის ხელახალი გადაწყვეტილების მიღებით ვაკანტურ თანამდებობაზე მოსარჩელე მ. თ-ის წარდგენის, აგრეთვე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისათვის მისი შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 ოქმის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის №1-04 და №1-05 სხდომის ოქმების ბათილად ცნობა და მ. თ-ისათვის 2016 წლის 28 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღ-

სრულებამდე მატერიალური ზიანის სახით თვეში 970 ლარის ოდენობის ხელფასის განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა, რასაც მოსარჩელე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მისი ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენის შემთხვევაში მიიღებდა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 აპრილის №516 ბრძანებით მ. თ-ი 2013 წლის 1 აპრილიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობაზე ქ. საგარეჯოში და 2014 წლის 18 ივლისის №... ბრძანების საფუძველზე, 2014 წლის 3 ივლისს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 აგვისტოს №02 605 ბრძანებით მ. თ-ი დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის დროებით მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ქ. საგარეჯოს ადმინისტრაციულ ერთეულში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 მარტის №... ბრძანების საფუძველზე, აღნიშნული თანამდებობიდან 2015 წლის 26 მარტს გათავისუფლდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 18 ნოემბერს მიიღო №54 დადგენილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 4 დეკემბერს მიიღო №65 დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2015 წლის 6 ივლისის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული №14/1838 ცნობიდან დგინდება, რომ მ. თ-მა 2014 წლის 27 დეკემბერს სსიპ საქართველოს იუსტიციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო გამოცდაზე მიიღო 49 (ორმოცდაცხრა) ქულა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 მარტის №7 და 2015 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებები, მოსარჩელე მ. თ-ის ნაწილში

ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრეტენ-  
ზიო კომისიის 2015 წლის 17 მარტის №1 გადაწყვეტილება; ბათი-  
ლად იქნა ცნობილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015  
წლის 11 მარტის №3 სხდომის ოქმი, საპრეტენზიო კომისიის 2015  
წლის 17 მარტის №1 სხდომის ოქმი და საკონკურსო-საატესტაციო  
კომისიის 2015 წლის 18 მარტის №4 სხდომის ოქმი და კონკურსის  
მესამე ეტაპის გასაუბრების შედეგები მოსარჩელე მ. თ-ის ნაწილ-  
ში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-სა-  
ატესტაციო კომისიას გასაუბრების ეტაპის ხელახალი ჩატარება  
და ახალი გადაწყვეტილების მიღება (კანონით დადგენილ ვადაში)  
დაევალა, რომელზედაც მოსარჩელეს შეტანილი ჰქონდა განაცხა-  
დი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ადმინისტრაციულ ერ-  
თეულში ქ. საგარეჯოში; ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი ზ. ფ-ის  
თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტე-  
ტის გამგებლის 2015 წლის 26 მარტის №02 134 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის გან-  
ჩინებით უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს  
2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილ-  
ში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის  
განჩინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო  
საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნი-  
სის განჩინებაზე დატოვებული იქნა განუხილველად.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საგარე-  
ჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მო-  
ხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ 2016 წლის 9  
დეკემბერს გამართულ სხდომაზე 2015 წლის 22 ოქტომბრის სიღ-  
ნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე  
მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „საგარეჯოს მუნიციპალი-  
ტეტის ...ის ...ი ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. საგარეჯოში“ – ვა-  
კანტურ თანამდებობაზე, 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადებუ-  
ლიყო კონკურსის მესამე ეტაპი და გასაუბრების ჩატარების თარი-  
ლად განისაზღვრა 2016 წლის 21 დეკემბერი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართვე-  
ლობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდო-  
მარის 2016 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა ადმინის-  
ტრაციულ ერთეულში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ვა-  
კანტურ თანამდებობაზე გასაუბრების კითხვარი.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ  
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქ. საგარეჯოში ვაკანტურ  
თანამდებობაზე 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადებული ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის ხელახალი გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველი 2016 წლის 21 დეკემბრის №1-02 ოქმიდან, ასევე კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასების ფორმიებიდან და პერსონალის შეფასების ფორმიდან დგინდება, რომ მ. თ-მა მიიღო საშუალო შეფასება – 63.75 ქულა. ხოლო მეორე კანდიდატმა, ზ. ფ-მა, საშუალო შეფასება – 65 ქულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქალაქ საგარეჯოში – ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი ეყარა გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებულ ორ კონკურსანტს, კენჭისყრის შედეგად წარდგენილი კონკურსანტები შეფასებულ იქნენ ქულათა დაბალი მაჩვენებლით და კომისიის მიერ კონკურსანტები მიჩნეულ იქნენ სუსტ კანდიდატებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კონკურსანტებიდან ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო თანამდებობაზე წარდგენისთვის ხმათა საჭირო რაოდენობა, შესაბამისად, კომისიამ მათი ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რის გამოც ქალაქ საგარეჯოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატის არარსებობის გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. თ-ს უარი ეთქვა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქალაქ საგარეჯოში – ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2016 წლის 26 დეკემბერს მ. თ-მა განცხადებით მიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი თვითმმართველობის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის მესამე ეტაპის (გასაუბრება) შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის წერილიდან დგინდება, რომ კომისიის მიერ შესწავლილ იქნა მ. თ-ის განცხადება ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით, მასალები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაგზავნილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართვე-



ლობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 სხდომის ოქმიდან დგინდება რომ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-15 მუხლისა და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის-ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №54 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, კომისიის მიერ მოქალაქე მ. თ-ის განცხადების დეტალურად შესწავლის შედეგად გამოიკვია, რომ დადგენილი პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია დარღვეული არ ყოფილა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით დგინდება, რომ არ იქნა გაზიარებული მოქალაქე მ. თ-ის განცხადებაში დაყენებული პრეტენზია, რადგან საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსის ჩატარებისთვის დადგენილი პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია დარღვეული არ ყოფილა.

რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალებით დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით კონკურსი გამოცხადდა ვაკანტურ თანამდებობაზე, მათ შორის, დანართი №1-ის მიხედვით, ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში.

2017 წლის 7 ივნისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის №1 ოქმიდან დგინდება, რომ ნაწილი კანდიდატების დაშვებულ იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2017 წლის 22 მაისს გამოცხადებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველი 2017 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმის ამონაწერიდან დგინდება, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში – გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო კონკურსანტიმა ი. მ-მა. პერსონალური შეფასების ფორმიდან დგინდება, რომ კონკურსანტიმა – ი. მ-მა მიიღო შეფასება – 83.3 ქულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის

12 ივენისის გადაწყვეტილებით ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში – თანამდებობაზე წარდგენილ იქნა კანდიდატი ი. მ.-ი.

ამასთან, დადგენილია, რომ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც ვაკანტურ თანამდებობას წარმოადგენდა ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში, მოსარჩელე მ. თ-ს გასაუბრებაზე მონაწილეობა არ მიუღია.

მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდგომ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. თ-ი გასაუბრებაზე შევიდა 2016 წლის 21 დეკემბერს 16 საათზე, შესაბამისად, საქმეზე წარმოდგენილი 2016 წლის 21 დეკემბრის გასაუბრების მიმდინარეობის №1-02 სხდომის ოქმზე ტექნიკური შეცდომით იყო ასახული სხდომის დაწყების დრო, სადაც მითითებულია 11 საათი, ამდენად, სასამართლომ, აგრეთვე, მიიჩნია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის №1-03 სხდომის ოქმზე სხდომის დაწყების დრო – 15 საათი მითითებული იყო ტექნიკური შეცდომით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაუბრების მიმდინარეობა აისახა 2016 წლის 21 დეკემბრის №1-02 სხდომის ოქმში, სადაც დეტალურად იყო აღწერილი გასაუბრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, დასმული შეკითხვები და პასუხები, რომლის შინაარსიც დაადასტურა თავად მოსარჩელე მხარემაც.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, ვინაიდან დავა შეეხებოდა კონკურსის მესამე ეტაპის გასაუბრების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, გასაუბრების შედეგად კანდიდატის შეფასება შეიძლებოდა ჩათვლილიყო საკმაოდ სუბიექტურად, ვინაიდან ის ეფუძნებოდა შემფასებლის პირად შეფასებას და შეხედულებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა იყენებდეს წინასწარ შემუშავებულ კითხვარს, რომელსაც თან უნდა ახლდეს შეფასების მეთოდი, რაც უზრუნველყოფს გასაუბრების პროცედურის გამჭვირვალობას, საჯაროობას, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას და უნდა წარმოებდეს სხდომის ოქმი, რათა მოხდეს გასაუბრების მიმდინარეობის რეალური ასახვა. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან წარმოდგენილ იქნა კანდიდატების შეფასების ფორმები და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა ადმინისტრაციულ ერთეულში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე გასაუბრების კითხვარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი

ეყარა გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებულ ორ კონკურსანტს. გასაუბრებაზე კანდიდატთა მიერ გაცემული პასუხების შესაბამისად, კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ისინი შეფასებულ იქნენ ქულათა დაბალი მაჩვენებლით, შესაბამისად, კომისიის მიერ კონკურსანტები მიჩნეულ იქნენ სუსტ კანდიდატებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კონკურსანტებიდან ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო თანამდებობაზე წარდგენისთვის ხმათა საჭირო რაოდენობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიას ჰქონდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, ვინაიდან კომისიის წევრების მიერ ქულების დაწერით სწორედ მათი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა კონკურსანტის შეფასება. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაუბრების ჩატარებისას კანონით დადგენილი პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია დარღვეული არ ყოფილა და, თავის მხრივ, მოსარჩელე მ. თ.-ს კვლავ მიეცემოდა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა ახალ კონკურსზე.

სასამართლომ მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით ღიად დარჩენილ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა კონკურსი. გასაუბრებაზე მ. თ.-ს არ მიუღია მონაწილეობა, რითიც მოსარჩელემ თავად განაცხადა უარი კონკურსში მონაწილეობაზე, კონკურსში გამარჯვებულად კი გამოცხადდა ი. მ.-ი.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ.-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. თ.-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. თ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის №1-04/1 გადაწყვეტილება მოსარჩელე მ. თ.-ის კანდიდატად წარდგენაზე უარის თქმის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი კონკურსის შედეგები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელზედაც მ. თ.-ს შეტანილი ჰქონდა განაცხადი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას ხელახალი გადაწყვეტილების მიღებით ვაკანტურ თანამდებობაზე მ. თ.-ის წარდგენა

დაევალა; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას მ. თ-ის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 ოქმი; მ. თ-ს აუნაზღაურდა მატერიალური ზიანი, კერძოდ, 2016 წლის 28 დეკემბრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, სამსახურიდან განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისთვის განკუთვნილი თანხა, შესაბამისი პერიოდების მიხედვით ანაზღაურების ოდენობის ცვლილების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ სადავოდ გამხდარ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდიდა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ მ. თ-ს მონაწილეობა არ მიუღია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებას, რომელმაც დაადასტურა, რომ მოსარჩელე კონკურსზე გამოცხადდა, თუმცა აუდიო-ვიდეო ჩანაწერის არარსებობის გამო უარი თქვა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკურსანტის მიზანს წარმოადგენდა გამჭვირვალე და საჯარო გასაუბრების ჩატარება, სადაც რეალურად აისახებოდა გასაუბრების მიმდინარეობა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუთითებია იმ დამაბრკოლებელ გარემოებაზე, რაც შეუძლებელს გახდიდა გასაუბრების, სულ მცირე, აუდიო ჩანაწერის განხორციელებას, თუმცა სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აუდიო/ვიდეო ჩანაწერის წარმოების პირობებშიც კი, მ. თ-ის მიერ კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმა გავლენას ვერ იქონიებდა განსახილველ დავაზე, მის იურიდიულ ინტერესზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო აქტები გამოცემული იყო კანონდარღვევით გამართული კონკურსის საფუძველზე, რის გამოც ითხოვდა სწორედ აღნიშნული კონკურსის საფუძველზე გამოცემული აქტების გაუქმებას და თანამდებობაზე წარდგენას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე მ. თ-ის მიერ უარის გაცხადება (მიზეზის მიუხედავად) არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას არ წარმოადგენდა განსახილველი დავისთვის.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი ასევე, სადავოდ ხდიდა სასამართლოს მიერ დადგე-

ნილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ 2016 წლის 21 დეკემბრის №1-02 სხდომის ოქმში დეტალურად იყო აღწერილი გასაუბრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, დასმული კითხვები და პასუხები, რომლის შინაარსიც დაადასტურა მოსარჩელემ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი მოცემული გარემოება, რადგან განსახილველ საქმეზე მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სხდომის ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს, კითხვა-პასუხს, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვერ უზრუნველყოფდა სხდომის ოქმის უტყუარობის დადასტურებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკურსის გამჭვირვალობა გულისხმობდა მის შემადგენელ ნაწილებზე კონტროლის სრულ შესაძლებლობას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი კონკურსის ერთ-ერთი კომპონენტის – გასაუბრების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი იყო აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერის განხორციელება. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეპოქაში ადმინისტრაციული ორგანო არ იყო შეზღუდული შესაძლებლობით, გამოეყენებინა აღნიშნული მექანიზმი. გასაუბრების სხდომის ოქმის წერილობითი ფორმით წარმოება ვერ მიაწვდებდა ოქმს მაღალი საინფორმაციო სტატუსს. იმ პირობებში, როდესაც კონკურსის ადმინისტრაციული ორგანო ვერ უზრუნველყოფდა სხდომის ოქმს და ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებდა მის უტყუარობას სხვა რაიმე მტკიცებულებით, სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა იგი სარწმუნო მტკიცებულებად და არ გაიზიარა იგი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განმეორებით ჩატარებულ გასაუბრების ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანო შეეცადა დაეცვა პროცედურული საკითხები: შეადგინა სხდომის ოქმი, დაამტკიცა წინასწარ შექმნილი კითხვარი და შეფასების ფორმა, თუმცა მაინც ვერ უზრუნველყო გამჭვირვალე, საჯარო და ობიექტური კონკურსის ჩატარება. გატარებული ღონისძიებებით სააპელაციო პალატას შეექმნა იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს წარმოადგენდა იმგვარად ეთქვა უარი მ. თისათვის, რომ პროცედურულ საკითხთა დარღვევას ადგილი აღარ ჰქონოდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკურსისთვის კანონით დადგენილი რეგულაციები, მათ შორის პროცედურული საკითხებიც, განსაზღვრულია იმ მიზნით, რომ მოხდეს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, არადისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღება. საჯარო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარება და კანდიდატის გამოვლენა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ საჯარო ინტერესს – გამოვლინდეს ვაკანტური თანამდებობისათვის ყვე-

ლაზე უფრო მისაღები, კანდიდატთაგან მაღალი შედეგის მქონე პირი. ამასთან, კომისიის ყოველი ქმედება, რაც გავლენას ახდენს საბოლოო შედეგის ფორმირებაზე, უნდა იყოს დასაბუთებული, რათა, ერთი მხრივ, გასაგები იყოს კონკურსანტისთვის, თუ რატომ იქნა მის მიმართ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება, რატომ შეაფასეს იგი ამა თუ იმ ქულით, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კონტროლის განხორციელება, აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კომისიის წევრთაგან მ. თ-ი შეფასდა 60-65 ქულებით, თუმცა არც ერთი კომისიის წევრთაგან არ ყოფილა დასაბუთებული, თუ რატომ დაუნერა კონკურსანტს კონკრეტული ქულა. დაგროვებულ ქულათა ოდენობა გახდა კონკურსანტისთვის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენაზე უარის თქმის საფუძველი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება, რაც საფუძველად დაედო საბოლოო შედეგს, მოცემულ შემთხვევაში, არ ყოფილა დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არც კონკურსანტისთვის იყო აღქმადი მიღებული გადაწყვეტილების მოტივები და ვერც სასამართლო უზრუნველყოფდა აღნიშნულის დადგენას. მითითებული გარემოებები დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების წინაპირობას ქმნიდა, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტში მოდიოდა სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან.

სააპელაციო პალატამ ასევე, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მ. თ-ის მიერ მოპოვებული ქულა – 63.75, კომისიამ მიიჩნია არასაკმარის რაოდენობად დადებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი აქტებით, არსად არ არის განსაზღვრული, ქულათა რა ოდენობა წარმოადგენს გასაუბრების ეტაპის წარმატებით დაძლევის წინაპირობას, არ არის დადგენილი ზღვარი, რომლის გადალახვაც გახდებოდა დადებითი შედეგის საფუძველი. აღნიშნულ პირობებში კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითება მასზედ, რომ 63.75 ქულა არ წარმოადგენდა საკმარის ქულათა რაოდენობას კონკურსანტის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით წარსადგენად, მოკლებული იყო ლოგიკურ მსჯელობას და წარმოადგენდა დაუსაბუთებელ პოზიციას. სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ სადავო გადაწყვეტილებები მიღებული იყო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა აღნიშნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარ-

გლებში გადანყვეტილების მიღება არ ნიშნავს თვითნებურ გადანყვეტილებათა მიღების უფლებას. აღნიშნული უფლებამოსილება კიდევ უფრო მეტად აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას, რადგან რამდენიმე შესაძლო გადანყვეტილებიდან მიღებულ უნდა იქნეს ყველაზე უფრო ადეკვატური, თანაზომიერი, საჯარო და კერძო ინტერესთა გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა იმ მიზნით, რომ კონკურსის შედეგები მ. თ-ისთვის არ ყოფილიყო დადებითი. კომისიის მოქმედება იყო სუბიექტური, რაც შედეგობრივად კანონიერი გადანყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდიდა. კომისიას არ გააჩნდა ნამდვილი ნება, ჩაეტარებინა კანონშესაბამისი კონკურსი და ობიექტურ საწყისებზე მიეღო გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. თ-ის მიმართ მიღებული გადანყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და გაუმართლებლად ზღუდავდა მის კონსტიტუციით დაცულ შრომის უფლებას, რაც სასამართლო კონტროლის მეშვეობით უნდა აღმოფხვრილიყო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სადავო აქტები, კონკურსის შედეგები და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას ხელახალი გადანყვეტილების მიღებით ვაკანტურ თანამდებობაზე მ. თ-ის წარდგენა, ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას კი მოსარჩელის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა დავალეობოდა.

სააპელაციო პალატამ აპელანტის მოთხოვნაზე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის 408-ე, 409-ე და 411-ე მუხლებზე და განმარტა, რომ შრომითი გასამრჯელოს იძულებით განაცდური წარმოადგენს ზიანის ერთ-ერთ სახეს, რომლის ანაზღაურებაც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებით. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კი სახეზე უნდა იყოს ზიანი, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობს მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებით ზიანის მიყენების საკითხის განხილვისას, ასევე, უნდა დადგინდეს, რომ ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, გამომდინარეობდა მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომლითაც მოსარჩელეს უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად ეთქვა უარი ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ქმედების გამო მოსარჩელემ ვერ მიიღო ის სარგო, რაც გათვალისწინებული იყო ვაკანტური თანამდებობისთვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განვლილ პერიოდზე მას თანამდებობრივი სარგოს ოდენობით მიადგა მატერიალური ზიანი, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაკისრებოდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებით განხორციელდა თანამდებობრივი სარგოს ცვლილება, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც მხარემ წარადგინა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საკაცო წესით გაასაჩივრეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №204 დადგენილების 21-ე მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩანერა, რაც, კასატორების მოსაზრებით, არ გულისხმობს კომისიის კანონისმიერ ვალდებულებას აუდიო ან ვიდეო ჩანერის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებასა და ასევე სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინებაში ასახული მითითებები მიმართული იყო წინასწარ შემუშავებული და დადგენილი კრიტერიუმების აუცილებლობასა და სხდომის ოქმის წარმოების ვალდებულებაზე.

კასატორები ყოვლად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმ გარემოებაზე, თითქოს საკონკურსო კომისია მოქმედებდა იმ მიზნით, რომ კონკურსის შედეგები მ. თ-ისათვის არ ყოფილიყო დადებითი, რომ კომისიის მოქმედება იყო სუბიექტური, რაც შედეგობრივად კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდიდა. კასატორ-



თა მოსაზრებით, სააპელაციო პალატა, აგრეთვე, უსაფუძვლოდ მიუთითებს, რომ კომისიას არ გააჩნდა ნამდვილი ნება, ჩაეტარებინა კანონშესაბამისი კონკურსი და ობიექტურ საწყისებზე მიეღო გადაწყვეტილება. კასატორები მიუთითებენ, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს, ვინაიდან საქმეში არ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მ. თ-ის მიმართ კომისიის მიზანმიმართულ მოქმედებას დაადასტურებდა. კასატორების განმარტებით, კონკურსანტის მიმართ კომისიის მხრიდან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც ორჯერ, არ ნიშნავს იმას, რომ კომისია მოქმედებდა სუბიექტურად.

კასატორთა აღნიშვნით, კომისია კონკურსის ჩატარებისას მოქმედებდა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული დავალების ფარგლებში, მისი აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით. გასაუბრების ჩატარებისას პროცედურულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რასაც თავის გადაწყვეტილებაში ეთანხმება სააპელაციო სასამართლოც, ხოლო სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, ან საქმეზე არსებული გარემოება, რომელიც დაადასტურებდა კანონშესაბამისი კონკურსის ობიექტურად ჩატარების მიმართ კომისიის ნამდვილი ნების არარსებობას, საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კომისიის ნამდვილი ნების არარსებობის თაობაზე გაურკვეველი და დაუსაბუთებელია. კასატორები, აგრეთვე, მიუთითებენ, რომ გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველ სხდომის ოქმში კონკურსანტის მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების შესაბამისი/ადეკვატურია კომისიის მიერ დაწერილ ქულათა ჯამი, სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებაა სასამართლოსეული მსჯელობის და კომისიის მიერ კონკურსანტის მიმართ ობიექტურად მიღებული გადაწყვეტილების განსაზღვრის კრიტერიუმი, რაზედაც კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.

ამასთან, კასატორთა განმარტებით, კომისიის მიერ დამტკიცებული კონკურსანტის ინდივიდუალური შეფასების ფორმა განსაზღვრავს „პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების“ სამ კატეგორიას: სუსტი – 50 ქულამდე, საშუალო 50-დან 75 ქულამდე და ძლიერი – 75-დან 100 ქულამდე. დასმულ კითხვებზე კონკურსანტის პასუხების მიღების შემდეგ, თითოეული კომისიის წევრის მიერ ხდება შესაბამის კატეგორიაში შესაბამისი ქულის მითითება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება, თუ რამდენი ქულით შეაფასა კომისიის თითოეულმა წევრმა ესა თუ ის კანდიდატი. კომისიის წევრების მიერ კატეგორიებში მითითებული ქულების საშუალებით ნათ-

ლად ჩანს კომისიის წევრის შეფასება და აღნიშნული არ საჭიროებს კომისიის მხრიდან დამატებითი დასაბუთების წარმოდგენას. კონკურსის ჩატარება გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენას ემსახურება, სუსტი კანდიდატის დასანიშნად წარდგენა კომისიის ინტერესებში არ შედის. მოცემულ ვითარებაში, კონკურსანტების – მ. თ-ისა და ზ. ფ-ის მიერ გავლილი კონკურსის ეტაპების შედეგების მხედველობაში მიღებით, აღნიშნული შედეგების ურთიერთშედარებისა და შეჯერების საფუძველზე, კომისიამ მიიჩნია, რომ მიღებული შედეგები არ ქმნიდა არც ერთი კონკურსანტის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის საკმარის საფუძველს.

კასატორთა მითითებით, გასაჩივრებული კონკურსის გასაუბრების ეტაპის ჩატარების შემდგომ, სადავო ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარდა კიდევ ორი კონკურსი, 2017 წლის 19 მაისს და 2018 წლის 13 თებერვალს. აღნიშნულ კონკურსებში მ. თ-მა მონაწილეობა მიიღო გასაუბრების ეტაპებამდე, თუმცა გასაუბრების სტადია მას არ გაუვლია. 2018 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით, ხსენებულ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნა, ხოლო 2018 წლის 28 მაისს დანიშნულ იქნა ი. მ-ი, რომელიც, კასატორთა მითითებით, აღნიშნულ თანამდებობას დღემდე ლეგიტიმურად იკავებს. კასატორები, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ მითითებული კონკურსის შედეგები მოსარჩელის მხრიდან გასაჩივრებული არ ყოფილა. ამდენად, მოცემული მდგომარეობით, ქალაქ საგარეჯოში ...ის ...ის პოზიცია ვაკანტური არ არის.

კასატორები მიუთითებენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტავენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5-მე-6 პუნქტების მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დევალა მ. თ-ის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენა, თუმცა რომელ ვაკანტურ თანამდებობაზე, გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის განჩინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო წაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. თ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 აპრილის №516 ბრძანებით მ. თ-ი 2013 წლის 1 აპრილიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობაზე ქ. საგარეჯოში და 2014 წლის 18 ივლისის №... ბრძანების საფუძველზე, 2014 წლის 3 ივლისს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 აგვისტოს №02 605 ბრძანებით მ. თ-ი დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის დროებით მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ქ. საგარეჯოს ადმინისტრაციულ ერთეულში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 მარტის №... ბრძანების საფუძველზე, აღნიშნული თანამდებობიდან 2015 წლის 26 მარტს გათავისუფლდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 18 ნოემბერს მიიღო №54 დადგენილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 4 დეკემბერს მიიღო №65 დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2015 წლის 6 ივლისის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული №14/1838 ცნობიდან დგინდება, რომ მ. თ-მა 2014 წლის 27 დეკემბერს სსიპ საქართველოს იუსტიციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო გამოცდაზე მიიღო 49 (ორმოც-

დაცხრა) ქულა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 მარტის №7 და 2015 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებები, მოსარჩელე მ. თ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 17 მარტის №1 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 მარტის №3 სხდომის ოქმი, საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 17 მარტის №1 სხდომის ოქმი და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 18 მარტის №4 სხდომის ოქმი და კონკურსის მესამე ეტაპის გასაუბრების შედეგები მოსარჩელე მ. თ-ის ნაწილში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას გასაუბრების ეტაპის ხელახალი ჩატარება და ახალი გადაწყვეტილების მიღება (კანონით დადგენილ ვადაში) დაევალა, რომელზედაც მოსარჩელეს შეტანილი ჰქონდა განაცხადი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. საგარეჯოში; ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი ზ. ფ-ის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 26 მარტის №02 134 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინებაზე დატოვებული იქნა განუხილველად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ 2016 წლის 9 დეკემბერს გამართულ სხდომაზე 2015 წლის 22 ოქტომბრის სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. საგარეჯოში“ – ვაკანტურ თანამდებობაზე, 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადებულიყო კონკურსის მესამე ეტაპი და გასაუბრების ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 21 დეკემბერი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა ადმინის-

ტრაციულ ერთეულში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე გასაუბრების კითხვარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქ. საგარეჯოში ვაკანტურ თანამდებობაზე 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის ხელახალი გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველი 2016 წლის 21 დეკემბრის №1-02 ოქმიდან, ასევე კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასების ფორმებიდან და პერსონალის შეფასების ფორმიდან დგინდება, რომ მ. თ-მა მიიღო საშუალო შეფასება – 63.75 ქულა. ხოლო მეორე კანდიდატმა, ზ. ფ-მა, საშუალო შეფასება – 65 ქულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქალაქ საგარეჯოში – ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი ეყარა გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებულ ორ კონკურსანტს, კენჭისყრის შედეგად წარდგენილი კონკურსანტები შეფასებულ იქნენ ქულათა დაბალი მაჩვენებლით და კომისიის მიერ კონკურსანტები მიჩნეულ იქნენ სუსტ კანდიდატებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კონკურსანტებიდან ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო თანამდებობაზე წარდგენისთვის ხმათა საჭირო რაოდენობა, შესაბამისად, კომისიამ მათი ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რის გამოც ქალაქ საგარეჯოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატის არარსებობის გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. თ-ს უარი ეთქვა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის ქალაქ საგარეჯოში – ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე.

2016 წლის 26 დეკემბერს მ. თ-მა განცხადებით მიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი თვითმმართველობის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის მესამე ეტაპის (გასაუბრება) შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემ-

ბრის წერილიდან დგინდება, რომ კომისიის მიერ შესწავლილ იქნა მ. თ-ის განცხადება ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით, მასალები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაგზავნილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-15 მუხლისა და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის-ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №54 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, კომისიის მიერ მოქალაქე მ. თ-ის განცხადების დეტალურად შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ დადგენილი პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია დარღვეული არ ყოფილა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით დგინდება, რომ არ იქნა გაზიარებული მოქალაქე მ. თ-ის განცხადებაში დაყენებული პრეტენზია, რადგან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსის ჩატარებისთვის დადგენილი პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია დარღვეული არ ყოფილა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით კონკურსი გამოცხადდა ვაკანტურ თანამდებობაზე, მათ შორის, დანართი №1-ის მიხედვით, ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში.

2017 წლის 7 ივნისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის №1 ოქმიდან დგინდება, რომ ნაწილი კანდიდატების დაშვებულ იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2017 წლის 22 მაისს გამოცხადებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველი 2017 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმის ამონაწერიდან დგინდება, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში – გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო კონკურსანტი მ. მ-მა. პერსონალური შეფასების ფორმიდან დგინდება, რომ კონ-

კურსანტმა – ი. მ-მა მიიღო შეფასება – 83.3 ქულა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში – თანამდებობაზე წარდგენილ იქნა კანდიდატი ი. მ-ი.

ამასთან, დადგენილია, რომ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც ვაკანტურ თანამდებობას წარმოადგენდა ...ის ...ი ქალაქ საგარეჯოში, მოსარჩელე მ. თ-ს გასაუბრებაზე მონაწილეობა არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ამჟამად მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კან-

დელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კეველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელო-



ბის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაცი-აზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფნა, მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზ-

მების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმინევიანი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

საკასაციო პალატა უპირველესად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში, 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე მ. თ-ის მიერ უარის გაცხადება (მიზეზის მიუხედავად) არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას არ წარმოადგენს, რამდენადაც აუდიო/ვიდეო ჩანაწერის წარმოების პირობებშიც კი, მ. თ-ის მიერ კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმა გავლენას ვერ იქონიებდა განსახილველი დავის შედეგზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მიერ განსახილველი დავის ფარგლებში სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებებს და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ წინააღმდეგობაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების საფუძველზე განსახილველი დავის ამგვარი გადაწყვეტის შედეგად წარმოიქმნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატა არასარწმუნოდ მიიჩნევს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველ მხოლოდ წერილობითი ფორმით ნაწარმოებ სხდომის ოქმში ასახულ ინფორმაციას და განმარტავს, რომ კომისიის მიერ სხდომის მიმდინარეობის აუდიო ან ვიდეო საშუალებებით წარმოების განუხორციელებლობამ სასამართლოს შეუქმნა ფაქტობრივი შეუძლებლობა წერილობით სხდომის ოქმში ასახული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის გადამოწმებისა. ამდენად, აღნიშნული განმარტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა სხდომის ოქმში ასახული ინფორმაციის საფუძველზე მ. თ-ის ვაკანტურ თანამდებობასთან შესაბამისობის სასამართლოს მიერ შეფასების შეუძლებლობა, თუმცა, ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მოსარჩელის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენა,

ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას კი მისი შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა დაავალა. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას იმ პირობებში, როდესაც სასამართლო შეუძლებლად თვლის, შეაფასოს კონკრეტული კანდიდატის დონე, მისი შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან. საზოგადოდ, ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტული ქმედების პროცედურულ დარღვევად მიჩნევა ყოველთვის არ განაპირობებს წარდგენილი სარჩელის სრულ საფუძვლიანობას და არ წარმოშობს მისი სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამგვარი დარღვევების არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, სასამართლო ვალდებულია, დავის გადაწყვეტის პროცესში გამოიყენოს კანდიდატის დონის დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენისათვის საჭირო ყველა სამართლებრივი, მათ შორის, პროცესუალური საშუალება და საკითხი კომპლექსურად შეაფასოს. მარტოოდენ სასამართლოს დასკვნა ადმინისტრაციული წარმოების გარკვეული ხარვეზით/ხარვეზებით ჩატარებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება კანდიდატის ვაკანტური თანამდებობის პირობების დაკმაყოფილების დამადასტურებელ გარემოებად იქცეს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო, მართალია, საჭიროდ მიიჩნევს გასაუბრების მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო საშუალებებით ასახვას, თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი განმარტების შედეგად, მხოლოდ ხსენებული პროცედურული საკითხის განუხორციელებლობა მოსარჩელეს ვერ აქცევს ვაკანტური თანამდებობისათვის შესაფერის კანდიდატად. ის ფაქტი, რომ სასამართლო ვერ აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა მოსარჩელე ვაკანტური თანამდებობისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, არ გამორიცხავს ზოგადად კანდიდატის შეფასების შესაძლებლობას, რამეთუ აღნიშნული შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება და ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს სრული შესაძლებლობა იმისა, სასამართლოს მიერ მისთვის დავალების პირობებში, გაატაროს კანდიდატის ხელახალი ან დამატებითი შეფასებისათვის საჭირო ღონისძიებები. თავის მხრივ, ამგვარი შესაძლებლობის არსებობა უსაფუძვლოს ხდის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაშვებული შეცდომისა თუ ხარვეზის გამო სარჩელის ავტომატურ დაკმაყოფილებას, რამდენადაც სასამართლო პროცესუალურ საშუალებათა გამოყენების გზით უფლებამოსილი იყო, ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფის მიზნით უზრუნველყო ადმინისტრაციული ორგანოსათვის სასამართლოს მიერ საჭიროდ მიჩნეული მაღალი სტანდარტების დამაკმაყოფილებელი გასაუბრების გამართვის დავალება.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია დარწმუნებულები, აკმაყოფილებდა თუ არა კანდიდატი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო მოთხოვნებს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული გარკვეული შეცდომა ან მის შედეგად გამოვლენილი რაიმე ხარვეზი, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის ერთადერთი საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ფაქტობრივ-სამართლებრივად ურთიერთსაინააღმდეგოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვეთილ ფაქტობრივ მოცემულობასა და მის საფუძველზე დავის ამგვარი შედეგით გადაწყვეტას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიუთითოს საქმის მასალებით დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. თის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 მარტის №7 და 2015 წლის 18 მარტის №8 გადაწყვეტილებები, ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 17 მარტის №1 გადაწყვეტილება მოსარჩელე მ. თის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 მარტის №3 სხდომის ოქმი, საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 17 მარტის №1 სხდომის ოქმი და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 18 მარტის №4 სხდომის ოქმი, აგრეთვე, კონკურსის მესამე ეტაპის – გასაუბრების შედეგები მოსარჩელე მ. თის ნაწილში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას გასაუბრების ეტაპის ხელახალი ჩატარება და ახალი გადაწყვეტილების მიღება (კანონით დადგენილ ვადაში) დაევალა, რომელზედაც მოსარჩელეს შეტანილი ჰქონდა განაცხადი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ი ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. საგარეჯოში. ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 მარტის №02 134 ბრძანება ზ. ფ-ის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

მითითებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს განემარტა: „იმისათვის, რომ გასაუბრების შედეგების სუბიექტურობა შემცირდეს და გაიზარდოს სანდოობა, იგი უნდა ჩატარდეს წინასწარ შემუშავებული და დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და გასაუბრების დროს უნდა წარმოებდეს სხდომის ოქმი და აისახებოდეს სხდომის მიმდინარეობა და სხდომაზე დამსწრე პი-

რების ვინაობა. საკონკურსო-საატესტაციო კომისია კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა იყენებდეს წინასწარ შემუშავებულ კითხვარს, რომელსაც თან უნდა ახლდეს შეფასების მეთოდი, რაც უზრუნველყოფს გასაუბრების პროცედურის გამჭვირვალობას, საჯაროობას, ობიექტურ და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას და უნდა წარმოებდეს სხდომის ოქმი, რათა მოხდეს გასაუბრების მიმდინარეობის რეალური ასახვა. აღნიშნული ხდება ნდობის საფუძველი, რომ კონკურსანტის მიმართ მიიღება კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილება. ...განსახილველ შემთხვევაში, შეუძლებელია განისაზღვროს რამდენად შესრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 18.06.2014 წლის №412 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მოთხოვნები და ამოცანები; ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება“.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქალაქ საგარეჯოში ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის ხელახალი გასაუბრების ეტაპი დაინიშნა, დამტკიცდა გასაუბრების კითხვარი და კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასების ფორმა. კონკურსზე დაბარებულ იქნა მ. თ-ი. გასაუბრებას ესწრებოდა კომისიის ოთხი წევრი. შედგა წერილობითი სახის სხდომის ოქმი. გასაუბრების შედეგად კონკურსანტი შეფასდა შემდეგი ქულებით: 65, 65, 60, 65. ქულათა საშუალო რაოდენობამ შეადგინა – 63.75. კომისიამ მიიჩნია, რომ მ. თ-მა ვერ მიიღო თანამდებობაზე წარდგენისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა, შესაბამისად, მისი წარდგენა ვაკანტურ თანამდებობაზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია. კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36<sup>1</sup> მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ამავე კანონის 36<sup>4</sup> მუხლის თანახმად, დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე

კომისიის მოწვეულ წევრთა შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: ა) განცხადების გადარჩევა; ბ) წერიტი დავალება; გ) ტესტირება; დ) გასაუბრება. ამასთან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №54 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების“ მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონკურსს ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია. კონკურსის სავალდებულო ეტაპია ტესტირება. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს კიდევ ერთ-ერთ ან რამდენიმე ეტაპს: ა) განცხადების გადარჩევა; ბ) წერიტი დავალება; გ) გასაუბრება. ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, კომისიამ კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს, მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე. თითოეული კანდიდატისათვის გამოიყენება იდენტური შინაარსის წინასწარ განსაზღვრული კითხვარი.

სააპელაციო პალატის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა სადავო ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წარმოებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას არ აკისრებდა გასაუბრების მიმდინარეობის აუდიო ან/და ვიდეო საშუალებებით ასახვის ვალდებულებას. მეტიც, გასაუბრების გა-

მართვის მომენტი სათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული პროცედურების წარმართვა ადმინისტრაციულ ორგანოს არც უფლების სახით ჰქონდა განერილი. ტექნოლოგიური განვითარება, ცხადია, ზეგავლენას უნდა ახდენდეს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზეც, წარმოშობდეს მათი საქმიანობის, მათ შორის, ადმინისტრაციული წარმოების პროცედურის უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების ინტეგრირების გზით დახვეწის საჭიროებასაც, რაც, თავის მხრივ, უფლების დაცვის უკვე არსებულზე უკეთესი სტანდარტის შექმნას უნდა ისახავდეს მიზნად. თუმცა სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართ ნოვაციურ ტექნოლოგიურ საშუალებათა გამოყენების მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს საკანონმდებლო საფუძვლებს, შესაბამისად, სასამართლოს მითითება წარმოების ფარგლებში შესაძლო გამოყენებადი ტექნიკისა თუ სხვაგვარ საშუალებათა შესახებ, არ უნდა სცდებოდეს კანონმდებლობის ფარგლებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არც უფლების და არც ვალდებულების სახით არ გააჩნდა სხდომის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო ფორმატით ასახვის შესაძლებლობაზე პირდაპირი საკანონმდებლო მითითება, დაუშვებელია კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ ხსენებულ საშუალებათა გამოყენებლობა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის უარყოფითი შედეგების დადგომისაკენ ყოფილიყო მიმართული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ გასაუბრების მიმდინარეობის ამსახველი 2016 წლის 21 დეკემბრის №1-02 სხდომის ოქმში არსებული ინფორმაციის – დასმული შეკითხვებისა და მასზე მ. თ-ის მიერ გაცემული პასუხების შინაარსი თავად მოსარჩელე მხარის მიერ იქნა დადასტურებული, შესაბამისად, მოსარჩელე სადავოდ არ ხდის სხდომის ოქმში ასახული ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კითხვა-პასუხის შინაარსის მოსარჩელის მიერ დადასტურების პირობებში, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა დაცვით წარმოებულ ნერილობითი სხდომის ოქმი აკმაყოფილებს კონკურსის გასაუბრების ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იძლევა საშუალებას, დასმულ კითხვაზე კონკურსში მონაწილე პირის მიერ გაცემული პასუხების მხედველობაში მიღებით, შემონმდეს კონკურსანტის მიერ საბოლოოდ მიღებული შეფასების გონივრულობა და ადეკვატურობა.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, ვერ გაიზიარებს სააპელა-

ციო სასამართლოს განმარტებებს კომისიის წევრთა მიერ მოსარჩელისათვის კონკრეტული ქულების დაწერის დასაბუთების საჭიროებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ კომისიის წევრთა მიერ დაწერილი შეფასებები კონკურსანტისათვის დასმული შეკითხვისა და გაცემული პასუხის ურთიერთმიმართების გამომხატველია, კერძოდ, განსაზღვრული ქულა მეტყველებს დასმულ შეკითხვაზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის სრულყოფილების დონეზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომისიის თითოეული წევრის მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ყოველი კონკრეტული ქულა არ საჭიროებს დამატებით დასაბუთებას, ხოლო, თავის მხრივ, კონკურსანტის მიერ გაცემული პასუხების შეფასებით, მიღებული ქულის გონივრულობის შემოწმება სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მ. თ-ის მიერ მოპოვებული ქულა – 63.75, კომისიამ მიიჩნია არასაკმარის რაოდენობად დადებითი გადანყვეტილების მიღებისათვის, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი აქტებით, არსად არ არის განსაზღვრული ქულათა რა ოდენობა წარმოადგენს გასაუბრების ეტაპის წარმატებით დაძლევის წინაპირობას, არ არის დადგენილი ზღვარი, რომლის გადალახვაც გახდებოდა დადებითი შედეგის საფუძველი. თუმცა, მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. თ-ის მიერ მიღებული 63.75 ქულა წარმოადგენს საშუალო მაჩვენებელს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მ. თ-ის კანდიდატად წარუდგენლობის ალოგიკურად და დაუსაბუთებლად მიჩნევის შემთხვევაში გასაზიარებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მ. თ-ი ქულათა საუკეთესო მაჩვენებელს დააფიქსირებდა. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლებამოსილება, თავად შეაფასოს და გადანყვიტოს, საკმარისია თუ არა მისთვის საშუალო ქულის მიღება კონკრეტული კანდიდატის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად წარსადგენად, ადმინისტრაციული ორგანო, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მოქმედებს საუკეთესოს ძიების პრინციპით, მისი გადანყვეტილების დასაბუთებულობასა და ლოგიკურობაზე კი მეტყველებს კანდიდატის მიერ გასაუბრების ეტაპზე მიღებული ქულათა საშუალო მაჩვენებელი, რომელიც არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებზე, რომელმაც მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება იყო მიზანმიმართული, რა-



თა კონკურსის შედეგები მ. თ-ისთვის არ ყოფილიყო დადებითი, რომ კომისიის მოქმედება იყო სუბიექტური, რაც შედეგობრივად კანონიერი გადანყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდიდა. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კომისიას არ გააჩნდა ნამდვილი ნება ჩაეტარებინა კანონშესაბამისი კონკურსი და ობიექტურ საწყისებზე მიეღო გადანყვეტილება. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შეფასებები წარმოადგენს სააპელაციო პალატის ვარაუდს, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოხატული, მ. თ-ისათვის უარყოფითი შედეგების დადგომისაკენ მიმართული რაიმე სუბიექტური განზრახვა საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება. ამასთან, საქმესთან მიმართებით არსებულ ზოგად ფაქტობრივ მდგომარეობასთან ერთობლიობაში, საგულისხმო და ადმინისტრაციული ორგანოს სუბიექტური განზრახვის გამომრიცხველია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით წარსადგენად უარი ეთქვა არა მხოლოდ მ. თ-ს, არამედ, მათ შორის, კონკურსში მონაწილე მეორე კონკურსანტსაც, რომელმაც გასაუბრების სტადიაზე დაახლოებით მ. თ-ის მსგავსი, საშუალო შეფასება მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საპრეტენზიო კომისიის 2016 წლის 28 დეკემბრის №1 ოქმის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის №1-04 და №1-05 სხდომის ოქმების ბათილად ცნობის და შესაბამისად, არც ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის – მ. თ-ის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენასა და მის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობას გამორიცხავს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევა. თუმცა საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტობრივ რეალობაზე, რომელიც დღეის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობასთან მიმართებით არსებობს. კერძოდ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის №258 ბრძანებით ღიად დარჩენილ ვაკანტურ ადგილას გამოცხადდა კონკურსი ქალაქ საგარეჯოში ...ის ...ის ვაკანტურ თანამდებობაზე. ამასთან, დადგენილია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 19 მაისის

№258 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის გასაუბრებაზე მ. თ-ს მონაწილეობა არ მიუღია, რითიც მოსარჩელემ თავად განაცხადა უარი კონკურსში მონაწილეობაზე. კონკურსში გამარჯვებულად კი გამოცხადდა ი. მ-ი. საგულისხმოა პერსონალური შეფასების ფორმიდან დადგენილი ინფორმაცია, რომ კონკურსანტმა – ი. მ-მა მიიღო შეფასება – 83.3 ქულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებშიც კი, არ იარსებებდა ქალაქ საგარეჯოში ...ის ...ის თანამდებობაზე მ. თ-ის წარდგენის დავალების ფაქტობრივი შესაძლებლობა, რამდენადაც მოცემული მდგომარეობით, ხსენებული თანამდებობა ვაკანტური არ არის, ამასთან, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ი. მ-ის ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის კანონიერება. მეტიც, მოსარჩელეს განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოსათვის მიმართვის გზით არ გამოუვლენია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობის ვაკანტურობის შენარჩუნების მიზნით უფლების დაცვის პრევენციული ღონისძიებების გამოყენების მცდელობა. ამდენად, ერთი მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა, ხოლო, მეორე მხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ...ის ...ის თანამდებობაზე დღეის მდგომარეობით მოსარჩელის დანიშვნის ფაქტობრივი შეუძლებლობა, გამორიცხავს ხსენებულ ნაწილში მ. თ-ის სარჩელის საფუძვლიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. თ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხის ენიშვნელოვა პირდაპირ (უშუალო) თანამდებობაზე აღდგენისათვის**

#### **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ბს-643(კ-კს-19)

2 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, საშვებულებო თანხის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 5 ნოემბერს ბ. დ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ თბილისის ისნის რაიონის გამგეობისა და მესამე პირის – თ. ჩ-ას მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობ-

ლის 2014 წლის 1 აპრილის №43 განკარგულებით დაინიშნა ისნის რაიონის ...-ის, 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 განკარგულებით იგი უსაფუძვლოდ მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა გაფრთხილება, ხოლო 2014 წლის 17 ოქტომბრის №... განკარგულებით კვლავ მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა სამსახურიდან გათავისუფლება. მოსარჩელის მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით სადავო აქტები მართლსაწინააღმდეგოა, დარღვეულია მათი მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. უტყუარად არ დასტურდება მის მიერ ნების გამოხატვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის სამსახურიდან გათავისუფლებას დასაქმებულის ინიციატივით. მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარმოადგინოს სადავო აქტის კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოპასუხეს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლების შესაბამისად, სრულად არ გამოუკვლევიან საქმის გარემოებები, არ გაუთვალისწინებია ბ. დ-ის მიერ ორგანოსათვის განთავისუფლებამდე წარდგენილი განცხადება, სათანადოდ არ დაუსაბუთებია გასაჩივრებული აქტები, საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის შემთხვევაში მოპასუხის მიერ მიღებული იქნებოდა განსხვავებული გადაწყვეტილება. სასამართლომ სადავო აქტების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა შეამოწმოს დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები, თანასწორობის პრინციპი, ადგილი ხომ არ აქვს დისკრიმინაციის ფაქტს. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, სადავო აქტების გამომცემ პირთა ქმედებებში შესაძლოა იკვეთებოდეს სამოხელეო დანაშაულის ნიშნები, რადგან იგი სამსახურიდან გათავისუფლდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად. მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლზე და აღნიშნა, რომ იგი უნდა აღდგეს ქ.თბილისის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე და აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან სრული ოდენობით.

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად ბ. დ-ისათვის გაფრთხილების გამოცემის შესახებ ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანებისა და ბ. დ-ის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგებ-

ლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა, ბ. დ-ის ქ. თბილისის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენა და ამ ნაწილში მისაღები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობისათვის მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 17 ოქტომბრიდან მოცემულ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის განაცდურის ყოველთვიურად .... ლარის ოდენობითა და თანამდებობრივ სარგოზე წინასწარ გათვალისწინებული დანამატის – ამავე პერიოდში თითოეული თვისათვის .... ლარის ოდენობით დაკისრება, აგრეთვე, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობისათვის მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ 2013, 2014, 2015 და 2016 წლებში ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი გამოუყენებელი შვებულების ნატურით ანაზღაურების დაკისრება, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობისათვის სამსახურში პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის ბ. დ-ის სასარგებლოდ 1 ლარის ოდენობით არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანისა და სამსახურში პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის იმ მიუღებელი შემოსავლის ზიანისთვის, რაც გამოწვეული იქნა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, მიუღებელი ხელფასის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შეუძლებლობისა და ასეთი ბრუნვიდან მისაღები სარგებლის დაკარგვის გამო, 1 ლარის ოდენობით მატერიალური (ქონებრივი) ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 აპრილის განჩინებით ბ. დ-ის სარჩელიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურებისა და დისკრიმინაციული მოპყრობის გამო ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციული მოპყრობის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები; ბ. დ-ის სარჩელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო ზიან-

ნის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით საქმეზე ბ. დ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე აღიძრა დავა განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით; საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ბ. დ-ის სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანება გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანება ბ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და მოპასუხეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ბ. დ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ 2014 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ 500 ლარის ოდენობით ადვოკატის ხარჯისა და 50 ლარის ოდენობით სხვა სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურება დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ბ. დ-ე ისნის რაიონის ...ის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 1 აპრილის №56 განკარგულებით ისნის რაიონის ...ის ...ის მოვალეობის შემსრულებლად,

ხოლო ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 1 აპრილის №43 განკარგულებით – ისნის რაიონის ...ის ... ად... დაინიშნა.

ქ. თბილისის მერის 2014 წლის 15 ივლისის არჩევნების შედეგად ქ. თბილისის მერად საარჩევნო ბლოკი – „...ის“ მიერ წარდგენილი კანდიდატის – დ. ნ-ას არჩევის შემდეგ ისნის რაიონის ....ად ხსენებული პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი – ვ. ქ-ი დაინიშნა.

ისნის რაიონის გამგებლის აპარატის მთავარი სპეციალისტის – ხ. მ-ის 2014 წლის 3 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათით ისნის რაიონის გამგებელს მიენოდა ინფორმაცია მასზედ, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს ბ. დ-ე სამსახურში არ იყო გამოცხადებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2014 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათით ბ. დ-ემ განმარტა, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს არ იმყოფებოდა სამსახურში მასზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე პროკურატურისათვის მიმართვის გამო. ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის № 14 ბრძანებით ბ. დ-ეს გაფრთხილება გამოეცხადა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის, რაც გამოიხატა ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების გარეშე სამუშაო დროს სამსახურში არყოფნაში. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, იგი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტების, 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნ. მ-ის 2014 წლის 3 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათისა და ბ. დ-ის 2014 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოიცა.

ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 18 სექტემბრის წერილით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნით დაადგინა, რომ: 2013 წლის აგვისტოში ისნის რაიონის გამგეობას ქ. თბილისის მერიამ ავტომანქანა „HYUNDAI I 20“ გადასცა, რომლის სახელმწიფო ნომერი იყო ... . აღნიშნული ავტომანქანა 2013 წლის 23 აგვისტოს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ...ის ...ე ბ. დ-ეს გადაეცა. ბ. დ-ისათვის გადაცემულ ავტომანქანაზე მერიის ადმინისტრაციის მიერ გაცემული იყო პლასტიკური ბარათი, რომელზეც ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი იყო დატანილი და შესაბამისი ავტომანქანისათვის ყოველთვიურად განკუთვნილი საწვავი ირიცხებოდა (თვეში 300 ლ). 2013 წლის 27 ოქტომბრის (არასამუშაო დღე – კვირა) ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ბ. დ-ის სამსახურის ავტომანქანა დაზიანდა და იგი შესაკეთებლად თბილისში, ...ის ქუჩა №62-ში მდებარე საქმიან ეზოში იქნა გადაყვანილი, სადაც 2014 წლის 17 სექტემბრის მდგო-

მარეობით იმყოფებოდა ვ. დ-ის ზედამხედველობის ქვეშ. აღნიშნულ პირს, როგორც მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისათვის სამართალდამრღვევად ცნობილ პირს, ავტომანქანის შეკეთება ევალებოდა. 2013 წლის 27 ოქტომბრიდან 2014 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით ბ. დ-ის სამსახურის ავტომანქანის ნომრიანი პლასტიკური ბარათიდან 2254 ლიტრი სანვავი გაიხარჯა. ამასთან, 2014 წლის 17 თებერვალსა და 2014 წლის 26 მარტს ბარათის გამოყენების ფაქტები თბილისის ფარგლებს გარეთ – წყალტუბოს რაიონის სოფელ ...სა და კასპის რაიონის სოფელ ...ში დაფიქსირდა. ქ. თბილისის მერიის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტომობილების გამოყენების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 31 ივლისის №21.03.877 დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის რაიონების გამგებებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანები შეეძლოთ გამოეყენებინათ. დასახელებული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ბ. დ-ის სარგებლობაში გადაცემული ავტომანქანა ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანას წარმოადგენდა და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა, როგორც დადგინდა, ავტომანქანის გამოყენებას და ბარათიდან სანვავის აღებას არასამუშაო დღეებში ჰქონდა ადგილი, აღნიშნული კი მიჩნეულ იქნა სამსახურებრივი სახსრებით ზოროტად სარგებლობად, რამაც ქონებრივად დააზიანა ქ. თბილისის მერია. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის, 73<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტისა და 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბ. დ-ის ზემოაღნიშნული ქმედებები დისციპლინურ გადაცდომად შეფასდა.

ისნის რაიონის გამგებლის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – ნ. გ-ას მოხსენებითი ბარათით ისნის რაიონის გამგებელს მიეწოდა ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნის თაობაზე, ასევე, ეცნობა, რომ: 2014 წლის 8 სექტემბერს ბ. დ-ე 12 სთ-დან არ იმყოფებოდა სამსახურში, რაც მან უარყო. აღნიშნული დარღვევის გამო ბ. დ-ეს 2014 წლის 11 სექტემბრის №10 ბრძანებით შენიშვნა გამოეცხადა. 2014 წლის 3 ოქტომბერს ბ. დ-ე დილიდან არ იმყოფებოდა სამსახურში, რის გამოც მას 2014 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით გაფრთხილება გამოეცხადა. ხსენებული ბრძანების ბ. დ-ისათვის ჩაბარება 2014 წლის 10 ოქტომბრამდე ვერ მოხერხდა სამსახურში მისი ნახვის შეუძლებლობის გამო. 2014 წლის 6 ოქტომბერს შესვენების შემდეგ ბ. დ-ე ისევ არ იმყოფებოდა სამსახურში, რაზედაც მას ახსნა-განმარტება არ წა-



რუდგენია. 2014 წლის 8 ოქტომბერს ბ. დ-ემ გამგებელს წერილით მიმართა, რომლითაც აცნობა, რომ უერთდებოდა აქციას და დღის პირველ ნახევარში არ შეასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. 2014 წლის 9 ოქტომბერს ბ. დ-ემ გამგებელს წერილით მიმართა, რომლითაც აცნობა, რომ ექიმთან ვიზიტის გამო ვერ შეასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. 2014 წლის 10 ოქტომბერს ბ. დ-ე ისევ არ იმყოფებოდა სამსახურში, რაზედაც ახსნა-განმარტება არ წარუდგენია. მითითებული მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ბ. დ-ე მიზანმიმართულად და წინასწარგანზრახულად არღვევდა გამგეობის შინაგანაწესს და ვალდებულებას, შეესრულებინა საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები. ასევე, ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა ბ. დ-ის მიერ სამსახურის სახსრების ბოროტად გამოყენებას, რამაც ქონებრივი ზიანი მიაყენა მერიას.

ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანებით ბ. დ-ე გათავისუფლებულ იქნა ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, იგი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტების, 73<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის, 73<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტისა და 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 79-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად ისნის რაიონის გამგებლის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – ნ. გ-ას 2014 წლის 16 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოიცა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ბ. დ-ემ სამსახურის მატერიალური სახსრები – ავტომანქანა და საწვავი პირადი მიზნებისათვის გამოიყენა და ამით ქ. თბილისის მერიას ზიანი მიაყენა. ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნისა და მისი მიღებისას შეფასებული დოკუმენტების მიხედვით, ბ. დ-ისათვის სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაცემული ავტომანქანა მისი ბ. დ-ის მიერ 2013 წლის 27 ოქტომბერს – კვირას მართვისას ავტოავარიის შედეგად დაზიანდა და ამ დღის შემდგომ – 2014 წლის 8 სექტემბრამდე შესაკეთებლად იყო გაჩერებული, ამ ავტომანქანაზე განკუთვნილი ბარათიდან ბენზინის ხარჯვას კი 2014 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდში ჰქონდა ადგილი. აღნიშნული გარემოებები არ ყოფილა გამხდარი სადავოდ, თუმცა ვერ იქნებოდა მიჩნეული ბ. დ-ის მიერ 2013 წლის 27 ოქტომბერს ავტომანქანის პირადი მიზნებისათვის გამოყენე-

ბის, ხოლო შემდგომ ბ. დ-ის მიერ ბარათით სარგებლობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. საქმეზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არც ბ. დ-ისაგან და არც სხვა პირისაგან მიუღია განმარტება 2013 წლის 27 ოქტომბერს ბ. დ-ის მიერ ავტომანქანის გამოყენების მიზანთან თუ სამსახურებრივი საქმიანობის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით, რაც არსებითი იყო მითითებულ დღეს სამსახურის ავტომანქანით პირადი სარგებლობის ფაქტის დასადაგენად. 2013-2014 წლებში ისნის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსის – გ. ე-ის ჩვენებით, ბ. დ-ის ავტომანქანის დაზიანების შემდეგ ბარათი მას ჰქონდა და გამგეობის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი საქმიანობისას გამოიყენებოდა (2017 წლის 15 მარტის სხდომის ოქმი, 16:00:36-16:27:53). საქმის მასალებიდან არ ირკვეოდა, თუ კონკრეტულად ვის მიერ, რომელი ავტომანქანისათვის და რა მიზნით გამოიყენებოდა ბ. დ-ის სამსახურის ავტომანქანის ბენზინის ბარათი. ამგვარი გარემოებების კვლევის არარსებობა დადასტურა ისნის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა, როდესაც განმარტა, რომ სანჯავის ხარჯვის საკითხი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა და შესასწავლად საგამოძიებო ორგანოს გადაეცა (2015 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი, 17:46:24, 18:04:14-18:06:26). შესაბამისად, ბ. დ-ის მიერ სამსახურის მატერიალური სახსრებით პირადი მიზნებისათვის გამოყენება და ამით სამსახურისათვის ზიანის მიყენება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით უნდა ყოფილიყო დადასტურებული, თუმცა ასეთი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მერის 2014 წლის 15 ივლისის არჩევნების შედეგად ქ. თბილისის მერად საარჩევნო ბლოკი – „...ის“ მიერ წარდგენილი კანდიდატის – დ. ნ-ას არჩევის შემდეგ ისნის რაიონის ...ად დანიშნულმა ვ. ქ-მა ისნის რაიონის ...ის ...ე ბ. დ-ესთან, როგორც არჩევნებამდელი ხელისუფლების წევრთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა იმ საფუძველზე, რომ იგი პოლიტიკური გაერთიანება ე...ის გუნდში იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვ. ქ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბ. დ-ისათვის შეთავაზებას, თავისი ინიციატივით დაეტოვებინა თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას სხვა გზით უზრუნველყოფდა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, დასახელებული გარემოება დასტურდება მოსარჩელის განმარტებით, ბ. დ-ის მიერ ფარულად წარმოებულ, ბ. დ-ისა და ...ის საუბრის აუდიო ჩანაწერებითა და მათზე ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №001380816 დასკვნით, რომელიც მიღებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2016

ნლის 15 მარტს. კერძოდ, ...ის მხრიდან ბ. დ-ისადმი დამოკიდებულებას ასახავს კომპაქტ დისკზე არსებული ფონოგრამა – „გამგებელი“, რომლიდანაც აღსანიშნავია ... ის – ვ. ქ-ის შემდეგი მიმართვები ბ. დ-ისადმი: „...არც უნდა ვისაუბროთ, იმიტომ რომ ჩვენ ვიყავით მოსისხლე მტრები... პირადად არ ვიძახი. ...და თქვენ როგორ ფიქრობთ ეხლა, ჩვენ, ორი პოლიტიკური გუნდის... ისე როგორ უნდა მოხდეს, რომ ერთი პოლიტიკური გუნდის პროგრამა განვახორციელოთ? ...თქვენ რატომ გგონიათ, რომ ჩვენ არ გვყავს გუნდში ის ხალხი, ვინც ამას თქვენზე უკეთესად განახორციელებს. ნდობის ფაქტორი მეტი იქნება, პროფესიონალიზმი მეტი იქნება და დამსახურებაც მეტი იქნება. ...პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ჩვენი გუნდის პროგრამის განხორციელებაზე თქვენ იღებთ? ...მოვიდა ახალი გუნდი? დაიხურე ქუდი და მიხედე შენს საქმეს რა შენს გუნდთან ერთად. მიეცი საშუალება ამ ადამიანებს, განახორციელონ თავიანთი პროგრამა, რითაც მოვიდნენ და რასაც მხარი დაუჭირა ხალხმა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემისას არ ყოფილა გამოკვლევული, თუ რა გარემოებით იყო ბ. დ-ის სამსახურში გამოუცხადებლობის ცალკეული შემთხვევები განპირობებული, ხომ არ უკავშირდებოდა იგი ...ის მხრიდან თანამშრომლობაზე უარს, იყო თუ არა ...ის დამოკიდებულება ჩამოყალიბებული საქმის გარემოებების სათანადო შესწავლით. როგორც სასამართლომ დაადგინა, ისნის რაიონის ახალდანიშნულმა გამგებელმა ბ. დ-ესთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა მხოლოდ იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ბ. დ-ე 2014 წლის მერის არჩევნების შედეგად „...ის“ კანდიდატის მერად არჩევამდე პოლიტიკური გაერთიანება ე...ის გუნდში მსახურობდა გამგეობაში. ამდენად, ბ. დ-ე ზოგადად მისი კონკრეტული პოლიტიკური გუნდის წევრად აღქმით იქნა შეფასებული და ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული იმაზე, თუ რა ხედვა გააჩნდა მას ახალ ხელმძღვანელთან საქმიანობაზე, რამდენად რეალური იყო ან/და რითი იყო მოტივირებული მისი მზადყოფნა, გაეგრძელებინა მუშაობა, წარადინა თუ არა ახალ ხელმძღვანელთან ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ანგარიში და ა.შ. საქმეზე დართული, ბ. დ-ის მიერ ფარულად წარმოებული აუდიო ჩანაწერების მიხედვით, გამგებელმა მას პირადი ანგარიშის წარდგენის მოთხოვნასა და მის შეუსრულებლობაზე მიუთითა. აპარატის უფროსთან – ნ. გ-ასთან საუბრის აუდიოჩანაწერის – „გ-ას შუამდგომლობის“ მიხედვით, ბ. დ-ემ ნ. გ-ას შემდეგი შინაარსის პოზიცია განუცხადა: „...შენ გეუბნევი უბრალოდ, ძმაცაცურად იმიტომ, რომ მე ეს პერიოდი სადამდედაც აქ ვიქნები მე მჭირდება ფინანსურად აქ ყოფნა იქიდან გამომდინარე.

ეხლა მე მასთან დიდი ხანი ვერ ვიმუშავეფ. გამორიცხულია“. ამასთან, სადავო არ იყო, რომ ბ. დ-ე და ახალდანიშნული გამგებელი ვ. ქ-ი დაპირისპირებული პოლიტიკური გაერთიანებების მხარდამჭერები იყვნენ და რიგ საკითხებზე მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები შეიძლებოდა ჰქონოდათ, რაც, ბ. დ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე, ქმნიდა ეჭვს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა თუ გამგებელთან რეალური თანამშრომლობის შეუძლებლობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანებისა და 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე, ამ აქტებით მოსარჩელეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ჯერ გაფრთხილება, ხოლო შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლება შეეფარდა. ამდენად, კანონიერების თვალსაზრისით მითითებული ბრძანებების შეფასებისათვის უნდა დადგინდეს, ბ. დ-ის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები იყო თუ არა მიღებული კანონმდებლობის დაცვით ან/და არსებობდა თუ არა მათი მიღების საფუძველი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურის პრინციპებია: ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება; ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა; დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად; ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ვ) საქვეყნობა; ზ) საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი; თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა (კანონის მე-13 მუხლი). დასახელებული კანონი მოხელის სამსახურებრივ გადაცდომად და მის მიმართ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის – სახდელის დაკისრების საფუძველად მიიჩნევს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებას ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეულ შექმნას; გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართულს უღირს საქციელს (ბრალეულ ქმედებას), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ („საჯარო სამსახურ-

რის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლი). მითითებული გადაცდომების ჩადენისას მოხელეს სახდელის სახით შეიძლება გამოეცხადოს შენიშვნა, მიეცეს გაფრთხილება, დაუკავდეს არაუმეტეს 10 დღის ხელფასი, მოხელე ჩამოშორებულ იქნეს სამსახურიდან ხელფასის შეჩერებით 10 დღემდე ვადით, გადაყვანილ იქნეს უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობაზე ან გათავისუფლდეს სამსახურიდან (79-ე მუხლი). მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისას დაიშვება, თუ მის მიმართ მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი ზომა ან ამის გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს (99-ე მუხლი). ნებისმიერ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი მოსამსახურის პიროვნების შეფასებისა და თანამდებობაზე მისი დატოვებით მოსალოდნელი შედეგების შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული სტანდარტიდან გამომდინარე, მოხელის გათავისუფლებას მხოლოდ იმგვარი დასკვნა შეიძლება განაპირობებდეს, რომ მასთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება უარყოფითად აისახება სამსახურის საქმიანობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერის 2014 წლის 15 ივლისის არჩევნების შედეგად ქ. თბილისის მერად საარჩევნო ბლოკი – ...ის მიერ წარდგენილი კანდიდატის – დ. ნ-ას არჩევის შემდეგ ისნის რაიონის ...ად დანიშნულმა ვ. ქ-მა ისნის რაიონის ...ის ...ე ბ. დ-ესთან, როგორც არჩევნებამდელი ხელისუფლების წევრთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ იგი პოლიტიკური გაერთიანება ე...ის გუნდში იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ...ის – ვ. ქ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბ. დ-ისათვის შეთავაზებას, თავისი ინიციატივით დაეტოვებინა თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას სხვა გზით უზრუნველყოფდა. აღნიშნული გარემოებები ცხადყოფდა, რომ ბ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი მისი პოლიტიკური გაერთიანება ე...ის გუნდის წევრად მიჩნევა გახდა. ამასთან, თანამშრომლობაზე ხელმძღვანელის უარის პირობები სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტები ვერ მიიჩნეოდა არსებით გადაცდომად, რაც შეეხება ბ. დ-ის მიმართ ჩატარებული წარმოებით გამოვლენილ სხვა გარემოებებს, ისინი სასამართლომ არ ჩათვალა დადასტურებულად.

სასამართლომ განმარტა, რომ თანასწორობის იდეა და პრინციპები განმტკიცებულია მოქმედ მრავალ საერთაშორისო სამართლის აქტში, ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი – დისკრიმი-

ნაციის აკრძალვა, ადგენს, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. საერთაშორისო სამართლის აღნიშნული ნორმა, ადამიანის უფლებათა თანასწორად სარგებლობის სტანდარტს ამკვიდრებს. ადამიანები თანასწორნი არიან იმ უფლებებით სარგებლობაში, რომლებსაც კონვენცია ადამიანის წარუვალ უფლებებად მიიჩნევს. მოგვიანებით, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, ასეთივე თანასწორობა დადგინდა არა მხოლოდ კონვენციით გარანტირებული უფლებებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის დროს. დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლის მიზანია, საშუალება მიეცეთ ინდივიდებს, რომ თანაბრად და თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი საზოგადოებაში არსებულ შესაძლებლობებზე. ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აკრძალულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დისკრიმინაცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი შესაბამისი უფლების განხორციელების ცალკეულ ნორმებს ადგენს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლით განმარტებულია, რომ: პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპ-

ყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად; ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. ამავე კანონის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ორგანული კანონის – „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაპინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა

პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არა-პირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ, მოხელის სახით, ვინმეს მიმართ განახორციელა განსხვავებული მოპყრობა, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. ხოლო, იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი (დისკრიმინაციის ტესტი).

სახელმწიფოებს ეკისრებათ ნეგატიური ვალდებულება, თანასწორად მოეპყრან თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს და შესაბამისად, მისი როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაში. განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებასთან დაკავშირებით ნამდვილად შეიძლება იმის მტკიცება, რომ დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო აშენებს, სახეზე არ არის და არც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი. რადგან არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, არ არსებობს პროპორციაც განსხვავებულ მოპყრობასა და არარსებულ მიზანს შორის. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე კი, შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური შეხედულების გამო განსხვავებული მოპყრობის მოქცევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის ფარგლებში.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ბ. დ-ის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველზე მიღებულ აქტებს, რომელმაც ბ. დ-ე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისა თუ მისდამი სიმპათიის გამო ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უპარტიო თუ სხვა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებთან)



შედარებით და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი. ამდენად, ხსენებული აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ამასთან, როგორც სასამართლომ დაადგინა, ბ. დ-ის მიმართ დისცილინური წარმოებისას სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმის გარემოებები, რამეთუ სადავო გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ბ. დ-ის მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ზოგადი შეფასებით.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ ჯეროვანი ადმინისტრაციული წარმოების ვალდებულების შესრულება ემსახურება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულია ვალდებულება ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანება გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანება ბ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად და მოპასუხეს დავალებოდა, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ბ. დ-ის მიმართ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება გამორიცხავდა მოცემულ სტადიაზე სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობის განხილვა-გადაწყვეტის პროცესუალურ შესაძლებლობას და აღნიშნულზე უნდა ემსჯელა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მითითებით, საჯარო მოხელის უფლებას, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლი განსაზღვრავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონ-

სტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, ნორმის შეფარდების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები შიდა ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უშუალოდ გამოიყენება. 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების განხორციელებისას, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია აქტიური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნული უფლებით სარგებლობას, არამედ – უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება (სუსგ №ბს-98-91(კ-13)).

„ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა. ამ მხრივ სასამართლო დაეთანხმა №ას-836-1122 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებას და მიიჩნია, რომ იგი სავსებით ესადაგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში საჯარო შრომითი ურთიერთობების სწორ და კანონშესაბამის მონესრიგებას, შრომითი უფლებების რეალიზაციის ხასიათის იდენტიფიკაციის გამო.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ბ. დ-ეს თანამდებობიდან გათავისუფლების გამო შეეზღუდა შესაბამისი აქტის გამოცემის დროისთვის – 2014 წელს გამოუყენებელი შვებულებით სარგებლობის უფლება, თანამდებობიდან გათავისუფლება კი სასამართლომ უკანონოდ ცნო. ამდენად, ბ. დ-ის შვებულებით სარგებლობის უფლება კანონის დარღვევით შეიზღუდა, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო, ბ. დ-ისთვის აენაზღაურებინა 2014 წელს გამოუყენებელი შვებულება. რაც შეეხება 2014 წლამდე შვებულებას, მის შეზღუდვასთან დაკავშირებით შესაბამის პერიოდში მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია, ამასთან, სადავო აქტები ვერ ჩაითვლებოდა 2014 წლამდე არსებული შეზღუდვის განმაპრობებელ აქტებად, ასეთი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, დისკრიმინაციის დადასტურების პირობებში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი დისკრიმინაციის მსხვერპლს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლებას ანიჭებს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 და 207-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, თუ იგი მიყენებულია ამ ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად. ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მიიჩნევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის არაქონებრივ უფლებათა შეზღუდვასთან დაკავშირებული ზიანი – მორალურ ზიანად. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო. მორალური ზიანი უკავშირდება როგორც უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრო-

ბას და ამის ნიადაგზე სამსახურიდან გათავისუფლების მომენტს, ასევე მორალური ზიანი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, ხანგრძლივი უმუშევრობის მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რითმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არაქონებრივი ზიანი, თავისი ბუნებით, არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. იგი მიეცემა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სიმბოლურ თანხას ითხოვს, რაც ცხადყოფს მის მიზანს – დადასტურებულად ჩაითვალოს ასეთი ზიანის დადგომის ფაქტი. დისკრიმინაციული საფუძვლით თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი უდავოდ წარმოშობს რა როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ ზიანს, მოსარჩელის შესაბამისი მოთხოვნაც საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილებულიყოს.

ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის ხარჯის 2400 ლარის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლსა და სამოქალაქო კოდექსის 709-ე-722-ე მუხლებზე მითითებით, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – 500 ლარის მოცულობით. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ასევე ითხოვდა სასამართლო დავაზე განეული ხარჯების – სარჩელის, წერილობითი განცხადებებისა და შუამდგომლობების მომზადებაზე განეული, საფოსტო კავშირისათვის, მგზავრობისა და კვებისათვის, რწმუნებულების მომზადებისათვის განეული ხარჯებისა და მოცდენილი დროის ანაზღაურებას, თუმცა მტკიცებულება მხოლოდ რწმუნებულების მომზადების ხარჯზე იყო წარდგენილი – საქმეზე დართული რწმუნებულებით ირკვეოდა, რომ მასზე მოსარჩელემ 12 ლარის ხარჯი გასწია. სასამართლომ მიიჩნია რა, რომ მსგავსი ხარჯების ანაზღაურების უფლება მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით აქვს მინიჭებული, მოთხოვნა სავარაუდო მინიმალური ხარჯის ფარგლებში – 50 ლარის ოდენობით დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. დემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად

დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანება ბ. დ-ისათვის გაფრთხილების გამოცხადების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანება ბ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე; ბ. დ-ე აღდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი განაცდური ყოველთვიურად მისაღები თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლად აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე სამსახურში აღდგენისა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით, ასევე დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით და 2014 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხის გადახდა, დარჩა უცვლელი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება 2700 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო არსებითად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც და მიუთითა მათზე. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება საქმე-

ზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ნაწილობრივ მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, არასწორად განმარტა კანონი, რამაც საბოლოოდ არასწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა პირველი ინსტანციის სასამართლო, რაც განაპირობებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ბ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, რის საფუძველზეც მოსარჩელე სამსახურში აღდგენას, განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას ითხოვს. კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება გამოწვეულია პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება და გამომდინარეობს ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენიდან. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის დადგენა ავტომატურად გადაწყვეტს სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ ბედს, რამდენადაც პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს სრულყოფილად იმსჯელოს მოსარჩელის დისციპლინური გადაცდომის არსებობა-არარსებობის საკითხზე და მის თანმდევ შედეგებზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კი სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ბ. დ-ის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველზე მიღებულ აქტებს, რომელმაც ბ. დ-ე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისა თუ მისდამი სიმპათიის გამო ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უპარტიო თუ სხვა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებთან) შედარებით და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა დისკრიმინაციული მოპყრობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზ-

ლაურება 1 ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ ბ. დ-ის მიერ, გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამავე კოდექსის 384-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მითითებული კოდექსის 264-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული. პალატამ აღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, განმარტა, რომ სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნება სრულად გასაჩივრებული, ის ნაწილი, რომელიც არ გასაჩივრდა, შედის კანონიერ ძალაში და იქნება შესასრულებლად სავალდებულო. ამავდროულად, დაუშვებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აპელანტის საუარესოდ შებრუნება, რაც ემსახურება აპელანტის ინტერესების დაცვას და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში განხილვას. შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გამგეობას არ გაუსაჩივრებია, არამედ მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში იყო გასაჩივრებული ბ. დ-ის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩენილიყო დისკრიმინაციიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ნაწილში და პალატა ვერ იმსჯელებდა დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით დადასტურებული იყო მოპასუხის მიერ ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის განხორციელება. შესაბამისად, სააპელაციო პალატას, მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის



პირობებში, უნდა შეეფასებინა ბ. დ-ისთვის გაფრთხილების გამოცხადებისა და სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველ პუნქტზე, 79-ე მუხლზე, 99-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებზე და განმარტა, რომ საჯარო მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება მხოლოდ კონკრეტულ ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებს უნდა ეფუძნებოდეს, რომელთა არსებობაც შესაძლებელს ხდის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებას. გარდა იმისა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებისთვის დასაქმებულმა უნდა დაარღვიოს კონკრეტული ვალდებულება, ჩაიდინოს უღირსი საქციელი თუ ზიანი მიაყენოს საჯარო სამსახურს, აუცილებელია, რომ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე იყოს ჩადენილი ქმედების შესაბამისი და პროპორციული. სწორედ ამიტომ, პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ აქტი უნდა იყოს დასაბუთებული, საფუძვლიანი. რაც შეეხება სამსახურიდან გათავისუფლებას, იგი წარმოადგენს მოხელის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სანქციის უკიდურეს ზომას, რომელიც გამოიყენება, თუკი მოხელის მიმართ უკვე მოქმედებს, თუნდაც ერთი ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახედელი. გამონაკლის შემთხვევას კი წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა, რაც იძლევა საფუძველს მოხელე პირველივე დარღვევაზე სამსახურიდან გათავისუფლდეს. ამრიგად, აუცილებელია, რომ არსებობდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების კანონმდებლობით გათვალისწინებული ფაქტობრივი საფუძველი, რომელსაც შესაბამისმა პირმა უნდა მისცეს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და გამოიყენოს ყველაზე შესაბამისი სანქცია. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვა აუცილებელია პირის მიერ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების სრულყოფილად რეალიზებისთვის. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია შრომის თავისუფლება. პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო შემთხვევაში

ბ. დ-ეს გამოეცხადა გაფრთხილება, შემდგომში კი გათავისუფლდა სამსახურიდან იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბ. დ-ის სარგებლობაში გადაცემული ავტომანქანა ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანას წარმოადგენდა და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით, ავტომანქანის გამოყენებას და ბარათიდან საწვავის აღებას არასამუშაო დღეებში ჰქონდა ადგილი, აღნიშნული კი მიჩნეული იქნა სამსახურებრივი სახსრებით ბოროტად სარგებლობად, რამაც ქონებრივად დააზიანა ქ.თბილისის მერია. ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნა, რომ ბ. დ-ე მიზანმიმართულად და წინასწარგანზრახულად არღვევდა გამგეობის შინაგანანხეს და ვალდებულებას, შეესრულებინა საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები, ასევე, ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 8 ოქტომბრის დასკვნიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა ბ. დ-ის მიერ სამსახურის სახსრების ბოროტად გამოყენებას, რამაც ქონებრივი ზიანი მიაყენა მერიას. სააპელაციო პალატამ განმარტა, მართალია, გასაჩივრებული აქტების გამოცემის საფუძვლად მითითებულია აპელანტის მიერ გარკვეულ ვალდებულებათა დარღვევა და გამგეობისთვის ზიანის მიყენება, თუმცაა გასაჩივრებული ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 და 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანებების კანონიერების შემოწმებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობას. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, ქ. თბილისის მერის 2014 წლის 15 ივლისის არჩევნების შედეგად ქ. თბილისის მერად საარჩევნო ბლოკის – „...ის“ მიერ წარდგენილი კანდიდატის – დ. ნ-ას არჩევის შემდეგ, ისნის რაიონის ...ად დანიშნულმა ვ. ქ-მა ისნის რაიონის ...ის ...ე ბ. დ-ესთან, როგორც არჩევნებამდელი ხელისუფლების წევრთან, თანამშრომლობაზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ იგი პოლიტიკური გაერთიანება „ე...ის“ გუნდში იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვ. ქ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბ. დ-ისათვის შეთავაზებას, თავისი ინიციატივით დაეტოვებინა თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას სხვა გზით უზრუნველყოფდა. დასახელებული გარემოება დასტურდება მოსარჩელის განმარტებით, ბ. დ-ის მიერ ფარულად წარმოებული, ბ. დ-ისა და ...ის საუბრის აუდიოჩანაწერებითა და მათზე ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №001380816 დასკვნით, რომელიც მიღებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2016 წლის 15 მარტს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით კი, თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნა-  
ნილით დადასტურებულია მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციუ-  
ლი მოპყრობის განხორციელება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის  
მე-14 მუხლზე, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით  
თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რა-  
სისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და  
სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთ-  
ვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეო-  
ბისა, საცხოვრებელი ადგილისა. ასევე, მიუთითა „დისკრიმინაციის  
ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-  
ველ მუხლზე, ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველ და მე-2 პუნ-  
ქტებზე, ამავე კანონის მე-3 მუხლზე. სააპელაციო სასამართლომ  
განმარტა, რომ თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს უმნიშვნე-  
ლოვანეს სამართლებრივ პრინციპს, საქართველოს კონსტიტუცი-  
ითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ უფლებას, რომ-  
ლის დაუცველობაც იმთავითვე იწვევს პირთა სხვა უფლებების  
დარღვევას. სწორედ ამიტომ, თანასწორობის უფლებაში ნებისმი-  
ერი გაუმართლებელი ჩარევა მიიჩნევა რა დისკრიმინაციად, ყო-  
ველგვარ სამართლებრივ საფუძველს აცლის დისკრიმინაციული  
ქმედების თანმიმდევრულ, მის შედეგად განხორციელებულ სხვა  
ქმედებებსაც. შესაბამისად, ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული ქმე-  
დების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც აპელანტს ჯერ მი-  
ეცა გაფრთხილება, ხოლო მისი სამსახურიდან გათავისუფლებით  
განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებას დასრულებული სა-  
ხე მიეცა, წარმოადგენდა ბ. დ-ისათვის გაფრთხილების გამოცემის  
შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქ-  
ტომბრის №14 ბრძანებისა და ბ. დ-ის ისნის რაიონის ...ის ...ის თა-  
ნამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ისნის რაიონის გამგებ-  
ლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანების უკანონოდ მიჩნევის  
უპირობო საფუძველს. პალატის განმარტებით, შესაძლებელია, რომ  
პირის მიმართ არ განხორციელდეს დისკრიმინაციული მოპყრობა,  
თუმცა მისი სამსახურიდან გათავისუფლება იყოს უკანონო, მაგ-  
რამ თუკი პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დადგინდე-  
ბა, მოცემული ავტომატურად გულისხმობს პირის მიმართ დისკრი-  
მინირებული ღონისძიების გამოყენების შესახებ აქტის უკანონობასაც.  
სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბ. დ-ის მი-  
მართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი ფაქტობრივი  
გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ განმარ-  
ტა, რომ არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-

ცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობა, რადგან „მითითებული ნორმით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-861-853(კ-16)). „სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება და სასამართლო წარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მისი დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-380-375(2კ-16)).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევა საესეებით შესაძლებელს ხდიდა სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის ფაქტის დადგენიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანება ბ. დ-ისათვის გაფრთხილების გამოცხადების შესახებ, ასევე, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანება ბ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი პირს ანიჭებს შესაბამისი მოთხოვნის უფლებას სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში. მითითებული მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთა-

ვისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა მოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება. მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის №ბს-234-234(2კ-18) განჩინებაზე, რომელშიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლთან დაკავშირებით, „საკასაციო სასამართლო, უპირველესად, განმარტავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ წარმოად-

გენს ექსკლუზიურ, გამომრიცხველი ხასიათის კომპეტენციას. აღნიშნული ვალდებულების ექსკლუზიურობას არ ადგენს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მხოლოდ აღნიშნული ვალდებულების დაკისრების ფაქტი არ გულისხმობს სასამართლო კომპეტენციის გამორიცხვას, იმსჯელოს მოსარჩელის პირვანდელ, უფლების შელახვამდე არსებულ მდგომარეობაში აღდგენის საკითხზე და გადაწყვეტის იგი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, ბ. დ-ე აღდგენილი უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე, ამასთანავე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად მისაღები თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

რაც შეეხება გამოუყენებელი შვებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა საკითხი შვებულების ანაზღაურების ნაწილში. კერძოდ, დასტურდება, რომ ბ. დ-ეს თანამდებობიდან გათავისუფლების გამო შეზღუდვა და შესაბამისი აქტის გამოცემის დროისთვის – 2014 წელს გამოუყენებელი შვებულებით სარგებლობის უფლება, თანამდებობიდან გათავისუფლება კი სასამართლომ უკანონოდ ცნო. ამდენად, ბ. დ-ეს შვებულებით სარგებლობის უფლება კანონის დარღვევით შეიზღუდა, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა ამ ნაწილში დააკმაყოფილა. რაც შეეხება 2014 წლამდე შვებულებას, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ მის შეზღუდვასთან დაკავშირებით შესაბამის პერიოდში მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია, ამასთან, სადავო აქტები ვერ ჩაითვლებოდა 2014 წლამდე არსებული შეზღუდვის განმაპირობებელ აქტებად, ასეთი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა, ასევე, მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლად აღსასრულებლად გადაცემა სამსახურში აღდგენასა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების სრულად თუ ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ („ა“ ქვეპუნქტი); უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ („ბ“ ქვეპუნქტი). ამდენად, კონკრეტული კატეგორიის დაევებისადმი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობას. საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლად აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე სამსახურში აღდგენისა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო და გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

რაც შეეხება საპროცესო ხარჯებს, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯე-

ბი, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ითხოვს საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, რაც გასწია ადვოკატის მომსახურების მისაღებად, მინდობილობის შესადგენად, სასამართლოში წარმოსადგენი მტკიცებულებების მომზადების, მიღების, სასამართლოში გადმოგზავნის, სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირების მიზნით, ასევე, ითხოვს სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურებას. მოსარჩელის ინტერესები პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში ი. პ-მა წარმოადგინა. წარმომადგენლის მომსახურების ანაზღაურებასა თუ მის ოდენობასთან დაკავშირებით მოსარჩელეს ხელშეკრულება ან/და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგებია, თუმცა აღნიშნული არ მეტყველებს იმაზე, რომ მოსარჩელე წარმომადგენლის მომსახურებას არ ლებულობს ან ასეთი მომსახურება უსასყიდლოა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის შესაბამისად, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გასამრჯელო ჩაითვლება უსიციყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო. ამრიგად, მოსარჩელის მიერ მისი წარმომადგენლისაგან სამართლებრივი დახმარების მიღების ფაქტი ქმნის შესაბამისი ხარჯის რეალურობის გონივრულ პრეზუმფციას და მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გონივრულ ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს. მოსარჩელეს ასევე არ წარმოუდგენია სარჩელის, წერილობითი განცხადებებისა და შუამდგომლობების მომზადებაზე განეული, საფოსტო კავშირისათვის, მგზავრობისა და კვებისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დადგენილია მხოლოდ რწმუნებულების მომზადებაზე განეული ხარჯი – საქმეზე დართული რწმუნებულებით ირკვევა, რომ მასზე მოსარჩელემ 12 ლარის ხარჯი გასწია. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სავარაუდოდ ხარჯების გათვალისწინებით, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება 2700 ლა-



რის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი – გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე სამსახურში აღდგენისა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების ამ ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის დადგენის ნაწილში გაუქმება მოითხოვა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მოქმედების შესრულების შეჩერება, რომლითაც ბ. დ-ის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლად აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე, სამსახურში აღდგენისა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილება და გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რაც უნინარესად გამოწვეულია მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის არასათანადოდ განხილვის გამო დამდგარ არაორდინალურ შედეგებთან.

კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობაში სრულად განახლებული იყო ხელმძღვანელობა და აღარ არსებობდა ის გარემოებები, რის გამოც სასამართლომ დისკრიმინაციული მოპყრობა დადგენილად მიიჩნია, რაც სრულად განაპირობებდა სასამართლოს დავალების კანონიერად და ობიექტურად შესრულებას. შესაბამისად, გადაწყვეტილება გამგეობის მიერ არ გასაჩივრდა სააპელაციო წესით და

აღარ გაინელა ისედაც 4 წელი მიმდინარე დავა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უგულებელყო არსებული რეალობა. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, სათანადო ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დისკრიმინაციული მოპყრობის გამოვლენისათვის მთავარ მტკიცებულებად მიიჩნია რამდენიმე კერძო საუბართან დაკავშირებით საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის მასალა, სადაც გამოფრულია საუბრების შინაარსი. კერძო საუბრები პროვოცირებული იყო ბ. დ-ის მიერ, საუბრები წარმართა დ-ის ინიციატივით, მისი სურვილით. ფარული ჩანაწერების წარმოების დროს კი ბ. დ-ე თავადვე გამოხატავს სურვილს, რომ დიდხანს არ აპირებს იმ დროისათვის ახალ ხელმძღვანელობასთან მუშაობის გაგრძელებას, რაც კასატორის მოსაზრებით, მიანიშნებს იმ გარემოებებზე, რომ ბ. დ-ე თავადაც არ იყო დარწმუნებული რამდენად შეესაბამებოდა ...ის ...ის თანამდებობას ...-ის მიმართულებით, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს და რამდენად იყო მისთვის პრიორიტეტი პოლიტიკური მიზნები თუ საჯარო სამსახურის პრინციპები და ინტერესები.

ამასთან, კასატორი მართებულად მიიჩნევს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმის შესწავლასთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის, დაზუსტების გარეშე ბ. დ-ე თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით.

კასატორი აგრეთვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადების არანორმირებულად წარმოების პირობებში ასევე არანორმირებულად იზრდება ის ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შემდგომში შესაძლოა დაეკისროს მხარეს. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც შრომითი დავა სასამართლოში წლები მიმდინარეობს, შესაძლოა აღდგენის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, არსადგენი პირი შესაბამისობაში აღარც იყოს მანამდე დაკავებულ თანამდებობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობას კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნია კერძო საჩივრის გან-

ხილვა ზეპირი განხილვის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განჩინებით შეჩერდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მოქმედება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საკასაციო საჩივრის განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრებით, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის კერძო საჩივრის განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრებით და კერძო საჩივრის განხილვა დადგინდა საკასაციო საჩივართან ერთად. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით საქმის განხილვა გადაიდო იმავე დღეს, ზეპირი განხილვის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი სამართალურთიერთობის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო, ისევე როგორც სააპელაციო სასამართლო, მოკლებულია საპროცესო შესაძლებლობას სრული მოცულობით შეაფასოს წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა, რამეთუ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით, რომლითაც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ბ. დ-ის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველზე მიღებულ აქტებს, რომელმაც ბ. დ-ე არახელსაყ-

რელ მდგომარეობაში ჩააყენა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისა თუ მისდამი სიმპათიის გამო ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უპარტიო თუ სხვა პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერებთან) შედარებით და ამგვარ მოპყრობას არ გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი, რის გამოც საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა და დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა დისკრიმინაციული მოპყრობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ მოსარჩელის – ბ. დ-ის მიერ სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, ხოლო მოპასუხეს – ისნის რაიონის გამგეობას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია, გამგეობას არ გამოუყენებია შედავების პროცესულური შესაძლებლობა, რითაც სააპელაციო სასამართლო შეზღუდა სრული მოცულობით ემსჯელა სარჩელის საფუძვლიანობაზე და ფაქტობრივად გადაწყვიტა მოცემული დავის სამართლებრივი ბედი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამავე კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამონმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით. საუარესოდ შემობ-

რუნება, ე.ი. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია, ან ისე, როგორც მას არ მოუთხოვია – დაუშვებელია. აღნიშნული რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 384-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მითითებული კოდექსის 264-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული. განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით დადასტურებული იყო მოპასუხის მიერ ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, მხოლოდ ბ. დ-ის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო საპროცესო შესაძლებლობას ემსჯელა დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე/არარსებობაზე. სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, საკასაციო სასამართლოც მოკლებულია შესაძლებლობას შეფასება მისცეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესულ ნაწილს, რის გამოც, არსებითად მსჯელობის გარეშე, საქმეზე დადგენილად მიიჩნევს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობას, მიუთითებს მასზე და დამატებით აღნიშნავს, რომ გამგეობამ სააპელაციო საჩივრის წარუდგენლობით სააპელაციო სასამართლოს არ მისცა პროცესუალური შესაძლებლობა ემსჯელა საქმეზე სრული მოცულობით, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგნად იქცა მხოლოდ ბ. დ-ის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში აღმოეფხვრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე დამდგარი სამართლებრივი წინააღმდეგობა. კერძოდ, საქალაქო სასამართლომ, ერთი მხრივ, დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რაც მოსარჩელის მტკიცებით, საფუძვლად დაედო სადავო აქტებს, ხოლო, მეორე მხრივ, მიიჩნია, რომ ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინირებული წარმოებისას სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმის გარემოებები და საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით ხელახალი კვლევისთვის ადმინისტრაციულ ორგანოს დაუბრუნა. ეს იმ პირობებში, როდესაც დისკრიმინაციის ფაქტის დად-

გენა მის საფუძველზე გამოცემული აქტების უპირობოდ, არსებითად ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს და გამორიცხავს დავის 32.4 მუხლით გადანყვეტის პროცესუალურ შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ მოცემული სამართალურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელე ითხოვდა არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას ან დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტას, არამედ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 17.10.2014წ. №... და გაფრთხილების გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 06.10.2014წ. №14 ბრძანებების ბათილად ცნობას, რის საფუძველდაც უთითებდა დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მისი განთავისუფლება მოხდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, დისკრიმინაციული ქმედება გამოვლინდა სამსახურიდან გათავისუფლებაში, განთავისუფლების უკანონოდ ცნობის მიზნით კი მოსარჩელე მოითხოვდა მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენას. დისკრიმინაციის ფაქტის შესაძლო არსებობას მოსარჩელე აყენებდა იმ მიზნით, რომ დასაბუთებულიყო მისი სამსახურიდან განთავისუფლების არამართლზომიერება, ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, მოსარჩელე არ ითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას დამოუკიდებლად, მის საბოლოო მიზანს სამსახურში აღდგენა წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული დავის ფარგლებში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნების ერთად განხილვის აუცილებლობამ განაპირობა განსჯადობის საკითხის გადანყვეტაც, სადაც უზენაესი სასამართლო მიუთითებდა, რომ „სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადანყვეტილება უნდა დაეყრდნოს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას, სწორედ აღნიშნულზე იქნება ძირითადად დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილება ან უარი მის დაკმაყოფილებაზე. მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს შორის სხვაობა პირობითია, დავის გადანყვეტისათვის საჭირო ფაქტს სწორედ რომ სამართლებრივი დატვირთვა აქვს, დასადგენ ფაქტს სახელდობრ სამართლებრივი ასპექტის გამო აქვს მნიშვნელობა. დისკრიმინაციული ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოყვება დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრის სახით მოსარჩელის ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფაქტის დადგენას მოყვება აქტის

ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, ზიანის ანაზღაურება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.09.2016წ. №ბს-349-345(გ-16) განჩინება).

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე მოთხოვნებია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული ქმედება შესაძლოა განხორციელდეს სწორედ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, რის გამოც არამართებულია აქტის კანონიერების და დისკრიმინაციის ფაქტის ცალ-ცალკე შეფასება. საქალაქო სასამართლომ, მართალია, გააერთიანა და ერთი დავის ფარგლებში მოაქცია დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მასზე დაფუძნებული სასარჩელო მოთხოვნები, თუმცა რეალურად, საქმეზე დაყენებული შედეგის მიხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილა ისინი.

სადავო ბრძანებების გამოცემის საფუძვლად მითითებულია ბ.დ-ის დისციპლინურ გადაცდომებზე. საკასაციო სასამართლო მითითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურში საქმიანობა, საჯარო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობებისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. საჯარო მოსამსახურე საჯარო სამსახურში განხორციელებული საქმიანობის პროცესში ანგარიშვალდებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე და შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა და რომლის მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვა-

ლისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. თავის მხრივ, დისციპლინური გადაცდომისათვის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია მითითებული კანონის 99-ე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, გასაჩივრებული აქტების გამოცემის საფუძველად მითითებულია ბ. დ-ის მიერ გარკვეულ ვალდებულებათა დარღვევა და გამგეობისთვის ზიანის მიყენება, თუმცა გასაჩივრებული ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 და 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანებების კანონიერების შემოწმებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობას. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ პრინციპს, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ უფლებას, რომლის დაუცველობაც იმთავითვე იწვევს პირთა სხვა უფლებების დარღვევას. სწორედ ამიტომ, თანასწორობის უფლებაში ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევა მიიჩნევა რა დისკრიმინაციად, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს აცლის დისკრიმინაციული ქმედების თანმიმდევრულ, მის შედეგად განხორციელებულ სხვა ქმედებებსაც. შესაბამისად, ბ. დ-ის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ბ.



დ-ეს ჯერ მიეცა გაფრთხილება, ხოლო მისი სამსახურიდან გათავისუფლებით განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებას დასრულებული სახე მიეცა, წარმოადგენს ბ. დ-ისათვის გაფრთხილების გამოცემის შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 6 ოქტომბრის №14 ბრძანებისა და ბ. დ-ის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 17 ოქტომბრის №... ბრძანების უკანონოდ მიჩნევის უპირობო საფუძველს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ავტომატურად გულისხმობს პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ აქტის უკანონობასაც. დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას აქვს მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოყვება დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრის სახით სადავო აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სრულიად უსაგნოს ხდის დისციპლინური საფუძვლის არსებობა/არარსებობის საკითხის მოკვლევას და საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გადანყვევტის საჭიროებას.

ამდენად, აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზია, რომელიც სააპელაციო საჩივრის წარუდგენლობით დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვევტილებით დაყენებულ სამართლებრივ შედეგს, რამეთუ მოსარჩელის მიერ სადავო აქტების გამოცემის საფუძვლად მითითებული დისკრიმინაციული მოპყრობა დადგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვევტილებით, რომელიც გამგეობას არ გაუსაჩივრებია და შესულია კანონიერ ძალაში, შემდგომ წარმოდგენილი მოსაზრებები და საქმეზე არსებული გარემოებები კი ვერ შეცვლის დისკრიმინაციის ფაქტის დადგენით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებს. საკასაციო საჩივარში კასატორის მიერ მოთქმული პრეტენზიები შეეხება კანონიერ ძალაში შესული გადანყვევტილებით დამდგარ შედეგს, რომელიც გამგეობას, კანონით დადგენილი წესით, სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, აღნიშნულ ნაწილში გაურკვეველი და არათანმიმდევრულია საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი პოზიცია, სადაც კასატორი თავდაპირველად საქალაქო სასამართლოს გადანყვევტილებას აკრიტიკებს, რომელსაც დაეთანხმა და არ გაუსაჩივრებია, ხოლო ამავე საკასაციო საჩივარში ამავე დროულად საქალაქო სასამართლოს მსჯელობის მართებულობაზე მიუთითებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტების არსებითად ბათილად ცნობით გაასწორა საქალაქო სასამართლოს მიერ

გადანყვეტილების მიღებისას დაშვებული სამართლებრივი უსწორობა, რა დროსაც საქალაქო სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პირობებში, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, დისკრიმინაციის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის ხელახლა მოკვლევა დაავალა.

სადავო აქტების ბათილად ცნობას კი შედეგად მოსდევს პირის თავდაპირველ უფლებებში აღდგენა, შესაბამისად, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებულ მოხელეს ანიჭებდა განთავისუფლების უკანონოდ ცნობის, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლისა და თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნის უფლებას. მითითებული კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში ითვალისწინებდა მოხელის დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობდა აღდგენაზე. ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დანესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში. ამასთანავე, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევებს (თანამდებობის არარსებობის ან ამ თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების გამო). იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო საჯარო დანესებულებამ უნდა მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება უნდა დადგინდეს სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნების დანარჩენ ნაწილს, კერძოდ, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ნაწილში დავა უნდა გა-

დაწყდეს დავის განხილვის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის, 01.07.2017წ. ძალაში შესული „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში ახალი კანონი ზემოქმედებს კანონის მიღებამდე წარმოშობილი სამართალურთიერთობების მომავალში განვითარებაზე, კანონი ცვლის სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან (ნორმის გადაუდებელი მოქმედება). მოცემულ შემთხვევაში ნორმა ეხება აწმყოში მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს (სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება), სახელდობრ ამ თვალსაზრისით არის შესაძლებელი საუბარი განსახილველ შემთხვევაში უკუქცევით ძალაზე (კანონის ე.წ. არანამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალის მინიჭება კანონისთვის), რომელიც საჯარო სამართალში დასაშვებია (სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის სფეროს გარდა). კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან უფლება-მოვალეობებზე ზემოქმედება მისი საყოველთაობის გამოვლენა და არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო აქტში მისი მოქმედების წესის აღნიშვნაზე. ახალი კანონი ვრცელდება არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, არამედ აგრეთვე მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ მიმდინარე სამართალურთიერთობაზე, ახალი კანონი ზემოქმედებს უფლება-მოვალეობებზე მისი ძალაში შესვლის თარიღიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2019წ. №ბს-595-595(2კ-18) განჩინება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ამჟამად მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლზე მითითებით სამსახურში აღდგენის საკითხის შეფასება მართებულად მოახდინა სათანადო ნორმის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მართებულად მიუთითა 118-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურში აღდგენის პროცედურაზე, თუმცა მიღებული გადანყვეტილებით საქმის რეალური, იმჟამად არსებული გარემოებების გათვალისწინებლად, 118-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად ბ. დ-ე აღდგენილ იქნა პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე, რის გამოც ერთგვარი წინააღმდეგობა შეიქმნა გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილს შორის. სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბ. დ-ის სამსახურში აღდგენის საკითხის გადანყვეტის მიზნით, სააპელაციო პალა-

ტას უნდა გამოეკვლია მოსარჩელის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხზე, რის შემდეგაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის შესაბამისად გადაენწყვიტა ბ. დ-ის სამსახურში აღდგენის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ ვაკანტური იყო ...ის ...ის თანამდებობა, მოსარჩელე ექვემდებარებოდა სადავო თანამდებობაზე პირდაპირ აღდგენას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ...ის ...ის თანამდებობა დაკავებული იყო სხვა მოხელის მიერ, 118-ე მუხლის მიხედვით ბ. დ-ე ექვემდებარებოდა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლი კონკრეტულ ფაქტობრივ მოცემულობას უკავშირებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხი ერთმანეთისგან განასხვავებს სამუშაოზე აღდგენის პროცედურებსა და მექანიზმს.

აღსანიშნავია, რომ მოცემული საქმის განხილვის ყველა ეტაპზე დგინდებოდა, რომ ბ. დ-ის გათავისუფლების შემდგომ, ...ის ...ის თანამდებობა წლების განმავლობაში სხვადასხვა პირებს ეკავათ, სარჩელის აღძვრის მომენტშიც არ ყოფილა ვაკანტური სადავო თანამდებობა, მოსარჩელე სარჩელშივე მიუთითებდა მესამე პირად ...ის ... დ დანიშნულ პირს (თუმცა სარჩელის აღძვრის მომენტში მოქმედებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონი). არც სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ყოფილა ვაკანტური ...ის ...ის თანამდებობა, რასაც არსებითად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბ. დ-ის სამსახურში აღდგენის საკითხის შეფასებისას. გამგეობის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობაში ...ის ...ის თანამდებობაზე დანიშნულია კონკურსის წესით შერჩეული მოხელეები, რის თაობაზეც სააპელაციო სასამართლოს აცნობეს საქმის ზეპირი განხილვის დროს. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 30 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე, სადაც გამგეობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ მომენტისათვის ...ის ...ის თანამდებობას იკავებდა შესაბამისი პირი. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული სხდომის ჩანაწერი, მონიშნულმდეგე მხარის – ბ. დ-ის წარმომადგენლის მითითების საწინააღმდეგოდ, ადასტურებს, რომ გამგეობამ აღნიშნულის თაობაზე ფაქტი და ინფორმაცია ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლოს მიაწოდა. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 27 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, სადაც საკითხი დაისვა ...ის ...ის თანამდებობის ვაკანტურობაზე, ბ. დ-ის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ აღნიშნული აღსრულების წესს ეხებოდა. ამდენად, სააპელაციო სა-

სამართლომ საქმის განხილვისას, ერთი მხრივ, დასვა საკითხი ვაკანტური თანამდებობის არსებობის თაობაზე, სადაც აღინიშნა, რომ ...ის ...ის თანამდებობას იკავებდა შესაბამისი პირი, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღებისას, საქმეზე არსებული რეალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, ბ. დ-ე აღადგინა პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე, რა დროსაც გადამწყვეტი იყო თანამდებობის ვაკანტურობა. კასატორის – ისნის რაიონის გამგეობის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა ისნის რაიონის გამგეობის 2018 წლის 10 ივნისის ბრძანება, რომლის მიხედვით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლისა და 45-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, კონკურსის წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ...ის ...ის (...ის ...ე) თანამდებობაზე თორმეტი თვის გამოსაცდელი ვადით დანიშნა გ. შ-ი, ხოლო ისნის რაიონის გამგეობის 2019 წლის 18 ივნისის ბრძანებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობაში გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირველადი სტრუქტურული ერთეულის ...ის ...ე (...ის ...ე) გ. შ-ი ჩაითვალა განუსაზღვრელი ვადით დანიშნულად. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროისთვის – 2018 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, ჯერ კიდევ 2018 წლის ივნისიდან სადავო თანამდებობა კონკურსის წესით ეკავა შესაბამის პირს, რის თაობაზეც გამგეობა მიუთითებდა სააპელაციო სასამართლოს (სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი). საკასაციო სასამართლო ეთანხმება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებებში მოწინააღმდეგე მხარის მითითებას საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებთან დაკავშირებით და უდავოდ ადასტურებს, რომ საკასაციო სასამართლო არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, დაუშვებელია საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხი დაისვა სააპელაციო სასა-

მართლოში საქმის განხილვისას, რა დროსაც გამგეობის წარმომადგენლის მიერ 2018 წლის 30 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე აღინიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობაში ...ის ...ის თანამდებობაზე დანიშნული იყო შესაბამისი პირი, ამდენად, ადგილი არ ჰქონია ახალი ფაქტის საკასაციო სასამართლოში მითითებას. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე ბ. დ-ის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი გადაწყვიტა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს რეალურად არსებულმა ფაქტობრივმა მოცემულობამ და ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დასახელებულმა ფაქტმა ...ის ...ის თანამდებობის ვაკანტურობის არარსებობის თაობაზე. ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება არ გამოუნევევია საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მასალას, ...ის ...ის სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი მითითებულია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

ამასთან, გამგეობის მხრიდან აღნიშნული გარემოების მიუთითებლადაც, სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია მოსარჩელის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაფუძნებია პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე ბ. დ-ის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ ფაქტს, სააპელაციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა გადაწყვეტილების მიღებისას არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლი გამორიცხავს სასამართლოს მიერ პირდაპირ სადავო თანამდებობაზე აღდგენას ასეთი თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების დროს, 118-ე მუხლი აღდგენს და განსაზღვრავს თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის პირდაპირ აღდგენას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონით შემოტანილი რეგულაციით მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრობოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შე-

უძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით.

რაც შეეხება გამგეობის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მასალას ბ. დ-ის რეზერვში ჩარიცხვისა და ბ. დ-ისთვის კომპენსაციის გადახდის თაობაზე, აღნიშნული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს და მას შემხებლობა არ აქვს სამსახურში აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას. პირდაპირ ...ის ...ის თანამდებობაზე აღსადგენად გამომწყვეტია აღნიშნული პოზიციის ვაკანტურობა. გამგეობის მიერ წარმოდგენილი მასალით, მათ შორის რეზერვში ჩარიცხული ბ. დ-ისთვის კომპენსაციის გადახდის ქვითრებით, შესაძლოა დადასტურდეს გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისობა აღსასრულებელ მოთხოვნასთან, აღნიშნული საკითხის სადავოდ ქცევის შემთხვევაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე ბ. დ-ის აღდგენის ნაწილში და იზიარებს ბ. დ-ის აღდგენის პროცედურას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც განხორციელდა კიდევაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ...ის ...ის თანამდებობა დაკავებული იყო და მასზე მოსარჩელის აღდგენა ვერ განხორციელდა.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მისცემოდა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით (იხ. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელი

№735 (იხ. საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საფუძვლიანია ბ. დ-ის მოთხოვნა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ბ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, რაც წარმოადგენს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების წინაპირობას. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი განაცდური ყოველთვიურად მისაღები თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენისა და 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რაზეც სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულია შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი. საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალით კი დასტურდება, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ფარგლებში ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 4 თებერვლის ბრძანებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-5 პუნქტის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების (საქმეზე №33/601-18) სარეზოლუციო ნაწილის 3.4 და მე-4 პუნქტების, ისნის რაიონის გამგეობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის იურიდიული განყოფილების უფროსის 2019 წლის 31 იანვრის მოხსენებითი ბარათის №36-01190313659 საფუძველზე, ბ. დ-ე ჩაირიცხა საჯარო სამსახურის მოხელეთა რეზერვში და ქალაქ თბილისის მუ-



ნიციპალიტიკის ისნის რაიონის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებას დაევალა კომპენსაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე ბრძანებით განიმარტა ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობა და წესი. გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გამგეობის მიერ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, მართალია, ბ. დ-ე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სათანადოდ არ იქნა მოძიებული ტოლფასი თანამდებობა მერიის მუნიციპალიტიკის სტრუქტურაში და ზოგადად საჯარო სექტორში, თუმცა რეზერვში ჩარიცხვაზე ბ. დ-ემ თანხმობა განაცხადა და აღნიშნული დაადასტურა ხელმოწერით. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა მიერ არ დაფიქსირებულა აღნიშნული ბრძანების გასაჩივრების ფაქტი, შესაბამისად, იგი მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა. ამდენად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოცულობისთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება განხორციელებულია 2019 წლის 4 თებერვალს ბ. დ-ის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემით, რაც საყურადღებოა გამგეობის მიერ ბ. დ-ისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდთან დაკავშირებით, რამეთუ სააპელაციო სასამართლოს მიერ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პერიოდი განსაზღვრულია 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გადანყვეტილების აღსრულების დღემდე.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტიკის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება 2700 ლარის ოდენობით, რაზეც გამგეობას საკასაციო სასამართლოში პრეტენზია არ განუცხადებია, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზიას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეფასება მისცეს გამგეობისათვის სასამართლოს გარეშე ხარჯების სახით დაკისრებული თანხის საფუძვლიანობასა და ოდენობას.

ამასთან, უსაფუძვლოა მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმული პრეტენზია სასამართლო სხდომიდან საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გადადების თაობაზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიხედულებას წარმოადგენს საქმის განხილვის ფორმის განსაზღვრა. ამასთან, სასამართლო სხდომიდან საქმე ზეპირი განხილვის გარეშე გადადებულია საოქმო განჩინებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-

თლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე ბ. დ-ის აღდგენის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები, რომლითაც ბ. დ-ის სარჩელი პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს; ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი შესაგებლეთ მოწინააღმდეგე მხარე ითხოვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სასამართლოს გარეშე ხარჯების სახით ადვოკატის დახმარებისათვის განუხილავ ხარჯისა და სხვა ხარჯების გამგეობისათვის დაკისრებას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის მოთხოვნებით, აგრეთვე მხედველობაში იღებს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობას, ხანგრძლივობას და სხვა გარემოებებს. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოში მხარეთა (მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის) მონაწილეობით საქმეზე მხოლოდ ერთხელ ჩატარდა სხდომა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზიები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებულ ნაწილთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული, კასაციის ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სასამართლოს გარეშე ხარჯების (ადვოკატის დახმარებისათვის და სხვა ხარჯების) ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

## გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე ბ. დ-ის აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ბ. დ-ის სარჩელი პირდაპირ (უშუალოდ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას მოსარჩელე ბ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სახელფასო დავალიანება და კომპენსაცია

### მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1049(კ-18)

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 9 მარტს დ. კ-მა, ე. ყ-მა, გ. გ-მა, ა. მ-მა და მ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით ე. ყ-ისა და გ. გ-ის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

მოსარჩელებების განმარტებით, 1990 წლის 28 ოქტომბერს 5 წლის ვადით იქნენ არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებად. სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის ისინი იღებდნენ ყოველთვიურ გასამრჯელოს. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების შედეგად მათ ვადამდე შეუწყდათ სადეპუტატო უფლებამოსილება, რის გამოც 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე კუთვნილი ხელფასი ვერ აიღეს. გამონაკლისს წარმოადგენდა დ. კ-ი, რომელიც 1992 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად და 1992 წლიდან, როგორც პარლამენტის წევრი იღებდა ხელფასს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს პარლამენტისათვის დ. კ-ის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების სახით 1991 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ნოემბრამდე მიუღებელი ხელფასის – 45 428 ლარის ოდენობით, ა. მ-ის სასარგებლოდ – 45 428 ლარის ოდენობითა და მ. ხ-ის

სასარგებლოდ – 45 428 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. კ. ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ დ. კ-ი, ა. მ-ი, მ. ხ-ი წარმოადგენდნენ 1990-1992 წწ. მოწვევის საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არჩეული იყვნენ 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების საფუძველზე. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1913/2-1 ცნობის მიხედვით, დ. კ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1916/2-1 ცნობის მიხედვით, ა. მ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1917/2-1 ცნობის მიხედვით, მ. ხ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების პირობები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და სესიის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილეებს ხელფასი განესაზღვრათ 1700 მანეთი, მუდმივი კომისიების მდივნებს 1600 მანეთი, ქვეკომისიათა თავმჯდომარეებს 1500 მანეთი. უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც წყვეტდნენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას და იყვნენ მუდმივი კომისიის წევრები ხელფასი განესაზღვრათ 1400 მანეთით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის 22 ივლისის №7-2138 ცნობით დადგენილი იყო, რომ მანეთის, კუპონისა და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, 1991 წლის ნოემბრის 1400 მანეთი შეადგენს 877,32 ლარს; 1991 წლის ნოემბრის 1600 მანეთი შეადგენს 1002,65 ლარს; 1991 წლის 1700 მანეთი შეადგენს 1065,32 ლარს.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1992 წლის 2 იანვარს სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის და მასთან ერთად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეკლარატა უფლებამოსილება.

„1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების

შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების თანახმად, 1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. იმავე დადგენილებით, საქართველოს პარლამენტის მიერ დაგმოხილ იქნა სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა.

„1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იმავე დადგენილებით დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საქართველოს პარლამენტის აპარატის 2006 წლის 1 თებერვლის №06-636 წერილით დ. კ-ს ეცნობა, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემებით პარლამენტის აპარატს უზენაესი საბჭოდან არცერთი სახის დავალიანება არ გადასცემია, შესაბამისად, საკითხი უნდა გადაეწყვიტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

დ. კ-მა, ა. მ-მა და მ. ხ-მა 2015 წლის 9 მარტს სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს პარლამენტის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. კ-მა, ა. მ-მა და მ. ხ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის განჩინებით დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლოს საკითხის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა ექვემდებარებოდა თუ არა დაკმაყოფილებას მოთხოვნა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, 1991 წლის დეკემბრის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ხოლო აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ უნდა გამოეკვეთა და დაედგინა მოსარჩელებს მიღებული ჰქონდათ თუ არა 1991 წლის დეკემბრის ხელფასი. რაც შეეხება მოთხოვნას სადეპუტატო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი სადავო პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების უფლებას უკავშირებდა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და ამ შეწყვეტის უკანონობის სათანადო ორგანოების მიერ დადასტურების ფაქტს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. მოსარჩელები თანამდებობიდან დათხოვნილ იქნენ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად, რაც შემდგომში დაგმობილ იქნა სახელმწიფოს მიერ.

ამდენად, სახეზე იყო კლასიკური შრომითი ურთიერთობებისაგან განსხვავებული შემთხვევა, რის გამოც კანონმდებელმა მოახდინა რა ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოს დათხოვნის ფაქტის სამართლებრივი შეფასება და მის ნევრებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა, სრულიად სხვა სამართლებრივ რეჟიმში მოაქცია მათი სამართლებრივი მდგომარეობა. ამასთან, იძულებითი განაცდურისა და რეპრესიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სრულიად სხვადასხვა სამართლებრივი რეგულირება გააჩნიათ, რის გამოც საქალაქო სასამართლოს უნდა ემსჯელა თუ რამდენად იყო სახეზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. კ. ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგინოდად მიიჩნია, რომ დ. კ-ი, ა. მ-ი და მ. ხ-ი წარმოადგენდნენ 1990-1992 წწ. მონვევის საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც

არჩეული იყვნენ 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების საფუძველზე. ამდენად, ისინი შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოსთან.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების – უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატების სტატუსს, მათ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს განსაზღვრავდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონი. მითითებული კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტდა საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუნაზღაურებოდა ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებისათვის განვითარებული მოვლენების შედეგად მათ დათხოვნამდე, 1991 წლის როგორც ნოემბრისა და დეკემბრის თვის ხელფასისა და დანაშაულის ანაზღაურება, ასევე შემდგომი პერიოდისათვის იძულებითი განაცდელის გადახდის დაკისრება.

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 20 დეკემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრული იყო სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელფასის ოდენობები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრებისათვის. მითითებული დებულების მე-2 პუნქტის თანახმად, უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც წყვეტდნენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტის დღიდან ეძლეოდათ ყოველთვიური ხელფასი 600 მანეთის ოდენობით. ამავე დებულების მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა წევრს დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯებისათვის ყოველთვიურად ეძლეოდა 200 მანეთი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელები ითხოვდნენ 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეების ხელფასის ანაზღაურებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 19.11.1991წ. დადგენილების საფუძველზე, რომლის მიხედვით უზენაესი საბჭოს წევრის ხელფასი შეადგენდა 1400 მანეთს თვეში. საქმის მასა-



ლებით არ დასტურდებოდა უზენაესი საბჭოს წევრების მიერ ხელფასის მიღება პრეზიდენტის 19.11.91წ. №311 დადგენილების საფუძველზე, ამასთანავე, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება“ საკანონმდებლო კოლეგიური ორგანოს – უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული 20.12.1990წ. კანონით არის დამტკიცებული, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ ხელმოწერილი უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება კი იერარქიულად ნაკლები ძალის მქონე აქტია, ის ვერ შეცვლიდა კანონით დადგენილ დანაწესს, ამასთანავე, სესიებს შორის პერიოდში გამოცემული უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის 19.11.1991წ. დადგენილება დასამტკიცებლად სესიაზე არ წარდგენილა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 13.10.2016წ. №ბს-11-11(კ-15)).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილებაზე, რომელშიც მითითებული იყო უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებთან ანგარიშსწორებაზე. კერძოდ, მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულ დადგენილებაზე დაყრდნობით, სასამართლოს უნდა გამოეკვლია და სამართლებრივი შეფასება მოეხდინა განხორციელდა თუ არა ანგარიშსწორება უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან და მათ მიღებული ჰქონდათ თუ არა იმ თვეების (1991 წლის ნოემბერი და დეკემბერი) ხელფასი, როდესაც ისინი რეალურად ახორციელებდნენ სადეპუტატო უფლებამოსილებას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის აპარატის 2006 წლის 1 თებერვლის №06-636 წერილით დ. კ.-ს ეცნობა, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემებით პარლამენტის აპარატს უზენაესი საბჭოდან არცერთი სახის დავალიანება არ გადასცემია, შესაბამისად, საკითხი უნდა გადაეწყვიტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცე-

ბის ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა აღნიშნული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაყრდნობით, მეორე მხარეს არ ათავისუფლებს დამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, მათ შორის ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კუთვნილი ხელფასის გაცემის ფაქტი უნდა დადასტურებულიყო შესაბამის დაწესებულებაში დაცული სახელფასო უწყისებით, რომელიც შეიცავდა მონაცემებს ხელფასის გაცემის შესახებ და თანხის მიმღები პირის ხელმოწერას, რითაც უდავოდ დადასტურებული იქნებოდა მოსარჩელეთა მიმართ 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის დავალიანების არარსებობის ფაქტი, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული საბუღალტრო თუ სხვა ფინანსური დოკუმენტაცია, რის გამოც მოპასუხე ობიექტურად იყო მოკლებული შესაძლებლობას, წარმოედგინა იმ სახის მტკიცებულებები, ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლომ არაგონივრულად მიიჩნია მოსარჩელის განმარტების ცალმხრივად გაზიარება, მით უფრო იმ პირობებში, რომ ისინი მოითხოვდნენ არა მხოლოდ 1991 წლის დეკემბრის, არამედ ნოემბრის თვის ხელფასის ანაზღაურებასაც. სასამართლომ გაიზიარა რა საქართველოს პარლამენტის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემები იმის შესახებ, რომ პარლამენტის აპარატს უზენაესი საბჭოდან არცერთი სახის დავალიანება არ გადასცემია, უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელების მოთხოვნა 1991 წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეების შრომის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრების თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ასევე უსაფუძვლო იყო სადეპუტატო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის – 1992 წლის იანვრიდან 1995 წლის ნოემბრამდე პერიოდის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა.

2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაიგმო სახელმწიფო პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მეთოდები. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებით დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეჩერების და საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებული დადგენილებების მიღების პერიოდში მოქმედი 28.06.1973წ. შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, რომელიც ძალადაკარგულად 25.05.06წ. კანონით გამოცხადდა, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურებოდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამთვიანი ვადა ერთ წლამდე გაიზარდა). სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ნორმის შინაარსი (ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს, კერძოდ, სახეზე უნდა ყოფილიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა (სუს 22.10.2009წ. №ბს-708-674(კ-09)).

სასამართლომ მიუთითა, რომ 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირება განიხილება როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკული პერიოდი, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები. საქართველოს პარლამენტმა ეროვნული თანხმობის პროცესის ხელშეწყობის, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების მიზნით დაგმო შეიარაღებული ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება. საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილების მიღების დროს მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ 29.10.1996წ. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს კანონთან მიმართებაში წარმოადგენდა იერარქიულად ქვემდგომ ნორმატიულ აქტს, მას

არ შეეძლო შეეცვალა ან შეენეციტა შრომის კოდექსის ნორმების მოქმედება. საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილებით არ გაუქმებულა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 13.10.2016წ. №ბს-11-11(კ-15)).

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება მასზედ, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობის დადასტურება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ფორმალურად ტოლფასი იყო იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდებოდა უკანონოდ დათხოვნილი პირის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ მიიჩნეოდა მოსარჩელეთა სამსახურიდან იძულებითი გათავისუფლების ტოლფას ისეთ შემთხვევად, როდესაც სასამართლოს მიერ ხორციელდებოდა უკანონოდ დათხოვნილი პირის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რადგან იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენდა სამსახურში აღდგენის მოთხოვნის თანმდევ შედეგს, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო პირის უკანონოდ დათხოვნა დამსაქმებლის ბრალეული ქმედების საფუძველზე უნდა ყოფილიყო განპირობებული, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო იმ ორგანომ – საქართველოს უზენაესმა საბჭომ, სადაც მოსარჩელები საქმიანობდნენ, საქმიანობა შეწყვიტა იძულებით, თავისი ნების საწინააღმდეგოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტს მოსარჩელები არ გაუთავისუფლებია დაკავებული თანამდებობებიდან და მათი სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი არ უკავშირდებოდა მოპასუხის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებას, ამასთან, მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენა არ მომხდარა, რის გამოც მათი მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. იმავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ნევრებისათვის განვითარებული მოვლენების შედეგად, მათ დათხოვნამდე, 1991 წლის როგორც ნოემბრისა და დეკემბრის თვის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურება, ასევე შემდგომი პერიოდისათვის (1995 წლის ნოემბრამდე) იძულებითი განაცდურის გადახდის დაკისრება, ხოლო მოსარჩელებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2015 წლის მარტში, შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მითითებული პერიოდიდან 20 წელზე მეტი დროის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ მოსარჩელეთა მოთხოვნები სათანადო სამართლებრივი საფუძვლებით იქნებოდა გამყარებული, აღნიშნული მოთხოვნები ხანდაზმულის იყო, რაც მოპასუხეს ათავისუფლებდა ვალდებულების (ასეთის არსებობის დადასტურების შემთხვევაში) შესრულების მოვალეობისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. კ-მა, ა. მ-მა და მ. ხ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა; საქართველოს პარლამენტს დაეკისრა დ. კ-ის სასარგებლოდ – 936,08 ლარის, ა. მ-ის სასარგებლოდ – 936,08

ლარის, მ. ხ-ის სასარგებლოდ – 936,08 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აპელანტთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხის შესწავლისას დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული მოთხოვნა 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასის ანაზღაურების შესახებ, რადგან ამ პერიოდში დ. კ-ი, მ. ხ-ი და ა. მ-ი ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობებს. რაც შეეხება მოთხოვნას შემდგომი პერიოდის იძულებითი განაცდურის გადახდის დაკისრების თაობაზე, აღნიშნული ექცევა სხვა სამართლებრივი მოწესრიგების ქვეშ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება წარმოშობს შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნას. კონკრეტულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა არა ის გარემოება, რომ მოსარჩელებს არ უნდა მიეღოთ შესაბამისი ხელფასი, არამედ სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასის გაუცემლობა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვერ ახერხებს სათანადო დოკუმენტაციის, აპელანტებთან ანგარიშსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას, არასწორია მტკიცების ტვირთის ფიზიკურ პირებზე გადატანა, მით უფრო, რომ შეუძლებელია აპელანტებმა უზრუნველყონ უარყოფითი ფაქტის არსებობის – ხელფასის მიუღებლობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. სწორედ ამიტომ, სადავო შემთხვევის სპეციფიკის, აპელანტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, 1991 წლის ბოლოს განვითარებული მოვლენების თავისებურებიდან გამომდინარე, ვინაიდან საწინააღმდეგო ფაქტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა შეუძლებელია და სავარაუდოა, რომ ქვეყანაში მომხდარი გადატრიალების შედეგად სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს ამ პერიოდში ხელფასი არ მიეცემოდათ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტებს უნდა აუნაზღაურდეთ 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სადეკლარაციო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის 1992 წლის იანვრიდან 1995 წლის ნოემბრამდე პერიოდის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების შესახებ, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ იძულებით განაცდურის ანაზღაურება წარმო-

ადგენს სამსახურში ადღგენის მოთხოვნის თანმდევ შედეგს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო პირის უკანონოდ დათხოვნა დამსაქმებლის ბრალეული ქმედების საფუძველზე უნდა იყოს განპირობებული, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. საქართველოს პარლამენტს მოსარჩელები არ გაუთავისუფლებია დაკავებული თანამდებობებიდან და მათი სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი არ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებას, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა სამსახურში ადღგენა არ მომხდარა, რის გამოც მათი მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებაში და განმარტა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა მოთხოვნის წარმოშობის და ასეთის შესახებ პირის შეტყობის გარეშე ვერ დაიწყება. კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, 1991-1992 წლებში განვითარებული მოვლენებით დაირღვა აპელანტთა უფლებები, რაც იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ მხოლოდ ასეთი ინფორმაციის არსებობა, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით არ არის გამყარებული და პირს საკანონმდებლო დონეზე არ აქვს მინიჭებული საკუთარი უფლების დაცვის რეალური შესაძლებლობა, ნორმატიულად არ არის გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნის წარმოშობის, გამოხატვის, დამყოფილების მექანიზმი, ვერ გამოიწვევს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას. კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით დაადასტურა საქართველოს პარლამენტმა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იმავე დადგენილებით დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. ამდენად, აღნიშნული დადგენილებით მოხდა აპელანტთა უფლებების დარღვევის აღიარება, რაც შესაბამის მოთხოვნას წარმოშობს. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენაც ამ მომენტს უნდა დაუკავშირდეს. ვინაიდან სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 9 მარტს, დაცულია კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დააკისრა ისეთი მტკიცების ტვირთი, რომლის დამტკიცებისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის გათავისუფლებას, კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შედეგად საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაში განჩნდა ხანძარი, რის გამოც განადგურდა საბუღალტრო თუ სხვა სახის ფინანსური დოკუმენტაცია, შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამო, მათი მხრიდან ვერ იქნა წარდგენილი სასამართლოში ხელფასების გაცემის დამადასტურებელი უწყისები, რაც სასამართლოს მხრიდან საფუძველი გახდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა – 1991 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეების ხელფასების საქართველოს პარლამენტისათვის დასაკისრებლად, რაც უკანონო და არასამართლიანია.

ამასთან, კასატორის მითითებით, მიუხედავად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიური შინაარსის საქმეებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკისა, სასამართლომ მიიღო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება 1991 წლის ნოემბრის თვის ხელფასის დაკისრებას, რაც არასამართლიანს ხდის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მსჯელობა უფრო ვარაუდზეა აგებული და არ შეესაბამება კონკრეტულ სადავო პერიოდში არსებულ რეალობას. როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული მოვლენები დაიწყო 1991 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში და გაგრძელდა 1992 წლის იანვარში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ჩანაწერით არ იკითხება, რა პერიოდს გულისხმობს დადგენილება, შესაბამისად, ნოემბრის თვეში ხელფასის გაცემისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა და რა საფუძველით მიიჩნია სასამართლომ, რომ ზემოაღნიშნული მოვლენების გამო მოსარჩელებს სავარაუდოდ არ შეიძლება ჰქონოდათ აღებული ნო-



ემბრის თვის ხელფასი, გაურკვეველია. ასევე, ანალოგიურ საქმეებზე სხვადასხვა სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით არსად არ დაფიქსირებულა მოსარჩელების (დაახლოებით 70-მდე მოსარჩელე) მხრიდან ნოემბრის თვის ხელფასის მიუღებლობის საკითხი, ანუ, არც ერთ სასარჩელო მოთხოვნაში ნოემბრის თვის ხელფასის მოთხოვნა არ ყოფილა დასმული, განსხვავებით დეკემბრის თვის ხელფასისა, რომელსაც ყველა მოსარჩელე მოითხოვდა სარჩელით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს აბსოლუტურად სწორ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, წარმოადგინოს იმ სახის მტკიცებულებები (ხელფასის გაცემის დამადასტურებელი უწყისები) ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე გაიზიარა საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემები იმის შესახებ, რომ პარლამენტის აპარატს უზენაესი საბჭოდან არც ერთი სახის დავალიანება არ გადასცემია, შესაბამისად, უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელების მოთხოვნა 1991 წლის ნოემბერ-დეკემბრის შრომის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, რაც სავსებით საფუძვლიანია.

სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისათვის გარემოებათა დამტკიცების თვალსაზრისით მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი საპროცესო შესაძლებლობანი. ცნობილია ის გარემოება, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები სასამართლოს მიერ აღიარებულია, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ასევე ცნობილია, მათ შორის ყველაზე კარგად მოსარჩელებისათვის, რომ ამ მოვლენების შედეგად ყოფილი უზენაესი საბჭოს (ამჟამად, ქ. თბილისში, რუსთაველის 8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლე) შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, თითქმის მთლიანად განადგურდა საბუღალტრო თუ სხვა სახის ფინანსური დოკუმენტაცია, რაც ინახებოდა აღნიშნული დაწესებულების ბუღალტერიაში. შესაბამისად, სასამართლომ მხარეს დააკისროს იმ ვალდებულების შესრულება, რაც დასაწყისშივე ცნობილია, რომ ვერ შესრულდება ობიექტური მიზეზების გამო, ნამდვილად ეწინააღმდეგება მხარეთა თანაბრობის და შეჯიბრებითობის პრინციპს და მხარეებს აყენებს არათანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქ-  
ნა მიღებული საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საქართვე-  
ლოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი 1991 წლის ნოემბრის ხელ-  
ფასის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი  
განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; საქართველოს  
პარლამენტის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქ-  
ნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-  
ტის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-  
ციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გა-  
დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-  
დეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო სა-  
ჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-  
ლატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში  
და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლი-  
თაც დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი 1991 წლის ნოემბრის ხელ-  
ფასის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ  
შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დ. კ-ი, ა. მ-ი, მ. ხ-ი წარმოად-  
გენდნენ 1990-1992 წწ. მოწვევის საქართველოს უზენაესი საბჭოს  
წევრებს, რომლებიც არჩეული იყვნენ 1990 წლის 28 ოქტომბერს  
ჩატარებული არჩევნების საფუძველზე. კერძოდ, საქართველოს  
პარლამენტის აპარატის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1913/2-1  
ცნობის მიხედვით, დ. კ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს  
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენ-  
ტის აპარატის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1916/2-1 ცნობის  
მიხედვით, ა. მ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლი-  
კის უზენაესი საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენტის აპარა-  
ტის უფროსის 2015 წლის 4 მარტის №1917/2-1 ცნობის მიხედვით,  
მ. ხ-ი 1990-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაე-  
სი საბჭოს წევრი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
1991 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით განისაზღვრა საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების შრომის ანაზღაუ-  
რების პირობები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და სესიის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილეებს ხელფასი განესაზღვრათ 1700 მანეთი, მუდმივი კომისიების მდივნებს 1600 მანეთი, ქვეკომისიათა თავმჯდომარეებს 1500 მანეთი. უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც წყვეტდნენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას და იყვნენ მუდმივი კომისიის წევრები ხელფასი განესაზღვრათ 1400 მანეთით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის 22 ივლისის №7-2138 ცნობით დადგენილი იყო, რომ მანეთის, კუპონისა და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, 1991 წლის ნოემბრის 1400 მანეთი შეადგენს 877,32 ლარს; 1991 წლის ნოემბრის 1600 მანეთი შეადგენს 1002,65 ლარს; 1991 წლის 1700 მანეთი შეადგენს 1065,32 ლარს.

დადგენილია, რომ 1992 წლის 2 იანვარს სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის და მასთან ერთად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილება.

„1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების თანახმად, 1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. იმავე დადგენილებით, საქართველოს პარლამენტის მიერ დაგმოხილ იქნა სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა.

„1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იმავე დადგენილებით დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საქართველოს პარლამენტის აპარატის 2006 წლის 1 თებერვლის №06-636 წერილით დ. კ.-ს ეცნობა, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემებით პარლამენტის აპარატს უზენაესი საბჭოდან არც ერთი სახის დავალიანება არ გადასცემია, შესაბამისად, საკითხი უნდა გადაწყვიტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ რამდენა-

დაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი მხოლოდ 1991 წლის ნოემბრის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში იქნა მიჩნეული დასაშვებად, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლო განსახილველ დავასთან მიმართებით სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ დამკვეთი ნაწილის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით იმსჯელებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების – უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატების სტატუსს – მათ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუცია, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონი. მითითებული კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წევრად სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუნაზღაურდებოდა ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი შემთხვევის ფარგლებში, შეფასებას საჭიროებს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებისათვის განვითარებული მოვლენების შედეგად, მოსარჩელეთათვის 1991 წლის ნოემბრის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების საკითხის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილებაზე, რომელშიც მითითებული იყო უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებთან ანგარიშსწორებაზე. კერძოდ, მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, მითითებულ დადგენილებაზე დაყრდნობით, შესაფასებე-

ლია, განხორციელდა თუ არა ანგარიშსწორება უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან და მიღებული ჰქონდათ თუ არა მათ 1991 წლის ნოემბრის, ანუ იმ პერიოდის ხელფასი, რომლის განმავლობაშიც ისინი რეალურად ახორციელებდნენ სადეპუტატო უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იმავე დადგენილებით დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის №ბს-11-11(კ-15) განჩინებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირება განიხილება, როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკული პერიოდი, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები. საქართველოს პარლამენტმა ეროვნული თანხმობის პროცესის ხელშეწყობის, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების მიზნით დაგმო შეიარაღებული ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება.“

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასა-

დასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, მათ შორის ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული საბუღალტრო თუ სხვა ფინანსური დოკუმენტაცია, რის გამოც მოპასუხე ობიექტურად არის მოკლებული შესაძლებლობას წარმოადგინოს იმ სახის მტკიცებულებები, ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელეთა სასარგებლოდ 1991 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ხელფასის მოპასუხისათვის დაკისრებასთან მიმართებით, მეტწილად, ქვეყანაში მომხდარი გადატრიალების შემთხვევის არსებობით არის განპირობებული. ამდენად, მოცემული სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სწორედ ქვეყანაში განვითარებული და შემდგომში ანტიკონსტიტუციურად აღიარებული მოვლენები, რომლებსაც შედეგად ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობაში ხანძრის გაჩენა მოჰყვა. თუმცა არსებითია ისიც, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის თვეს უკავშირდება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი, რომ ქვეყანაში მომხდარი გადატრიალების შედეგად სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს 1991 წლის ნოემბერში ხელფასი არ მიეცემოდათ, არ შეესაბამება ფაქტობრივ მოცემულობას, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევას გააჩნდა რაიმე შემხებლობა 1991 წლის ნოემბრის თვესთანაც, რაც აღნიშნულ პერიოდშიც ართულებდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებისათვის 1991 წლის კუთვნილი ხელფასის ანაზღაურებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა 1991 წლის ნოემბრის თვის ხელფასის ანაზღაურებასთან მიმართებით უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ჩამოყალიბებული აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. საქმე №ბს-708-674(კ-09), №ბს-302-293(კ-13), №ბს-583-576(2კ-15), №ბს-144-

143(2კ-16), №ბს-11-11(კ-15), №ბს-783-779(2კ-17)).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი 1991 წლის ნოემბრის ხელფასის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. კ-ის, ა. მ-ისა და მ. ხ-ის სარჩელი 1991 წლის ნოემბრის ხელფასის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1104(კ-18)

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 6 ნოემბერს ც. ჯ-მა და თ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ც. ჯ-ის სასარგებლოდ 1998-2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების – 1035.27 ლარის, ხოლო თ. მ-ის სასარგებლოდ – 597.72 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ც. ჯ-ის და თ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ც. ჯ-ის მიმართ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ირიცხება სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს სახით 1035.27 ლარის ოდენობით. თ. მ-ის მიმართ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ირიცხება სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს სახით 597.72 ლარის ოდენობით.

მოსარჩევე ც. ჯ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო მოსარჩევე თ. მ-ემ 2017 წლის 12 სექტემბერს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის № MOD 9 17 00962929 წერილის თანახმად, 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე, ც. ჯ-ს ეცნობა, რომ წინა წლებში წარმოქმნი-



ლი დავალიანების დასაფარად თავდაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნებები არ იყო გამოყოფილი, სამწუხაროდ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ც. ჯ-ის მოთხოვნა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი და ამავდროულად ძალადაკარგულად გამოცხადდა ძველი. დადგენილი იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის № MOD 9 17 00962929 წერილის თანახმად, 2017 წლის 2 ოქტომბერს ც. ჯ-ს ეცნობა, რომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად თავდაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნებები არ იყო გამოყოფილი, სამწუხაროდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ც. ჯ-ის მოთხოვნა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ც. ჯ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო მოსარჩელე თ. მ-ემ 2017 წლის 12 სექტემბერს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ც. ჯ-სა და თ. მ-ეს მოპასუხე მხარისათვის მიმართული ჰქონდათ 2017 წლის 1 ივლისამდე. შესაბამისად, მათ მიმართ უნდა გავრცელებულიყო 2017 წლის 1 ივლისის შემდეგ მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება აღიარებული იყო კანონით. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესით სახელმწიფო ცალსახად განსაზღვრავდა საჯარო მოსამსახურეთა უფლებას მიუღებელ ხელფასზე და ვინაიდან კანონმდებელმა შემოიტანა სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია, ამ ტიპის მოთხოვნებზე ზოგადი სახის ნორმების გამოყენება დაუშვებელი იყო.

სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2017 წლის 1 ივლისის კანონი აღარ ითვალისწინებს აღნიშნულ დანაწესს და შესაბამისად აღნიშნული რეგულაცია აღარ არსებობს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესა-

ხებ” საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ხოლო, მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და ამ კანონით გათვალისწინებულ დანამატს.

ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი ასევე მიუთითებს, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რაც თავისთავად გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერ ვალდებულებას გასცეს შრომითი გასამრჯელო, ხელფასი.

შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა და სწორედ ამ კანონის 57-ე მუხლით ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება გასცეს შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოხელეთა შრომითი გასამრჯელოს ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოხელის თანამდებობრივი სარგოს შემცირების საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ, აგრეთვე, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ითხოვდა მიუღებელ ხელფასს 1998-1999-2000 წლების პერიოდზე.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიმართ ხელფასის პრემიისა და დანამატის ნაწილში უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი უნდა ათვლილიყო სასამარ-

თლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დათხოვილი პირი სამსახურიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული მოსარჩელის მოთხოვნა – კვების კომპენსაცია წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამდენად, მოსარჩელის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ასევე უნდა ათვლილიყო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ც. ჯ-ის და თ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ც. ჯ-მა და თ. მ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით ც. ჯ-ის და თ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ც. ჯ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო მოსარჩელე თ. მ-ემ – 2017 წლის 12 სექტემბერს. მოსარჩელე მხარის მიერ კი არ იქნა წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ც. ჯ-სა და თ. მ-ეს მიმართული ჰქონდათ მოპასუხე მხარისათვის 2017 წლის 1 ივლისამდე, რის გამოც მათ მიმართ უნდა გავრცელებულიყო 2017 წლის 1 ივლისის შემდეგ მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები, რომელიც აღარ ითვალისწინებს საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე, კერძოდ, აპელანტი მიუთითებდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2017 წლის 1 ივლისის კანონის 126<sup>1</sup> მუხლი ადგენს გარდამავალ პერიოდს 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის 126<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარ-

დამავალი პერიოდი ვრცელდება 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საჯარო სამსახურის იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებზე, რომლის „ო“ ქვეპუნქტი განეკუთვნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებს/მოსამსახურეებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლზე, რომლითაც დადგენილია გარდამავალ პერიოდში ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდამავალ პერიოდად ჩაითვალა 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომითი გასამრჯელოს დადგენისა და წახალისების მიზნებისათვის – 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, გარდა ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამავე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით, 126<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის დასრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 მარტი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ მუხლში მითითებულია სტრუქტურები, რომელთა თანამშრომელთა მიმართაც ვრცელდება ზემოაღნიშნული მუხლის მოქმედება. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, კულტურისა და სპორტის და საგარეო საქმეთა სამინისტროების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და მათი სისტემის (სტრუქტურის) თანამშრომელთა, მათ შორის, მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა, მიმართ. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩევეები არ შეიძლება მოაზრებული ყოფილიყვნენ დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის ჩამონათვალში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეთა მიმართ ხელფასის ნაწილში უნდა გავრცელდებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, რაც ათვლილი უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დათხოვილი პირი სამსახურიდან.

ამასთან, პალატამ განმარტა, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული მოსარჩელეთა მოთხოვნა – კვების კომპენსაცია წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამდენად, მათ მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ასევე ათვისებული უნდა ყოფილიყო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის ცნობებზე, რომელშიც წლების, თვეებისა და კომპონენტების მიხედვით ჩამოთვლილია მოსარჩელეთათვის გადასაცემი თანხები. პალატამ აღნიშვნა, რომ წერილის შინაარსი არ განიმარტებოდა ვალდებულების აღიარებად, რაც მოსარჩელეთა სასარგებლოდ იმოქმედებდა ხანდაზმულობის ვადებზე; აღნიშნული წერილი მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და მიიჩნია, რომ ც. ჯ-ისა და თ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რაც გახდა სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ც. ჯ-მა და თ. მ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების მითითებით, სასამართლო ვალდებული იყო ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 126<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლით და დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ. კასატორების განმარტებით, 126<sup>1</sup> მუხლი ადგენს გარდამავალ პერიოდს, რაც არასწორად განმარტა სასამართლომ.

ამასთან, კასატორების მოსაზრებით, სასამართლო უსაფუძვლოდ ადგენს მათი სარჩელის ხანდაზმულობას, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წერილობით 2017 წლის 21 სექტემბრისა და 2017 წლის 4 ოქტომბრის სახელფასო დავალიანების ცნობებით და 2017 წლის 6 ოქტომბრის წერილით დაადასტურა და აღიარა მათი 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, ე.ი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა და ამავე კოდექსის 141-ე მუხ-

ლის მიხედვით, მათ საქმეზე ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 6 ოქტომბერს, რის გამოც სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება; ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება დაშვებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ც. ჯ-ისა და თ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სახელფასო დავალიანების ნაწილში, მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ც. ჯ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998-2000 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 445.27 ლარის ოდენობით; მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998-1999 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 302.72 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ც. ჯ-ის მიმართ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ირიცხება სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს სახით 1035.27 ლარის ოდენობით. თ. მ-ის მიმართ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ირიცხება სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს სახით 597.72

ლარის ოდენობით.

მოსარჩელე ც. ჯ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო მოსარჩელე თ. მ-ემ 2017 წლის 12 სექტემბერს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 6 ოქტომბრის № MOD 9 17 00962929 წერილის თანახმად, 2017 წლის 2 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე, ც. ჯ-ს ეცნობა, რომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად თავდაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნებები არ იყო გამოყოფილი, სამწუხაროდ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ც. ჯ-ის მოთხოვნა.

საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება, საკასაციო სასამართლო განსახილველ დავასთან მიმართებით სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ დანარჩენი ნაწილის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით იმსჯელებს.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი), რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში,

რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე-ვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. ქონებრივი უფლებათა განკარგვისა და შექმნის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებას კი, თავის მხრივ, ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი



მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, თავისუფალი შეთანხმებების აღსრულებისათვის სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

ზემოსხენებულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იყო სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეთა უფლება, შესაბამისი საჯარო დაწესებულებებიდან მოეთხოვათ წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვა. ამდენად, მითითებული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რაც წარმოადგენს დავალიანების კანონისმიერ აღიარებას. თუმცა 2017 წლის 1 ივლისს ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ანალოგიური შინაარსის შემცველ დანაწესს არ ითვალისწინებს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, მოსარჩევეების – ც.ჯ-ისა და თ. მ-ის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით 2017 წლის 1 ივლისის შემდგომ მიმართვა, წარმოშობს საკასაციო სასამართლოს მხრიდან იმის შეფასების აუცილებლობას, გააჩნდათ თუ არა აღნიშნულ პირებს ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების პირობებში აუნაზღაურებელი სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განმტკიცებულია საკუთრების უფლება. მითითებული მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებ-

ლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ ((Kopecky v. Slovakia), No. 44912/98, 28.9.04 (დიდი პალატა)) გაკეთებულ განმარტებებზე, რომლებიც შემდგომ მეორდება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშიც (Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy), No. 38433/09, 07.06.2012, 73-ე პარაგრაფი), კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირს, რომელსაც ის გააჩნია შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში, მაგალითად სადაც არსებობს ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა/პრეცედენტული სამართალი, რომელიც აღნიშნულის არსებობას ადასტურებს...“ ..თუმცა, ვერანაირი ლეგიტიმური მოლოდინი ვერ წარმოიშვება, როდესაც დავა ეხება ეროვნული სამართლის მართებულ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას და მომჩივნის პოზიცია უარყოფილია ეროვნული სასამართლოების მიერ.“

„ლეგიტიმური მოლოდინის“ საკითხთან მიმართებით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული საქმეზე რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ ((Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „მომჩივნების მოლოდინები არ ეფუძნებოდა რაიმე სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს გადანყვეტილება. ისინი უფრო ეყრდნობოდა იმედს, რომ მათ გაუხანგრძლივებდნენ ან განუახლებდნენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს იმ პირობებით, რომლებიც ძველ პირობებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი მათთვის არ იქნებოდა. სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებე-

ლია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს.“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 134<sup>1</sup> მუხლის განმტკიცებით, ანუ სამართლებრივი აქტით მიუღებელი სახელფასო დავალიანების მიღების უფლების მონესრიგებით სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებს წარმოეშვათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ ისინი შეძლებდნენ გათავისუფლებამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანებების მიღებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა“.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც კანონმდებლობით უფლების განხორციელება ხანდაზმულობის გარკვეულ ვადებს უკავშირდება, საკანონმდებლო დონეზე მიუღებელი სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლების განმტკიცებამდე მისი რეალიზებაც ხანდაზმულობის კონკრეტული, კერძოდ, სამწლიანი ვადით იყო შეზღუდული. თუმცა მითითებული საკანონმდებლო მონესრიგების შედეგად, აღნიშნული დავალი-

ანების მიღების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინება შეწყდა, ხოლო ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელფასო დავალიანების მიღების უფლების გაუთვალისწინებლობამ არა თუ გამორიცხა ამ უფლების ახალი კანონის მოქმედების პერიოდში რეალიზების შესაძლებლობა, არამედ, ფაქტობრივად, შექმნა ხსენებული მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყების საფუძველი. შესაბამისად, ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტიდან მიუღებელი სახელფასო დავალიანების მიღების შესაძლებლობა კვლავ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადით შემოიზღუდა.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, მოსარჩელე ც. ჯ. მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო მოსარჩელე თ. მ-ემ 2017 წლის 12 სექტემბერს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეებს დაცული აქვთ სახელფასო დავალიანების მიღების მოთხოვნის წარდგინის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გარდამავალ დებულებებთან დაკავშირებით გაკეთებულ შეფასებებს და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდამავალ პერიოდად ჩაითვალა 2017 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომითი გასამრჯელოს დადგენისა და წახალისების მიზნებისთვის – 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, გარდა ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის თანახმად კი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, კულტურისა და სპორტის და საგარეო საქმეთა სამინისტროების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და მათი სისტემის (სტრუქტურის) თანამშრომელთა, მათ შორის, მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა, მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის დასრულების ვადად განისაზღვროს 2018 წლის

31 მარტი.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს შეფასება-თა საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ 126<sup>1</sup> მუხლი 1<sup>1</sup> პუნქტი წარმოადგენს ნორმის დაზუსტებას, რომელიც მასში მითითებულ სამსახურებს გამოყოფს ზოგადი დანაწესიდან და მათთვის განსაზღვრავს გარდამავალი პერიოდის დასრულების კონკრეტულ ვადას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიუთითებლობა არ გულისხმობს იმას, რომ ამ უკანასკნელში დასაქმებულ პირთა მიმართ არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება დაშვებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ც. ჯ-ისა და თ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ც. ჯ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998-2000 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 445.27 ლარის ოდენობით; მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998-1999 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 302.72 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :**

1. ც. ჯ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება დაშვებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ც. ჯ-ისა და თ. მ-ის სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში დაშვებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ლაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ც. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1998-2000 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 445.27 ლარის ოდენობით;

5. მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1998-1999 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 302.72 ლარის ოდენობით;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-179(2კ-19)

13 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, შრომის ანაზღაურების თანხის დანაკლისისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 12 თებერვალს ნ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანებით კონკურსის შედეგების მიხედვით, იგი დაინიშნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილების მთავარ სპეციალისტად გამოსაცდელი ვადით. მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა გამოსაცდელი ვადა და მოსარჩელე დაინიშნა საჯარო მოხელედ განუსაზღვრელი ვადით.

მოსარჩელის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახა-

ლი კანონის ამოქმედებას შედეგად მოჰყვა საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში განაწილება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 ივნისის №... ბრძანებით, თანამდებობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ... განყოფილებაში მოსარჩელის ფუნქციებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიცია გარდაიქმნა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად, რა თანამდებობაზეც იგი სამსახურეობრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა ... წლის ...მდე.

მოსარჩელის განმარტებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 დეკემბრის №... მიმართვის საფუძველზე, საკრებულომ დაამტკიცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, რითაც კანონიერად შენარჩუნებული იყო მაღალი რანგის პოზიცია და შემცირებას დაექვემდებარა უფრო დაბალი რანგის პოზიცია. მოსარჩელის მითითებით, სადავო ნორმატიული აქტი და თანმდევი ბრძანება სამსახურიდან მისი გათავისუფლების თაობაზე გამოიცა უკანონოდ, ამდენად, იგი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან, ამასთან, შრომის ანაზღაურება შეგნებულად ძველი და არა მოქმედი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით აუნაზღაურდა, რის გამოც ...-ის თვეში განიცადა სახელფასო დანაკლისი ... ლარის ოდენობით.

ამდენად, მოსარჩელემ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ (მე-3, მე-4 მუხლისა და №1 დანართის 35-ე პუნქტის) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგის აღდგენის შესახებ ახალი ნორმატიული ხასიათის აქტის გამოცემის დავალება, ნ. ნ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მე-3 რანგის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ... წლის ...-ის თვეზე ნ. ნ-ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის გადახდის დაკისრების დავალება, მოსარჩელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენისა და მოპასუხისათვის სამსახურიდან გათავისუფლებიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, ამასთან, გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის დავალება მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადანყვეტილებით ნ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ... წლის ...-ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანებით კონკურსის შედეგების მიხედვით მოსარჩელე დაინიშნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილების მთავარ სპეციალისტად გამოსაცდელი ვადით.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანებით, მოსარჩელეს დამაკმაყოფილებლად ჩაეთვალა გამოსაცდელი ვადა და დაინიშნა საჯარო მოხელედ განუსაზღვრელი ვადით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებას შედეგად მოჰყვა საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში განაწილება და გამგებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანებით მოსარჩელე გადაინიშნა ...-ის ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2017 წლის 19 დეკემბერს დაიწყო რეორგანიზაცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 დეკემბრის №... მიმართვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ ... განყოფილებაში შენარჩუნებული იყო მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის №... მიმართვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ (კორექტირებული ვარიანტი, სადაც ... განყოფილებაში შემცირდა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრე-



ბულომ 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ („საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსდა 2018 წლის 4 იანვარს).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... განყოფილებაში შენარჩუნდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2018 წლის 4 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ №... წერილით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც მიუთითა, რომ დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი – ... განყოფილებაში მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნაცვლად მიეთითა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და აღნიშნული უზუსტობა აღმოიფხვრებოდა საკრებულოს პირველსავე სხდომაზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის №... მიმართვით მოსარჩელეს ეცნობა მის მიერ დაკავებული პოზიციის შემცირების თაობაზე.

2018 წლის 12 იანვრის №... წერილით მოსარჩელემ მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს და მოითხოვა განმარტებები ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის №... მიმართვასთან დაკავშირებით.

2018 წლის 24 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერმა №... წერილით მიმართა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოსარჩელის საშტატო პოზიციის შემცირებისა და მის მიმართ მობილობის განხორციელების თაობაზე.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 30 იანვარს №... წერილით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა №3 დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პი-

რების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“, სადაც შემცირდა ...ის ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგში სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა ..... წლის ..... მიმდე და მას არ მიუღია ... .. წლის .....ისა და ..... ის თვეების განსხვავებული ხელფასი, რაც შეადგენს ..... ლარს.

სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს წარმოადგენდა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის შემცირება, რამაც ასახვა ვერ ჰპოვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბერის №45 დადგენილებაში, საკრებულოს მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო, თუმცა დაშვებული ხარვეზი, მოგვიანებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 იანვარის №3 დადგენილებით იქნა გასწორებული.

სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირება ორგანომ შესაძლებელია განახორციელოს თანამდებობების ფუნქციური დატვირთვის, მათი საჭიროების შესაბამისად, რაც დამსაქმებლის სრული დისკრეციაა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მერიას არ ჰქონდა რანგით მაღალი თანამდებობის შემცირების უფლება, როდესაც ტოვებდა რანგით დაბალ თანამდებობას. სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული არ გამომდინარეობდა არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან და არც საქართველოს მთავრობის 2017 წლის №215 და №218 დადგენილებებიდან. სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ უფლება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების მოქმედება გაეგრძელებინათ 2018 წლის 1 იანვრიდან. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუშალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას ნორმატიული აქტის მოქმედება გაეგრძელდეს აქტის მიღებამდე არსებულ ურთიერთობებზე, რის თაობაზეც მითითებული უნდა იქნეს ნორმატიულ აქტში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა და დავას არ ინვევდა ის გარემოება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილება შეიცავდა ნორმის უკუძალის დამდგენ დებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამისობაში მოდიოდა იმ საკანონმდებლო აქტებთან, რომლის შესასრულებლადაც მოხდა მისი გამოცემა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმატიული აქტი გამოცემული იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების გამოცემისას არ დარღვეულა ნორმატიული აქტის გამოცემის პროცედურა, იგი შეესაბამებოდა მითითებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს და არ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველები.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა არ შეიძლება გახდეს მოხელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. ამავე კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ხოლო 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხე-

ლის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე რეორგანიზაციამდე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... .. განყოფილებაში იკავებდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციას. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული შტატი, რაც გახდა საფუძველი მის მიმართ მობილობის პროცედურების დაწყებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული შტატის შემცირებით შეიქმნა მისი დათხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველები. 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ასევე, სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველები.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში, მოსარჩელის მოთხოვნას, აგრეთვე, წარმოადგენდა ნ. ნ-ის სამსახურში აღდგენა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარ-

სებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებდა მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელე ნ. ნ-ის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ... განყოფილებაში აღდგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. ასევე, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ... წლის ... – ...ის თვეზე ნ. ნ-ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში. ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყონ სამტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება, ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მათი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედება.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის ანაზღაურება.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ნ. ნ-ე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობას აგრძელებდა ... წლის ...მდე და ეკავა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. ამასთან, დადასტურებული იყო, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების მოქმედება გავრცელდა 2018 წლის 1 იანვრიდან, შესაბამისად, ნ. ნ-ეზე უნდა გაცემულიყო ახალი სამტატო ნუსხით

დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო ... წლის ...დან ...ის ჩათვლით, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეადგენდა ... ლარს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება ნ. ნ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ... .. წლის ...ის №... ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანება; დანარჩენ ნაწილში ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები ნ. ნ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში (გარდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილისა) საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ ნაწილში სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა ისინი. რაც შეეხებოდა სარჩელს ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, სააპელაციო პალატამ მოთხოვნა ამ ნაწილში დასაბუთებულად მიიჩნია, რის გამოც სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად

ცნობაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმებულიყო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მერიის სამსახურების რეორგანიზაციის პროცესში ახალი საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის №45 დადგენილების მიღებისა და კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ, ნ. ნ-ეს კანონიერი ნდობა გაუჩნდა იმისა, რომ მის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული არ შემცირებულა და ის აგრძელებდა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტი არ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ დაცული იყო კანონის წინაშე პირთა თანასწორობის პრინციპი, ასევე, აქტიდან არ იკვეთებოდა, რომ თანამშრომელთა შერჩევა და საშტატო ერთეულებზე დასაქმება განხორციელდა მათი პროფესიონალიზმისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე. აღსანიშნავი იყო, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება, არც ერთხელ მის წინააღმდეგ დისციპლინური ხასიათის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სრულიად უმოტივაციოდ მიიჩნია მოპასუხე ადმინისტრაციის მიერ რამდენიმე თვეში მიღებული გადაწყვეტილება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ იმ პირობებში, როდესაც სამსახურში უფროსი სპეციალისტის შტატებზე დასაქმებულნი იყვნენ მესამე რანგის მე-2 და მე-3 კატეგორიის მოხელეები. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არ ყოფილა სათანადოდ გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც ადასტურებდა სამსახურიდან მოხელის გათავისუფლების უკანონობას.

სააპელაციო პალატა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად არ დაეთანხმა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებას, რომ ადგილი ჰქონდა სამსახურში შტატების შემცირებას, რამაც განაპირობა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება. როგორც წარმოდგენილი საშტატო ნუსხები მონიშნავდა, ... სამსახურში ყოველთვის არსებობდა სამი საშტატო ერთეული – 1 განყოფილების უფროსი და 2 უფროსი სპეციალისტი, ხოლო აღნიშნულ შტატებზე შესაბამისი რანგისა და კატეგორიის მოხელის დანიშვნა ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მოეხდინა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ შესრულებულა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნ. ნ-ის სამსახურიდან გა-

თავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, მუშაკის უფლებათა დაცვის გარანტიაა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობას და ა.შ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაეთვალისწინებინა ... განყოფილებაში არსებული შტატების (2 მთავარი სპეციალისტის შტატის) ფუნქციური დატვირთვა, განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად დადგენილი კრიტერიუმები. მხოლოდ ის გარემოება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 დეკემბრის №... ბრძანებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმა, რომლითაც რეორგანიზაცია შეეხო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, ... ..ის ... განყოფილებას – არ იყო საკმარისი ნ. ნ-ის სამსახურიდან გასათავისუფლებლად, მით უფრო, რომ გათავისუფლებული მოხელე წარმოდგენდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის მოხელეს, ხოლო სამსახურში დარჩენილი მოხელეები – მე-3 რანგის მე-2 კატეგორიისა და მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის მოხელეებს.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურებრივ საკითხზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, აგრეთვე ქმედება გაასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით (118.1 მუხ). სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშ-



ვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო და-  
ნესებულების თანხმობით (118.3 მუხ). სამსახურში აღდგენილ მო-  
ხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო  
დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად  
განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი  
სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (118.4 მუხ). ამ მუხლის  
მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მოხე-  
ლის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, იგი მოხელეთა რეზერ-  
ვში ირიცხება და ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და  
საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შე-  
საბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წო-  
დებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კომპენ-  
საცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის  
განმავლობაში (118.5 მუხ).

რაც შეეხებოდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საა-  
პელაციო საჩივარს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ  
არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებ-  
რივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ...  
წლის ...-...ის შრომის ანაზღაურება ნ. ნ-ეს სრულყოფილად არ მიუ-  
ლია და დანაკლისმა შეადგინა ..... ლარი, რისი გადახდაც მოპასუ-  
ხეს მართებულად დაეკისრა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო დაწესებულებაში შრო-  
მის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის  
პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში  
დასაქმებულ პირს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამ-  
სახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის ანაზღაუ-  
რება ამ კანონით დადგენილი წესით. მე-2 პუნქტის შესაბამისად,  
საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი  
ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარ-  
გოები აისახება საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში. ამავე  
კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო და-  
წესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წე-  
სით 2018 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყონ სამტატო ნუსხებისა  
და თანამდებობრივი სარგოების „საქართველოს 2018 წლის სახელ-  
მწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწი-  
ნებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება,  
ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორ-  
ციელება და მათი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედება. „საჯარო  
სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-2  
პუნქტის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღე-  
ბის დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიიღოს

შრომის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნ. ნ-ე მუშაობდა ... წლის ... ..მდე და ეკავა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების მოქმედება გავრცელდა 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, შესაბამისად ნ. ნ-ეზე უნდა გაცემულიყო ახალი სამტატო ნუსხით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო ... წლის ...დან ...ის ჩათვლით, რაც შეადგენდა ... ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – ნ. ნ-ის მითითებით, მართალია, სააპელაციო სასამართლომ სრულიად კანონიერად და სამართლიანად ბათილად ცნო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ №... ბრძანება, თუმცა დაუსაბუთებლად და უკანონოდ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენისა და მოპასუხისათვის – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მსჯელობისას, გაზიარების გარეშე დატოვა იგი. კერძოდ, კასატორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადამწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. კასატორი აღნიშნავს, რომ ნორმის ლეგალური დეფინიციიდან გამომდინ

ნარე, სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას დაუყოვნებლივ მოჰყვება მოხელის იმავე თანამდებობაზე აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ, მისი, როგორც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ... წლის ...ის №... ბრძანება, სრულიად კანონიერად იქნა ბათილად ცნობილი, სასამართლომ სამართლებრივი შეფასების მიღმა დატოვა ზემოხსენებული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა და დაუსაბუთებლად უთხრა მოსარჩელეს უარი ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც, კასატორის მითითებით, განუყოფელია მისი, როგორც უკანონოდ დათხოვნილი მოხელის დარღვეული უფლებების აღდგენისაგან.

კასატორი, აგრეთვე, მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კასატორი განმარტავს, რომ ნორმის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილების გაუქმების დღიდან, კერძოდ, ... წლის ...დან სამსახურში აღდგენის დღემდე მას უფლება აქვს მიიღოს განაცდური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული მოთხოვნაც დაუსაბუთებლად არ იქნა დაკმაყოფილებული.

კასატორისათვის – ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გაურკვეველია, რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმებას, რომლითაც მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ..... წლის .....-ის შრომის ანაზღაურების დანაკლისი თანხა – ..... ლარი. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. ნ-ე ..... წლის .....-მდე იკავებდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ადგილს. თუმცა საქმეში წარმოდგენილი მასალებით ცალსახად ჩანს, რომ მოსარჩელის შტატი ჯერ კიდევ 2017 წლის 29 დეკემბრის საკრე-

ბულოს დადგენილებით იქნა შემცირებული. ... .. წლის ..... ..მდე კი მიმდინარეობდა კანონით დადგენილი მობილობის პროცესი, რომლის დასრულების შემდეგაც გამოიცა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების ჩანაწერიდან გამომდინარე. ამასთან, სხენებული დადგენილების მე-4 მუხლში მითითებული იყო, რომ დადგენილება უნდა ამოქმედებულიყო გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდებოდა 2018 წლის 1 იანვრიდან წარმომოხილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. მსგავსი ჩანაწერი გაკეთდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა სასამართლოს მიერ აღნიშნული ჩანაწერის გავრცელება 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით მოსარჩელის შემცირებულ შტატზე არის დაუსაბუთებელი, რადგან შტატის შემცირების შემდეგ ... წლის ... მდე მიმდინარეობდა მობილობის პროცესი. შესაბამისად, ნ. ნ-ეზე მერიის მიერ გაცემულ იქნა თანამდებობრივი სარგო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი იღებდა 2017 წლის 29 დეკემბრამდე.

კასატორის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად საკრებულოს უფლებამოსილებას, დაამტკიცოს მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები და საშტატო ნუსხები. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერი წარუდგენს მერიის საშტატო ნუსხის დებულებას საკრებულოს დასამტკიცებლად. კასატორი განმარტავს, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალი საშტატო ნუსხა საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 4 იანვარს, საკრებულომ იმავე დღესვე მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 4 იანვრის №... წერილით, რომლითაც აცნობა დაშვებული ტექნიკური ხარვეზის თაობაზე გამოქვეყნებულ №45 საკრებულოს დადგენილებაში და აღნიშნა, რომ ის გამოსწორდებოდა საკრებულოს პირველივე სხდომაზე. კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნულის შესახებ ნ. ნ-ეც იყო ინფორმირებული, რაც დასტურდება როგორც მისი შესაგებლიდან, აგრეთვე, სასამართლოში მისი ახსნა-განმარტებითაც. ამდენად, კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილების მიღებისა და კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდგომ, ნ. ნ-ეს გაუჩნდა კანონიერი ნდობა იმისა, რომ მისი საშტატო ერთეული არ შემცირებულა. კასატო-

რის მითითებით, ნ. ნ-ე თავადაც ფლობდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ რეორგანიზაციის მიმდინარეობის პერიოდში მისი შტატი – ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორია იქნა შემცირებული. მისთვის ასევე ცნობილი იყო ტექნიკური ხარვეზის შესახებ ინფორმაციაც და იგი გაცნობილი იყო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 იანვრის №... წერილს.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მობილობის პროდუცურების არაკანონიერად განხორციელების თაობაზე, არ შესაბამება სიმართლეს და აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს. ამასთან, ნ. ნ-ის მობილობასთან დაკავშირებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა კანონით დადგენილი ყველა პროცედურა, თუმცა მობილობა ვერ განხორციელდა. შესაბამისად, იგი ... წლის ...ის №... ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში. კასატორი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მობილობის პროცედურებისა და მისი მიმდინარეობის თითოეული ეტაპის შესახებ, სრულად იყო ინფორმირებული.

კასატორი განმარტავს, რომ სადავო აქტი გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის, 105-ე მუხლის პირველი პუნქტის, 106-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. კასატორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, რომელიც განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. კასატორის განმარტებით, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმასაც, რომ ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა. აღნიშნული პრინციპი აგრეთვე გულისხმობს იმასაც, რომ არც ერთი საჯარო მოხელე არ სარგებლობს რაიმე პრივილეგიით. თუმცა სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უმოტივაციოდ მიაჩნია მოპასუხე ადმინისტრაციის მიერ რამდენიმე თვეში მიღებული გადაწყვეტილება მოხელის გათავისუფლების შესახებ იმ პირობებში, როდესაც ... სამსახურში უფროსი სპეციალისტის შტატ-

ზე მე-2 და მე-3 კატეგორიის მოხელეები არიან დასაქმებულნი. კასატორი დისკრიმინაციულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ ნ. ნ-ის მოსაზრებას, რომ პირველი კატეგორიის სპეციალისტი მე-2 და მე-3 კატეგორიის მოხელეებთან მიმართებით პრივილეგირებული უნდა ყოფილიყო რეორგანიზაციის პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შტატებზე დასაქმებული პირები ერთსა და იმავე პერიოდში დასაქმდნენ მერიამი და მათ სამუშაო გამოცდილებაც ერთნაირი ჰქონდათ. კასატორი განმარტავს, რომ ნ. ნ-ის მიერ დაკავებული შტატის შემცირება ქმნიდა მოხელის დათხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

კასატორი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე მსჯელობს. სააპელაციო პალატა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღნიშნავს, რომ თითქოს უკანონოდ იქნა მიმართული საკრებულოსათვის ნ. ნ-ის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულის შემცირების შესახებ და გათავისუფლების პროცედურები განხორციელდა უხეში დარღვევებით, დისკრიმინაციის ფაქტის ტექნიკური შეცდომის მოტივით შენიღბვით. თუმცა კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა საქმის მასალების უდავოდ დადგენილი ის გარემოება, რომ შეცდომა ნამდვილად ტექნიკური ხარვეზით იქნა გამოწვეული. საკრებულოზე დასამტკიცებლად გაგზავნილ საშტატო ნუსხაში შემცირებული იყო ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის შტატი. შეცდომა გამოწვეული იყო ტექნიკური ლაფსუსით, რის შესახებაც საკრებულომ მყისიერად (მომდევნო სამუშაო დღესვე) აცნობა მერიას.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია ნ. ნ-ის გათავისუფლებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაც, ვინაიდან გაუქმებულია ის თანამდებობა, რომელსაც მოსარჩელე იკავებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ნ-ისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განჩინებით ნ. ნ-ისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი კი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ნ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ნ. ნ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ... წლის ...ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ...ის №... ბრძანებით კონკურსის შედეგების მიხედვით მოსარჩელე დაინიშნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილების მთავარ სპეციალისტად გამოსაცდელი ვადით.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... წლის ...ის №... ბრძანებით, მოსარჩელეს დამაკმაყოფილებლად ჩათვალა გამოსაცდელი ვადა და დაინიშნა საჯარო მოხელედ განუსაზღვრელი ვადით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებას შედეგად მოჰყვა საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში განაწილება და გამგებლის ... წლის ...ის №... ბრძანებით მოსარჩელე გადაინიშნა ...ის ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2017 წლის 19 დეკემბერს, დაიწყო რეორგანიზაცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 დეკემბრის №... მიმართვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“. ..... განყოფილებაში შენარჩუნებული იყო მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის №43/9928 მიმართვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ (კორექტირებული ვარიანტი, სადაც ..... განყოფილებაში შემცირდა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ („საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსდა 2018 წლის 4 იანვარს).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ..... განყოფილებაში შენარჩუნდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

2018 წლის 4 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ №... წერილით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც მიუთითა, რომ დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი – ... განყოფილებაში მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნაცვლად მიეთითა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და აღნიშნული უზუსტობა აღმოიფხვრებოდა საკრებულოს პირველსავე სხდომაზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის №... მიმართვით მოსარჩელეს ეცნობა მის მიერ დაკავებული პოზიციის შემცირების თაობაზე.

2018 წლის 12 იანვრის №... წერილით მოსარჩელემ მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს და მოითხოვა განმარტებები ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის №... მიმართვასთან დაკავშირებით.

2018 წლის 24 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერმა №... წერილით მიმართა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოსარჩელის საშტატო პოზიციის შემცირებისა და მის მიმართ მოზილობის განხორციელების თაობაზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 30 იანვარს №... წერილით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარ-



გოს დამტკიცების შესახებ“.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა №3 დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სამტაგო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“, სადაც შემცირდა ... ..ის ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

მოსარჩელე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგში სამსახურეობრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა ... წლის ...მდე და მას არ მიუღია ... წლის ...ისა და ...ის თვეების განსხვავებული ხელფასი, რაც შეადგენს ... ლარს.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფლად შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ამჟამად მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პრო-

ფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველშივილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი

პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სწარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაცი-აზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ, მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო

მიზეზების გარეშე, მიუყვებოდნენ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლებას.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმინევიანი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებზე, რომელთა შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება – ამ კანონის შესაბამისად მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება; „საჯარო დანესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობით მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა „საჯარო დანესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს მერის წარდგინებით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო „საჯარო დანესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საკრებულოს განკარგულება.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგობები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისაღმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგობები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყონ საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგობების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება, ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მათი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედება.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ

პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს. ამავე კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის №... მიმართვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ (კორექტირებული ვარიანტი, სადაც ... .. განყოფილებაში შემცირდა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია). ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დაამტკიცა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ („საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსდა 2018 წლის 4 იანვარს). საკრებულომ წარდგენილი პროექტი განიხილა და მიიღო ცვლილებების გარეშე, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომის ოქმის ამონაწერით; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... .. განყოფილებაში შენარჩუნდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

ამასთან, დადგენილია, რომ 2018 წლის 4 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ №... წერილით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც მიუთითა, რომ დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ..... განყოფილებაში მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნაცვლად მიე-

თითა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. საკრებულოს განმარტებით, აღნიშნული უზუსტობა აღმოიფხვრებოდა საკრებულოს პირველსავე სხდომაზე. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 იანვარის №3 დადგენილებით დამტკიცდა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“, სადაც შემცირდა ... ..ის ... განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანს წარმოადგენდა მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის შემცირება, რამაც საკრებულოს მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო ასახვა ვერ ჰპოვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №45 დადგენილებაში, თუმცა დაშვებული შეცდომა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გასწორებულ იქნა 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებით.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში, ხოლო მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინებაზე (საქმე №ბს-1102-1096(კ-17)), სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მოწყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია,

საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება, ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკადრო საჭიროებების შეფასებისა და აღნიშნულის შედეგად საკადრო საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით. შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, კონკრეტულად რომელი შტატის/შტატების არსებობაა საჭირო და საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს სრული, ეფექტური და მაქსიმალურად ეკონომიური ფუნქციონირებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობის არსებობის პირობებში, რეორგანიზაციის საფუძველზე საკადრო ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულების შესაბამისად წარიმართება, თავად ადმინისტრაციული ორგანოა ექსკლუზიურად კომპეტენტური, განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი შტატის დამატება-გაუქმება ან რომელ შტატთა გაერთიანება უწყობს ხელს საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას. კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც წარმოდგენილი საშტატო ნუსხები მოწმობდა, ... სამსახურში ყოველთვის არსებობდა სამი საშტატო ერთეული – 1 განყოფილების უფროსი და 2 უფროსი სპეციალისტი, ხოლო აღნიშნულ შტატებზე შესაბამისი რანგისა და კატეგორიის მოხელის დანიშვნა ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მოეხდინა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რაც სააპელაციო პალატის აზრით, არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ მიუთითებს თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, 2017 წლის 21 ივნისის №... ბრძანების დანართში მითითებული თანამდებობები 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნა პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებობად – კერძოდ, ...ი ...ის ...ი განყოფილების მთავარი სპეციალისტი ... ..ში გარდაიქმნა პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად – III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. წამყვანი სპეციალისტი – მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტად – III რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....ში – მესამე



კატეგორიის უფროს სპეციალისტად – III რანგის III კატეგორია. სა-აპელაციო სასამართლომ დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სამივე მათგანი უფროსი სპეციალისტი იყო, თუმცა განსხვავებული კატეგორიით. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... განყოფილებაში არსებული საკადრო მდგომარეობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნა არსებით წინააღმდეგობაშია დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ადმინისტრაციულ ორგანოში რეორგანიზაციის განხორციელებამდე არსებობდა III რანგის სამი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, რომელთაგან რეორგანიზაციის შედეგად შემცირებას დაექვემდებარა III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. მიუხედავად ამისა, უცვლელად დარჩა III რანგის II და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობები, ამასთან, რეორგანიზაციის შედეგად უცვლელი დარჩა შენარჩუნებულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ვინაობაც.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევდა საშუალებას, შეემცილებინა III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა ამავე რანგის II და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციათა შენარჩუნების პირობებში. იმის გათვალისწინებით, რომ საკადრო ოპტიმიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო მიზანშეწონილობის პირობებში მოქმედებს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეიჭრას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში და საჯარო მმართველობის განმახორციელებელ სუბიექტს თავად განუსაზღვროს თანამდებობათა არსებობა-არარსებობის საჭიროება. ამასთან, სასამართლო კომპეტენცია ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ფაქტობრივად არ ახორციელებს რეორგანიზაციას, თუმცა იყენებს ხსენებულ პროცესს კონკრეტულ თანამდებობაზე დასაქმებული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი „შენიღვის“ მიზნით. ცხადია, აღნიშნული ვითარება გამორიცხავს ადმინისტრაციულ ორგანოში რეორგანიზაციის განხორციელების ფაქტობრივ აუცილებლობას, მითითებული ფაქტის დადასტურება ხაზს უსვამს ადმინისტრაციული ორგანოს რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების მიმართ არსებულ სულისკვეთებას, რომელიც გამომდინარეობს არა საკადრო ოპტიმიზაციის აუცილებლობიდან, არამედ კონკრეტული მოხელის სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივად „შენიღვის“ განზრახულობიდან. საკასაციო პალატა, აგრეთვე, განმარტავს, რომ ფაქტობრივი მდგომარეობისაგან აცდენილია

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემული რეალობა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... განყოფილებაში არსებობდა მხოლოდ ორი უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. ამას ცხადყოფს თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებამდე ადმინისტრაციულ ორგანოში არსებობდა III რანგის უფროსი სპეციალისტის სამი თანამდებობა, შესაბამისი კატეგორიების მიხედვით. ამდენად, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ აღნიშნული 3 თანამდებობიდან განხორციელდა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის შემცირება, არ გულისხმობს რეორგანიზაციის პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განუხორციელებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას მასზედ, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ უფლება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების მოქმედება გავრცელებინათ 2018 წლის 1 იანვრიდან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, ნორმატიული აქტის მოქმედება გავრცელდეს აქტის მიღებამდე არსებულ ურთიერთობებზე, რის თაობაზეც მითითებული უნდა იქნეს ხსენებულ ნორმატიულ აქტში.

საქმის მასალებით დასტურდება და დავას არ იწვევს, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილება შეიცავს ნორმის უკუძალის დამდგენ დებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია იმ საკანონმდებლო აქტებთან, რომლის შესასრულებლადაც მოხდა მისი გამოცემა. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმატიული აქტი გამოცემულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების გამოცემისას არ დარღვეულა ნორმატიული აქტის გამოცემის პროცედურა, იგი შეესაბამება მითითებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს და არ არსებობს სადავო აქტის ბათილობის საფუძველები.

რაც შეეხება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურის მიზანია უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, ანესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დანესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმა. საჯარო დანესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმა არ შეიძლება გახდეს მოხელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეორგანიზაცია არის საჯარო დანესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დანესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დანესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. ამავე კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს მოსარჩელე ნ. ნ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობასთან დაკავშირებით და აღნიშნულის საინააღმდეგოდ განმარტავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული კონკრეტული შტატის შემცირება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ავალდებულებს ყველა საჯარო მოხელეიდან საუკეთესოს შერჩევის პრინციპის საფუძველზე განახორციელოს დარჩენილ შტატებზე საუკეთესო კანდიდატების დასაქმება. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაართულებდა და შეაფერხებდა საჯარო სამსახურში საკადრო ოპტიმიზაციის პროცესს. მეორე მხრივ, ასეთ დროს გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს რომელიმე მოხელის არაკომპეტენტურობა ან არაკვალიფიციურობა. რეორგანიზაციის შედეგად მოხელის გათავისუფლების საფუძველია იმ თანამდებობის გაუქმების შედეგად დასაქმების ადგილის ფაქტობრივი არარსებობა, რომელზეც მოხელე დასაქმებული იყო რეორგანიზაციის განხორციელებამდე. რეორგანიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს საუკეთესოს შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით, განსხვავებით, მაგალითად, თანამდებობაზე მოხელის დასაქმებისაგან, რომელიც სწორედ სხენებული პრინციპის დაცვით წარიმართება. რეორგანიზაცია შედეგად არ იწვევს შენარჩუნებულ შტატებზე დასაქმებული პირების გათავისუფლებას, თუნდაც აღნიშნული პირები რეორგანიზაციის შედეგად შემცირებულ მოხელეზე არაკვალიფიციურები იყვნენ, რამდენადაც არ არსებობს მათი გათავისუფლების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები. რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლების დროს შენარჩუნებულ შტატებზე დასაქმებულ პირთა მხრიდან საქმიანობის გაგრძელება აბსოლუტურად კანონიერია, რამდენადაც რეორგანიზაციის პროცესი გავლენას არ ახდენს მათ შტატებზე და ამასთან, არ არსებობს მათი თანამდებობიდან გათავისუფლების რაიმე საფუძველი. რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების სააპელაციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული გზა კი, გარდა იმისა, რომ გაართულებდა და გააჭიანურებდა საშტატო ოპტიმიზაციის მიმდინარეობას, ამავდროულად, გამოიწვევდა კონკრეტულ განყოფილებასა თუ დეპარტამენტში (რომელთაც შეეხებათ რეორგანიზაციის პროცესი) დასაქმებულ სხვა პირთა შრომითი უფლებების შელახვის რისკების წარმოშობას, რამდენადაც საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გამოიწვევდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ, საჯარო სამსახურში მოქმედი მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპის უგულებელყოფას, კერძოდ, მოხელეს გაუჩინდა განცდას იმი-

სა, რომ საჯარო სამსახურის კონკრეტულ განყოფილებასა თუ დე-პარტამენტში თუნდაც ერთი საშტატო ერთეულის გაუქმებით გა-მონვეულ რეორგანიზაციას შესაძლოა მოჰყოლოდა მისი თანამდე-ბობიდან გათავისუფლება. ამდენად, საკასაციო სასამართლო გან-მარტავს, რომ კონკრეტული საშტატო ერთეულის გაუქმება ინვეეს ამ თანამდებობაზე დასაქმებული პირის სამსახურიდან გათავი-სუფლებას და აღნიშნული გარემოება გავლენას ვერ იქონიებს იმა-ვე განყოფილებაში იმავე რანგის სხვა კატეგორიით გათვალისწი-ნებულ თანამდებობებზე დასაქმებული სხვა პირების შრომით უფ-ლებებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დად-გენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, მოსარჩელე რეორგა-ნიზაციამდე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... განყოფი-ლებაში იკავებდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციას. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული შტატი, რაც გახ-და საფუძველი მის მიმართ მობილობის პროცედურების დაწყები-სა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიმართ ვერ განხორ-ციელდა მობილობა, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებო-ბიდან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ჩაირიცხა მოხე-ლეთა რეზერვში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომ-ლის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფ-ლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატე-ბის შემცირებასთან დაკავშირებით. ზემოთგანვითარებული მსჯე-ლობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშო-რისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლე-ბის, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის, ასევე სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტე-ბის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძ-ვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზესტაფონის მუნი-ციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი სა-

ფუძვლები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შექმნილი სამართლებრივი შედეგი ქმნის გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება ნ. ნ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ... წლის ... ..ის №... ბრძანება; დანარჩენ ნაწილში ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებულ დავაში მოსარჩელის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს სამსახურში გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო, მართალია, უთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოხელის იმავე თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის თაობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლო, ერთი მხრივ, არ მსჯელობს ნ. ნ-ის სამსახურში აღდგენის საკითხზე, იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა, ხოლო, მეორე მხრივ, მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ მოცემული მდგომარეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ... განყოფილებაში ფაქტობრივად აღარ არსებობს III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა.

სამსახურში აღდგენასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებ-

ლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას უკავშირებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელე ნ. ნ-ის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ..... განყოფილებაში აღდგენის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. შედეგად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ნ. ნ-ის მოთხოვნას ... წლის ...-...ის შრომის ანაზღაურების მიღებასთან დაკავშირებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის ანაზღაურება ამ კანონით დადგენილი წესით. მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყონ საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება, ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მათი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან – სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიიღოს შრომის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ნ-ე მუშაობდა ..... წლის ..... მდე და ეკავა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №3 დადგენილების მოქმედება გავრცელდა 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ეზე უნდა გავიცეს ახალი საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამდებობრივი

სარგო ... წლის ...დან ...ის ჩათვლით, რაც მოცემულ შემთხვევაში დანაკლისის სახით შეადგენს ... ლარს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი კი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ნ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ნ. ნ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ... წლის ...ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განეულ ხარჯს გაიღებს სახელმწიფო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ეს (პ/ნ ...) უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით 12.02.2018წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი – 100 ლარი და 12.02.2018წ. №101 საგადახდო დავალებით გადახდილი – 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300193150 და სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით 18.06.2018წ. №2 საგადახდო დავალებით გადახდილი – 150 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300183150.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივა-



რი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ნ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ... წლის ...ის შრომის ანაზღაურებაზე დანაკლისი თანხის – ... ლარის ანაზღაურება;

6. დანარჩენ ნაწილში ნ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

7. ნ. ნ-ეს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით 12.02.2018წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი – 100 ლარი და 12.02.2018წ. №101 საგადახდო დავალებით გადახდილი – 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300193150 და სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით 18.06.2018წ. №2 საგადახდო დავალებით გადახდილი – 150 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300183150;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღებელი ხელფასისა და კვების კომპენსაციის  
ანაზღაურება**

**გადანყვებითა  
საქართველოს სახელით**

№ბს-603-603(კ-18)

23 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. კ-მა 01.09.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების 1782.66 ლარის მოპასუხისათვის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით 1992 წლიდან 2001 წლამდე მუშაობდა ეროვნული გვარდიის ... სამხედრო კომისარიატში. 1998 წლიდან 2000 წლამდე არ მომხდარა მისთვის კუთვნილი ხელფასის ანაზღაურება, რის გამოც სახელფასო დავალიანება შეადგენს 1782.66 ლარს. მოპასუხემ 16.08.2017წ. წერილით აღიარა სახელფასო დავალიანების არსებობა, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად უარი განაცხადა თანხის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ იყო გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებები თავდაცვის სამინისტროსათვის წინა წლებში წარმოქმნილი დავალების დასაფარავად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.10.17წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე გაცემის ვალდებულება, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება. ზემოაღნიშნული კანონის 57.4 მუხლის თანახმად, მოხელეთა შრომითი გასამრჯელოს ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება

იყოს მოხელის თანამდებობრივი სარგოს შემცირების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მიუღებელ ხელფასს 1998-1999-2000 წლების პერიოდზე. სკ-ის 128.1 მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. მოსარჩელის მიმართ ხელფასის, პრემიისა და დანამატის ნაწილში უნდა გავრცელდეს სკ-ის 128.3 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა ათვლილი უნდა იყოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა თუ როდის იქნა დათხოვნილი პირი სამსახურიდან. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას კვების კომპენსაციის თაობაზე, იგი წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე ვრცელდება სკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რომლის ათვლაც ასევე სარჩელის სასამართლოში წარდგენის თარიღიდან უკუსვლით ხდება. ამდენად, ა. კ-ის სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.10.176. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. კ-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.186. გადაწყვეტილებით ა. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.10.176. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ა. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების – 562.7 ლარის, პრემიის თანხა – 370.17 ლარის, დანამატი – 94.59 ლარისა და კვების კომპენსაციის – 755.2 ლარის ოდენობით ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 37.1 მუხლზე, რომლის მიხედვითაც მოსამსახურეს სამსახურში მისვლის დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე უფლება აქვს მიიღოს შრომითი გასამრჯელო. ამავ ე კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. პალატამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქცია არ შეიცავს სპეციალურ დათქმას 2005 წლამდე წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულებას.

ბის შესახებ. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია სარჩელის საერთო ხანდაზმულობის ვადების გამოყენება. სკ-ის 128.3 მუხლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ამავე კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადა წყდება თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდის, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარზე თანდართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 28.12.2007წ. №9/4459 წერილით ირკვევა, რომ ა. კ-მა მიიღო დაპირება, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში მოხდებოდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2007 წლის 28 დეკემბრიდან, შესაბამისად აღნიშნული თარიღიდან დაიწყო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის ათვლა. სარჩელი აღძრულია 11.09.17წ., შესაბამისად არ არის გასული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებული უნდა იქნეს როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, ასევე საქართველოს შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი. ხელფასის გაცემის ვალდებულებას უნდა მიეცეს სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, რომელზეც უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სარჩელის სასამართლოში შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამასთანავე, სარჩელის შეტანის დროს მოქმედებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი რედაქცია, რომელიც აღარ ითვალისწინებდა წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურების ვალდებულებას. მოსარჩელეს გაშვებული აქვს საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადაც.

კასატორმა მიუთითა, რომ კვების კომპენსაცია წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვადლდებულებას, რომლის მიმართაც უნდა გავრცელდეს სკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა ათვლილი უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილშიც, ამავდროულად მსგავს საქმეებზე არსებობს საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.02.19წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სახელფასო დავალიანების, პრემიისა და დანამატის თანხების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მისთვის კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხართა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით ა. კ-ი 03.04.1992წ. – 30.01.2001წ. მსახურობდა ეროვნული გვარდიის ... სამხედრო კომისარიატში. მის მიმართ 1998-2000 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვა სახელფასო დავალიანება, რომელიც შეადგენს 1782.66 ლარს, მათ შორის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების ოდენობა შეადგენს 562.7 ლარს, პრემიის თანხა 370.17 ლარს, დანამატი 94.59 ლარს და კვების კომპენსაცია 755.2 ლარს (გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის 07.08.2017წ. №755996 ცნობა). საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 16.08.17წ. № MOD 6 17 00787985 წერილით ა. კ-ს მისი 04.08.2017წ. №749675 წერილის პასუხად ეცნობა, რომ ვინაიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის არ იქნა შესაბამისი ასიგნებები გამოყოფილი, ვერ დაკმაყოფილდებოდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 28.12.2007წ. №9/4459 წერილით ა. კ-ს ეცნობა, რომ მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება განხორციელდებოდა ამ მიზნებისთვის, სახელფასო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. წერილის მიხედვით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შესაბამისი წყაროს არსებობის პირობებში კვლავ დაუბრუნდებოდა დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

საკასაციო სასამართლოს 21.02.2019წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი სახელფასო დავალიანების, პრემიისა და დანამატის თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი აღძრულია 01.09.2017წ., თუმცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონი ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან. მითითებული კანონის ამოქმედებამდე საკითხის რეგულირებას ახდენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონი, რომლის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა 2005 წლის პირველ იანვრამდე და სწორედ ამ პერიოდამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვს იგი სარჩელით. როგორც მოქმედი, ასევე ძალადაკარგული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ხელფასის ცნების ქვეშ აქცევდა თანამდებობრივ სარგოსა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების, პრემიისა და დანამატის თანხების ანაზღაურების დაკისრების მართლზომიერების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის თანხის დაკისრების კანონიერების საკითხი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო, ხოლო შრომის გასამრჯელო (ხელფასი) სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, კანონი ხელფასის ცნების ქვეშ კვების კომპენსაციას არ აქცევდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელე იყო სამხედრო მოსამსახურე, შესაბამისად მის მიმართ მოქმედებდა „სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ 25.06.1998წ. კანონის დანაწესი, რომლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 12.1 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ

სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე კანონის 12.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, რასაც ზემოაღნიშნული კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციაც ითვალისწინებს. ამდენად, კვების კომპენსაცია წარმოადგენს „სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ კანონით გასაზღვრული კომპენსაციის სახეს, სამხედრო მოსამსახურე სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან ერთად სამხედრო სამსახურის დროს იღებდა ასევე კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფის სახით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მუშაკის სახელფასო და კანონით გათვალისწინებული სხვა სოციალური გარანტიების დავალიანების ანაზღაურება იმ ორგანოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა, რომელთანაც იგი სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 134<sup>1</sup> მუხლის მიხედვით 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხებოდა საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავედროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულად იყო მონესრიგებული სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ამასთან კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემია, ზემოაღნიშნული ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლი) აღნიშნულ კომპანსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, ხელფასისგან განსხვავებით კვების (ულუფის) დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმუ-

ლობის ვადა. აღნიშნული ვადა ათვლილი უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით (იხ. სუს 16.07.19წ. №ბს-1516(კ-18) გადაწყვეტილება).

მოცემულ შემთხვევაში ა. კ-ი ითხოვს მიუღებელ ხელფასთან ერთად კვების კომპენსაციის ანაზღაურებას 1998-1999-2000 წლების პერიოდზე, რომელიც წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განაცხადო კვების კომპენსაციის მოთხოვნაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, რამეთუ სკ-ის 129.2 მუხლის თანახმად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს. სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ის სასარჩელო მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა 2007 წლის 28 დეკემბრიდან აითვალა, იმ დასაბუთებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 28.12.2007 წ. №9/4459 წერილით ადმინისტრაციული ორგანოსგან ა. კ-ის მიმართ დავალიანების ანაზღაურების დაპირება ხანდაზმულობის ვადის ახლიდან ათვლის საფუძველი გახდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. კ-მა სარჩელი 11.09.2017წ. აღძრა სასამართლოში, ამდენად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 28.12.2007 წ. №9/4459 წერილის გათვალისწინების შემთხვევაში ხანდაზმულობის ახლიდან ათვლის პირობებშიც გასულია კვების კომპენსაციის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის – 755.2 ლარის ა. კ-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სსკ-ის 411-მუხლის შესაბამისად მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივა-



რი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.2018წ. გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. კ-ის სარჩელი კვების კომპენსაციის – 755.2 ლარის ოდენობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მიუღებელი ხელფასისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-1110(კ-18)

26 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. გ-მა 19.10.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების 1428,08 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. გ-ი ითხოვს მოპასუხისათვის 1998-2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, რაც შეადგენს 1429,08 აშშ დოლარს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და იყო საჯარო მოხელე. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფ-

ლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოსა და დანამატს, თუმცა სკ-ის 128-ე მუხლის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, რომლის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავალიანების მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან გასული იყო 10 წელზე მეტი ვადა, რაც ქმნიდა განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველს. ამასთანავე, მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნა, კვების კომპენსაციის ანაზღაურება წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და სკ-ის 129.2 მუხლიდან გამომდინარე, მასზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც ამ ნაწილშიც ადასტურებდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი. გ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2018წ. განჩინებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წერილი, რომელშიც წლების, თვეებისა და კომპონენტების მიხედვით ჩამოთვლილია ი. გ-ისათვის გადასაცემი თანხა, არ უნდა იქნეს მიჩნეული ვალის აღიარებად, რადგან წერილი მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ამდენად, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. გ-მა ვერ დაასაბუთა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, ვერ გააბათილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. გ-ის მიერ. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება 1998-2000 წლებში სახელფასო დავალიანების წარმოშობა, რაც ჯამში 1429,08 აშშ დოლარს შეადგენს. კასატორი თვლის,

რომ ხანდაზმულობის ვადა არ უნდა გავრცელდეს მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მოსარჩელე ი. გ-ი დასაქმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 16.10.2017წ. წერილის მიხედვით, გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის სამსახურში ი. გ-ის მიმართ ირიცხება 1998-2000 წლებში ხელზე მისაღები დავალიანებები, კერძოდ: 1998წ. – 109,33 აშშ დოლარი (ხელფასი – 58,93 აშშ დოლარი, კვების კომპენსაცია – 50,40 აშშ დოლარი), 1999წ. – 766,74 აშშ დოლარი (ხელფასი – 413,95 აშშ დოლარი, კვების კომპენსაცია – 352,79 აშშ დოლარი), 2000 წ. – 552,01 აშშ დოლარი (ხელფასი -298,13 აშშ დოლარი, კვების კომპენსაცია – 253,88 აშშ დოლარი). ამდენად, ჯამში 1998, 1999 და 2000 წლებში ი. გ-ის მიმართ წარმოშობილი დავალიანება შეადგენს 1428,08 აშშ დოლარს, საიდანაც სახელფასო დავალიანების ოდენობაა – 771,01 აშშ დოლარი (58,93+413,95+298,13), ხოლო კვების კომპენსაციის დავალიანება შეადგენს – 657,07 აშშ დოლარს (50,4+352,79+253,88). მოსარჩელე ითხოვს სრული დავალიანების – 1428,08 აშშ დოლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული თითოეული პირისათვის გარანტირებულია შრომითი ანაზღაურების მიღების უფლება. შრომითი ურთიერთობა გულისხმობს არა მარტო დასაქმებულის ვალდებულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და კანონშესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არამედ შრომითი ურთიერთობა უპირობოდ მოიაზრებს აგრეთვე შრომითი ანაზღაურების გადახდის შესახებ დამსაქმებლის მოვალეობასაც. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, შრომითი გასამრჯელო მიიღოს სამსახურში დანიშვნის დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე („საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 37.1 მუხ., „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 57.2 მუხ.). გასამრჯელოს მიღება არ არის დამოკიდებული დასაქმებულის სტატუსზე, სამუშაოს შესრულების ხარისხზე, მის შედეგებსა თუ სხვა ფაქტორებზე, ეს

შემოსავალი პირისთვის გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი მხრიდან, სამსახურებრივი ფუნქციების ბრალეული შეუსრულებლობის არარსებობისას, შესაბამისად, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს. საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო არის გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გასცემს საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად (საქართველოს საონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „თ. ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მე-11 პუნქტი). განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დგინდება, რომ ნორმატიული ვალდებულების არსებობის მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ი. გ-ს სრულად არ აუნაზღაურა 1998, 1999 და 2000 წლების ხელფასი და კვების კომპენსაცია, რამაც წარმოშვა ი. გ-ის მოთხოვნის უფლება მიუღებელი დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ზოგადი ვადები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარის მე-2 თავით, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ხანდაზმულობის სპეციალური ვადების დადგენის შესაძლებლობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის სპეციალურ ვადაზე შეთანხმება არ შეიძლება შეადგენდეს სამართალთერითობის მონაწილე სუბიექტების შეთანხმების საგანს, ხანდაზმულობის სპეციალური ვადა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მისი გავრცელების გამორიცხვა მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განხორციელდეს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს 1998-2000 წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, დავალიანება მოიცავს ორ კომპონენტს: მიუღებელ სახელფასო თანხას და კვების მიუღებელ კომპენსაციას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნიეს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე მითითებით და არ გაითვალისწინეს საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური რეგულაციების შინაარსი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია სარჩელი აღძრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის მოქმედების პირობებში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანონი ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან (128-ე მუხ.). მითითებული კანონის ამოქმედებამდე საკითხის რეგულირებას ახდენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონი, რომლის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების საჯარო მოხელისათვის ანაზღაურება ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლი წარმოადგენდა დავალიანების კანონისმიერ აღიარებას, რის შედეგადაც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე არ ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვადები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონმა მოქმედება შეწყვიტა 2017 წლის 1 ივლისიდან და ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონი, რომელიც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებებთან მიმართებით ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ წესს აღარ ითვალისწინებს, რაც ადასტურებს ამჟამად საჯარო მოხელის მიმართ წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის საერთო წესის გავრცელებას, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კანონის ამოქმედების მომენტიდან. ი. გ-ის მიერ მოთხოვნილი დავალიანება წარმოშობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის მოქმედების პირობებში – 1998-2000 წლებში, რაც ადასტურებს ახალი კანონის ამოქმედების მომენტამდე – 2017 წლის პირველ ივლისამდე, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი წესების გავრცელების დაუშვებლობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლით საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება ფაქტობრივად განუსაზღვრელი დროით იყო გადავადებული და აღნიშნული კანონის ძალადაკარგულად ცნობამ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებამ დასაშვებად მიიჩნია საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება, რადგან კანონმა აღარ გაითვალისწინა სპეციალური, საშელავათო დათქმა მსგავსი ტიპის დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქმის მასალებით დგინდება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის

ამოქმედებიდან სარჩელის შეტანამდე გასული იყო რამდენიმე თვე, რაც ადასტურებს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ი. გ-ის მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის დაუშვებლობას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შრომის ანაზღაურება (ხელფასი) და კვების კომპენსაცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 57.3 მუხლის თანახმად, მოხელის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, საკლასო დანამატს, სახელფასო დანამატს და ფულად ჯილდოს. მსგავს მოწესრიგებას შეიცავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 37.1 მუხლიც, მათ შორის 1998-2000 წლებში მოქმედი რედაქციით. ამდენად, შრომის ანაზღაურების ცნების ქვეშ არ მოიაზრებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული კომპენსაციები, უკეთეს მსგავს დათქმას არ შეიცავდა სპეციალური ნორმატიული მოწესრიგება. მაგალითად, „პოლიციის შესახებ“ კანონის 31.2 მუხლის 28.06.2000 წ. საკანონმდებლო ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია ხელფასის ცნებაში მოიაზრებდა, როგორც თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს და წელთა ნამსახურობის დანამატს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. მსგავსი დათქმის არსებობა სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით არ არის დადგენილი. საკასაციო პალატა მიუთითებს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, ასეთივე დანაწესს შეიცავდა ნორმის 1998-2000 წლებში მოქმედი რედაქცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, იღებდა და ამჟამადაც იღებს სასურსათო უზრუნველყოფას – ულუფის სახით ან შესაბამის ფულად კომპენსაციას. ამასთან, კვების კომპენსაცია არის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაცია და არა შრომითი ანაზღაურების შემადგენელი ნაწილი: შრომითი გასამრჯელო ან კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეზე 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო და არა ყველა სახის დავალიანების ანაზღაურებს სპეციალური წესი, ნორმაში არ ხდებოდა მითითება კომპენსაციის გაუცემლობით წარმოშობილ დავალიანებაზე. ხელფასი განსხვავდება უზრუნველ-

ყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს, რაც განპირობებულია მისი სტატუსით, სამხედრო სამსახურის თავისებურებით, სამხედრო მოსამსახურესთან არსებული შრომითი ურთიერთობის სპეციფიკით. სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.1 მუხ.), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას მიიღოს სამხედრო მოსამსახურესთან მიმართებით სოციალური უზრუნველყოფის გარკვეული ღონისძიებები, მაგალითად როგორებიცაა საცხოვრებელი უზრუნველყოფა (კანონის მე-14 მუხ.), სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა (კანონის მე-16 მუხ.) და სხვ., მათ შორის, კვების კომპენსაციის გაცემა. ამდენად, სამხედრო მოსამსახურის მიმართ სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება განპირობებულია მისი სამსახურებრივი სტატუსით, განსხვავებით შრომითი გასამრჯელოსგან, რომლის მიღების უფლებაც მხოლოდ პირის დასაქმების ფაქტით არის წარმოშობილი. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლი არ ვრცელდებოდა სამხედრო მოსამსახურის მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი კვებითი კომპენსაციის დავალიანებაზე, რაც საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა (იხ. მაგ.: სუსგ 22.04.2009წ. №ბს-1650-1604(კ-08), 24.06.2009წ. №ბს-207-201(კ-09), 21.07.2010წ. №ბს-424-407(კ-10)). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. თითოეული ვალდებულების მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხორციელდება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია, სარჩელი აღძრულია 19.10.2017წ., ამდენად, სარჩელი კვების კომპენსაციის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმავე კოდექსის 137-ე მუხლით ხანდაზმულობის ვადის დენა ნყდება, თუ ვალდებული პი-

რი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 16.10.2017წ. წერილი არ ქმნის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვალის აღიარებულად მიჩნევის საფუძველს, რადგან წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, სამინისტრო ადასტურებს დავალიანების არსებობის ფაქტს, თუმცა არ გამოთქვამს მზადყოფნას რაიმე გარემოებების არსებობისას დავალიანების ანაზღაურების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. ამდენად, 16.10.2017წ. წერილის გაცემამ არ შექმნა ი. გ-ის მიერ გაშვებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის აღდგენის წინაპირობა, რის გამოც მართებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადანყვეტილება.

სასკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამასთავე, ფიზიკური პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ხელფასის გადახდევინების შე-



სახებ სარჩელებზე, ხოლო დანესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველა საქმეზე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხ. „ა“, „უ“ ქვ.პ.).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2018წ. განჩინება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2018წ. გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. გ-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1998, 1999, 2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1998, 1999, 2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების – 771,01 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურება;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2018წ. განჩინება კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2018წ. გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში, დარჩეს უცვლელად;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი

#### შსს თანამშრომლის კადრების განკარგულებაში გადაყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

##### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1545(კ-18)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

##### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 19 ივნისს ჯ. ა-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2014 წლიდან ირიცხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის შემადგენლობაში და ასრულებდა ...ის ფუნქცია-მოვალეობებს. მოსარჩელის მითითებით, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო დაცვითი საქმიანობა წარმოებს დამკვეთსა და დაცვას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის ურთიერთობა წესრიგდება ამ კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და კონკრეტული ობიექტის დაცვის ხელშეკრულების საფუძველზე.

მოსარჩელის აღნიშვნით, დასაქმების პერიოდში იგი მისთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას ასრულებდა კეთილსინდისიერად და მას არასდროს არ მიუღია საყვედური ორგანიზაციის ან დასა-

ცავი პირის მხრიდან, ამასთან, მას არ დაკისრებია არც რაიმე სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მოსარჩელის მითითებით, 2017 წლის მაისში მისთვის მოულოდნელად და ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე, სამსახურში აცნობეს, რომ იგი გადადიოდა კადრების განკარგულებაში. აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა არც მოსარჩელის დაცვის ქვეშ მყოფი პირი – დ. კ.-ა. მოსარჩელის აღნიშვნით, დ. კ.-ასა და მოპასუხეს შორის კანონის შესაბამისად დადებული 2014 წლის 1 აგვისტოს №1/2860 ხელშეკრულებისა და 2014 წლის 11 დეკემბრის №1/4625 ურთიერთშეთანხმების თანახმად, განსაზღვრული იყო მცველთა რაოდენობა ერთი უფროსი ინსპექტორისა და ერთი ინსპექტორის სახით. №1/2860 ხელშეკრულების მე-8 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელი იყო მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რასაც, მოსარჩელის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

მოსარჩელის განმარტებით, მოგვიანებით მას გადაეცა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანება, რომლის თანახმად, იგი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ.-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორი, განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 2017 წლის 15 მაისიდან აყვანილ იქნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში. მოსარჩელის მითითებით, ბრძანების საფუძველად, გარდა სამართლებრივი ნორმებისა, მოყვანილია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საშტატო-საორგანიზაციო №1148139/16.05.2017 ბრძანება, რომლის შინაარსიც მისთვის უცნობია.

მოსარჩელის აღნიშვნით, 2017 წლის 26 ოქტომბერს მას ჩაპბარდა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანება, რომლის თანახმად, იგი 2017 წლის 16 სექტემბრიდან იყო დათხოვნილი.

ამდენად, მოსარჩელემ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანებისა და „შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის ჯ. ა-ის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილების დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ჯ. ა-ის სასარგებლოდ მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, იძულებითი განაცდურის შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით ჯ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანება და „შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანება; მოპასუხე – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადავო საკითხთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ჯ. ა-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჯ. ა-ე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე და ასრულებდა ...ის ფუნქცია-მოვალეობებს.

2014 წლის პირველი აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, ერთი მხრივ, მოქალაქე დ. კ-ა და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი – მ. ლ-ი შეთანხმდნენ მასზედ, რომ „დაცვა“ უზრუნველყოფდა მოქა-

ლაქე დ. კ-ას პირად დაცვას, რომელსაც განახორციელებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორისა და 2 (ორი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

სასამართლომ დადგინო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2014 წლის 11 დეკემბერს მოქალაქე დ. კ-ასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსს – მ. ლ-ს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად, დადგინდა, რომ ფიზიკური პირის დაცვას განახორციელებდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორისა და 1 (ერთი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის №151073 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებაში და საშტატო განრიგი ჩამოყალიბდა დანართი №1-ს შესაბამისად, რომლის მიხედვით, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში გათვალისწინებულ იქნა უფროსი ინსპექტორის ერთი და ინსპექტორის ერთი თანამდებობა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგინო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2017 წლის 11 მაისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსმა პატაკით მიმართა სსიპ დაცვის პოლიციის თავმჯდომარეს და აცნობა მოქალაქე დ. კ-ასთან 2014 წლის 1 ავგისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, რის გამოც, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ეთხოვა სათანადო ცვლილებების შეტანა ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 16 მაისის №1148139 ბრძანების მიხედვით, 2017 წლის 15 მაისიდან დამტკიცდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საშტატო განრიგში ცვლილებების ჩამონათვალი დანართი №1-ის შესაბამისად და შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში, კერძოდ, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში შემცირდა 2 თანამდებობა.

სასამართლომ დადგინო დადგინო, რომ საქართველოს შინა-

გან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანების თანახმად, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – ჯ. რ. ა-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში 2017 წლის 15 მაისიდან.

2017 წლის 18 მაისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ. კ-ამ და მისი პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად ერთი ინსპექტორის საშტატო ერთეულის გამოყოფა და აღნიშნულ თანამდებობაზე მისი ნდობით აღჭურვილი პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში მყოფი დ. ჯ-ის დანიშვნა ითხოვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 18 მაისს მოქალაქე დ. კ-ასა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება №1664, რომლის საფუძველზეც, დ. კ-ას დაცვას განახორციელებდა ...ის სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის (შემდგომში მცველი) 1 (ერთი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანების თანახმად, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში მყოფი, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილების დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – ჯ. რ. ა-ე დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 2017 წლის 16 სექტემბრიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოქალაქე დ. კ-ას 2017 წლის 21 ივნისის განცხადების თანახმად, ჯ. ა-ე სამსახურიდან გათავისუფლდა მასთან შეთანხმების გარეშე და მის დაცვას ახორციელებდა მხოლოდ ერთი მცველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქე დ. კ-ა მოითხოვდა უფროსი ინსპექტორის – ჯ. ა-ის დაბრუნებას დაკავებულ თანამდებობაზე.

სასამართლომ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო წოდების მქონე პირების საქმიანობაზე, ხოლო ამავე კანონის მე-4

მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში – სსიპ) სამსახურის გავლის წესსა და პირობებს. ამავე წესის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ-ის მოსამსახურე არის სსიპ-ის პოლიციელი, სამოქალაქო პირი, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურე.

სასამართლომ სადავო სამართალური თეორიის შინაარსიდან გამომდინარე, განმარტა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში დასაქმებულ მოსამსახურეს, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ჯ. ა-ე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. ამდენად, ის წარმოადგენდა პოლიციელს.

სასამართლომ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაცია მხოლოდ მაშინ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, როდესაც მას შედეგად მოჰყვებოდა შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა ხსენებული კანონის 42-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარ-

გულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება. ამავე წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დათხოვნის/გათავისუფლების შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის/გათავისუფლების შესახებ.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომელთა მიხედვით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. დაცვის პოლიცია პასუხისმგებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვისათვის.

ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმ საშტატო ერთეულების რაოდენობას, რომლითაც იგი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფდა ფიზიკურ პირთა დაცვას, განსაზღვრავდა შესაბამისი ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის გამოცხადებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის



2017 წლის 20 იანვრის №151073 ბრძანებით, ცვლილება იქნა შეტანილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებაში და საშტატო განრიგი ჩამოყალიბდა დანართი №1-ს შესაბამისად, რომლის მიხედვით, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში გათვალისწინებული იქნა უფროსი ინსპექტორის 1 და ინსპექტორის 1 თანამდებობა, სულ 2 (ორი) საშტატო ერთეული. რეორგანიზაციის შემდეგ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 16 მაისის №1148139 ბრძანების მიხედვით, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში არსებული ორივე თანამდებობა შემცირდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, რეორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2017 წლის 11 მაისის პატაკი, რომლითაც დგინდებოდა მოქალაქე დ. კ-ასთან 2014 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფაქტი, რის გამოც, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ეთხოვა სათანადო ცვლილებების შეტანა ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში, თუმცა, სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით ასევე დადასტურებული იყო ის გარემოება, რომ მოქალაქე დ. კ-ასა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2017 წლის 18 მაისს კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება №1664, რომლის საფუძველზეც, დ. კ-ას დაცვას განახორციელებდა ...ის სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის (შემდგომში მცველი) 1 (ერთი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის (საშტატო ერთეულის) არსებობა დამოკიდებული იყო დასაცავი პირის ნებაზე და მასთან დადებულ ხელშეკრულებაზე, ხოლო დასაცავი პირის მიერ არ გამოხატულა ნება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე ჯ. ა-ეს აღარ გაეგრძელებინა დაცვა და მისი დაცვა მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით უზრუნველყო სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს. უფრო მეტიც, დასაცავმა პირმა წერილობით მოსთხოვა განმარტება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, თუ რატომ შემცირდა მისი დაცვის მიზნით დადგენილი საშტატო ერთეულების რაოდენობა და რატომ აღარ ახორციელებდა მოსარჩელე ჯ. ა-ე მის დაცვას. შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა იმ პირობებში შეამცირა დასა-

ცავი პირის დაცვისათვის დადგენილი საშტატო ერთეულები, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას იგი ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და მტკიცებულებათა შეგროვება მოეხდინა ინფორმაციის მოძიების, დაინტერესებულ მხარეთა მოსმენის ან სხვა ნებისმიერი კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩატარების მეშვეობით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ იმ გარემოებას, რომ შემცირდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობები, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მოქალაქე დ. კ-ასთან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული ის გარემოება, მოქალაქე დ. კ-ა კვლავ მოითხოვდა თუ არა უფროსი ინსპექტორის ჯ. ა-ის დაბრუნებას დაკავებულ თანამდებობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარებულ იქნა არასრულყოფილად, საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელების გარეშე. იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მოქალაქე დ. კ-ამ, ერთი მხრივ, 2017 წლის 18 მაისს განცხადებით მიმართა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და მისი პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად ითხოვა ერთი ინსპექტორის საშტატო ერთეულის გამოყოფა და აღნიშნულ თანამდებობაზე მისი ნდობით აღჭურვილი პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში მყოფი დ. ჯ-ის დანიშვნა, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქე დ. კ-ას 2017 წლის 21 ივნისის განცხადებიდან ირკვევა, რომ დ. ა-ე სამსახურიდან გათავისუფლდა მასთან შეთანხმების გარეშე და მის დაცვას ახორციელებდა მხოლოდ ერთი მცველი, რის გამოც მოითხოვდა უფროსი ინსპექტორის ჯ. ა-ის დაბრუნებას დაკავებულ თანამდებობაზე, სასამართლომ დააკვნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საშტატო ერთეულის არსებობა და-

მოკიდებული იყო იმ პირის ნებაზე, რომლის დაცვასაც ახორციელებდა მოსარჩელე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო მტკიცებულებათა მოპოვების გზით დაედგინა საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოება – მოქალაქე დ. კ-ას ნება მისი დაცვის თაობაზე და ისე მიეღო გადაწყვეტილება, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. მას შეეძლო თავად დაედგინა აღნიშნული გარემოებები, რომელთა გამოკვლევა და შეფასება გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა სადავო საკითხის გადაწყვეტაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, ხოლო ჯ. ა-ემ წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომელმაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ჯ. ა-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ჯ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანება; ბათილად იქნა ცნობილი „შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ჯ. ა-ის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი სახელფასო სარგოს ოდენობით კადრების განკარგულებაში გადაყვანიდან სამსახურში აღდგენამდე, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში გაცემული 2-თვიანი სახელფასო სარგოს გამოკლებით ჯ. ა-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია დავის გადაწყვეტის პროცესში სრუ-

ლადა აგებული იმ მოსაზრებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული ის გარემოება, რომ მოქალაქე დ. კ-ა კვლავ მოითხოვდა უფროსი ინსპექტორის ჯ. ა-ის დაბრუნებას დაკავებულ თანამდებობაზე და დ. კ-ას მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის არარსებობის პირობებში, გამოსაკვლევ იყო, თუ რამ განაპირობა საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირება. ამავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლო ფაქტობრივად ადასტურებდა მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის (საშტატო ერთეულის) არსებობა დამოკიდებული იყო დასაცავი პირის ნებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლეა; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის შეღავათები და სოციალური გარანტიები, რომელიც დაწესებულია შინაგან საქმეთა ორგანოების მოსამსახურეთათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი არის საჯარო მოხელე. პოლიციელის სამართლებრივი სტატუსის შეფასების თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო ასევე ის უფლებამოსილებები, რომელიც ენიჭებოდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელს. კერძოდ, ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავი ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვე-

თა-აცილებას. ამ მიზნით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აგრეთვე შეაჩეროს, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიპყროს სამართალდამრღვევი და გადასცეს ის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის, აგრეთვე მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი პრევენციული ღონისძიებები: ა) ზედპირული შემოწმება და დათვალიერება; ბ) სპეციალური შემოწმება და დათვალიერება; გ) ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; დ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა; ე) ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება.

პოლიციელის სტატუსისა და მისი ფუნქციური დატვირთვის მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია პოლიციელის, როგორც საჯარო მოხელის სამტატო ერთეულის მიზმა (სამტატო ერთეულის დაშვება ან გაუქმება) ცალკეულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე და განმარტა, რომ აღნიშნული უხეშად ხელყოფდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებს, რომლის მიზანია სტაბილური და საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გამოიციხა ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვის შესაძლებლობა და სტაბილურობის უზრუნველყოფა-შენარჩუნების დაშვება, იმ პირობებში, როდესაც საჯარო მოხელის სამსახურში მიღება და სამსახურიდან დათხოვნა დამოკიდებულია ცალკეულ პირთან დადებულ გარიგებაზე. მოცემულ შემთხვევაში, საჯარო მოხელე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძენდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსს, ანუ იმ პირის, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დანესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მით უფრო აღსანიშნავი იყო ის, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ თავადვე ახდენს მოსამსახურეთა დიფერენცი-

რებას და ადგენს, რომ სსიპ-ის მოსამსახურე შეიძლება იყოს სსიპ-ის პოლიციელი, სამოქალაქო პირი, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურე (მუხლი 2); შტატგარეშე მოსამსახურედ, იმავე წესის თანახმად, მიიჩნევა პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება გარკვეული ვადით სამინისტროში ან სსიპ-ში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მე-16 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურე სამსახურში მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, განსაზღვრული ვადით მიიღება: თანამდებობაზე დროებით არმყოფი სამინისტროს მოსამსახურის (გარდა შტატგარეშე მოსამსახურისა) შემცვლელი – სამინისტროს მოსამსახურის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე; შტატგარეშე მოსამსახურე – დავალების შესრულების ვადით; გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირი; დაცვის პოლიციაში სამოქალაქო პირის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება; ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ჯ. ა-ე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რომელიც მსახურობდა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სისტემაში, მინიჭებული ჰქონდა სპეციალური ნოდება და დადებული ჰქონდა პოლიციელის ფიცი. სამსახურში მისი მიღება, ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოხდა განუსაზღვრელი ვადით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე – შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო არ იყო ის გარემოება, რომ შტატების შემცირება ან რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება ქმნის პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს, როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ შესაბამისად, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმ გარემოების მტკიცება,

რომ ადგილი ჰქონდა შტატების შემცირებას და სახეზე იყო პირის სამსახურიდან დათხოვნის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტის შეფასების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო ის გარემოება, რაც გამოვლინდა საქმის შესწავლის პროცესში: დაცვის მომსახურების თაობაზე მე-3 პირთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, მიიღება გადაწყვეტილება იმ პოლიციელის საშტატო ერთეულის შემცირების თაობაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა დაცვითი მომსახურება, ამავდროულად, იმავე დღეს შესაძლოა დაცვითი მომსახურების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა პირთან, რაც იწვევს ახალი საშტატო ერთეულის დამატებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთი დღის განმავლობაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა როგორც საშტატო ერთეულის გაუქმების, ასევე მისი შექმნის ფაქტს. არსებული მექანიზმი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არა მხოლოდ ეწინააღმდეგებოდა საჯარო სამსახურის ზოგად პრინციპებს, ამავდროულად, გამორიცხავდა სამართლებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, რამდენადაც დამტკიცებული ერთიანი საშტატო ნუსხის არარსებობა და საშტატო ერთეულების პარალელურ რეჟიმში შექმნა-გაუქმება, შეუძლებელი ხდოდა დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა ადგილი რეალურად შტატების შემცირებას და არსებობდა თუ არა ამ მოტივით საჯარო მოხელის, ამ შემთხვევაში პოლიციელის, სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვერ ადასტურებდა, რომ არსებობდა ჯ. ა-ის კადრების განკარგულებაში გადაყვანის, სამსახურიდან გათავისუფლების და შემდგომ დათხოვნის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ყველა სადავო აქტი უკანონოდ მიიჩნია და დაასკვნა, რომ სახეზე იყო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთან, დაზუსტებული მოთხოვნისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის არსებული სტრუქტურის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ. ა-ის აღდგენა უნდა მომხდარიყო ...ის სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასა-

ციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებაზე“, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში, მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. მითითებული დებულების მე-8 მუხლის თანახმად კი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი განმარტავს, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების, მათ შორის, პოლიციელების საშტატო ერთეულის შექმნა/გაუქმება დამოკიდებულია დეპარტამენტსა და დაცვის მომსახურების მსურველებს, მესამე პირებს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვებისა თუ ინდივიდუალური შეკვეთების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

კასატორი განმარტავს, რომ დეპარტამენტის მხრიდან ადგილი არ აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპების დარღვევას. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელი, როგორც საჯარო მოხელე, უპირობოდ განუსაზღვრელი ვადით უნდა იქნეს მიღებული სამსახურში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სასამართლომ ჯ. ა-ის დათხოვნის ფაქტთან მიმართებით იმსჯელა ზოგადად, გამორიცხა კანონით გათვალისწინებული სხვა რეგულაციები, რაც ასევე ითვალისწინებს საჯარო მოხელის სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართვე-



ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ჯ. ა-ე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე და ასრულებდა ...ის ფუნქცია-მოვალეობებს.

2014 წლის პირველი აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, ერთი მხრივ, მოქალაქე დ. კ-ა და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი – მ. ლ-ი შეთანხმდნენ მასზედ, რომ „დაცვა“ უზრუნველყოფდა მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვას, რომელსაც განახორციელებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორისა და 2 (ორი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

დადგენილია, რომ 2014 წლის 11 დეკემბერს მოქალაქე დ. კ-ასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსს – მ. ლ-ს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად, დადგინდა, რომ ფიზიკური პირის დაცვას განახორციელებდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ...

განყოფილება: პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორისა და 1 (ერთი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის №151073 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებაში და საშტატო განრიგი ჩამოყალიბდა დანართი №1-ს შესაბამისად, რომლის მიხედვით, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში გათვალისწინებულ იქნა უფროსი ინსპექტორის ერთი და ინსპექტორის ერთი თანამდებობა.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 11 მაისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსმა პატაკით მიმართა სსიპ დაცვის პოლიციის თავმჯდომარეს და აცნობა მოქალაქე დ. კ-ასთან 2014 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, რის გამოც, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ეთხოვა სათანადო ცვლილებების შეტანა ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 16 მაისის №1148139 ბრძანების მიხედვით, 2017 წლის 15 მაისიდან დამტკიცდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საშტატო განრიგში ცვლილებების ჩამონათვალი დანართი №1-ის შესაბამისად და შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 21 იანვარს №14 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო განრიგში, კერძოდ, მოქალაქე დ. კ-ას პირად დაცვაში შემცირდა 2 თანამდებობა.

დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 18 მაისის №... ბრძანების თანახმად, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილებას დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – ჯ. რ. ა-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში 2017 წლის 15 მაისიდან.

2017 წლის 18 მაისს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ. კ-ამ და მისი პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად ერთი ინსპექტორის საშტატო ერთეულის გამოყოფა და აღნიშნულ თანამდებობაზე მისი ნდობით აღჭურვილი პირის დაცვის პოლიციის დეპარ-

ტამენტიის კადრების განკარგულებაში მყოფი დ. ჯ-ის დანიშვნა ითხოვა.

დადგენილად ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2017 წლის 18 მაისს მოქალაქე დ. კ-ასა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება №1664, რომლის საფუძველზეც, დ. კ-ას დაცვას განახორციელებდა ...ის სამმართველოს ... განყოფილება: პოლიციის (შემდგომში მცველი) 1 (ერთი) ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 19 სექტემბრის №... ბრძანების თანახმად, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების განკარგულებაში მყოფი, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ... განყოფილების დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მოქალაქე დ. კ-ას პირადი დაცვის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – ჯ. რ. ა-ე დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 2017 წლის 16 სექტემბრიდან.

მოქალაქე დ. კ-ას 2017 წლის 21 ივნისის განცხადებიდან ირკვევა, რომ ჯ. ა-ე სამსახურიდან გათავისუფლდა მასთან შეთანხმების გარეშე და მის დაცვას ახორციელებდა მხოლოდ ერთი მცველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქე დ. კ-ა მოითხოვდა უფროსი ინსპექტორის – ჯ. ა-ის დაბრუნებას დაკავებულ თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო,

შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების (ამჟამად მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქარ-

თველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებული არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით,

მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყვედთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დაწესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლეა; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი და სოციალური გარანტია, რომელიც დაწესებულია შინაგან საქმეთა ორგანოების მოსამსახურეთათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც

მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი.

ზემოსენებული ნორმები ადასტურებს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი არის საჯარო მოხელე. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პოლიციელის სამართლებრივი სტატუსის შეფასების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასევე ის უფლებამოსილებები, რომელიც ენიჭება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელს. იმავე ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებას. ამ მიზნით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აგრეთვე შეაჩეროს, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიპყროს სამართალდამრღვევი და გადასცეს ის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის, აგრეთვე მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი პრევენციული ღონისძიებები: ა) ზედაპირული შემონმება და დათვალიერება; ბ) სპეციალური შემონმება და დათვალიერება; გ) ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; დ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა; ე) ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება.

პოლიციელის სტატუსისა და მისი ფუნქციური დატვირთვის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ პოლიციელის, როგორც საჯარო მოხელის, საშტატო ერთეულის მიზმა (საშტატო ერთეულის დაშვება ან გაუქმება) ცალკეულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე არის დაუშვებელი, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული უხეშად ხელყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებს, რომლის მიზანია სტაბილური და საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამო-

ყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოხელის სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის ცალკეულ პირთან დადებულ გარიგებაზე დამოკიდებულად მიჩნევა სრულად გამორიცხავს ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვის შესაძლებლობას, საჯარო სამსახურის სტაბილურობის შენარჩუნებას. ასეთ შემთხვევაში, საჯარო მოხელე შეიძენს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსს, ანუ იმ პირის, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. მით უფრო აღსანიშნავია, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ თავადვე ახდენს მოსამსახურეთა დიფერენცირებას და ადგენს, რომ სსიპ-ის მოსამსახურე შეიძლება იყოს სსიპ-ის პოლიციელი, სამოქალაქო პირი, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურე (მუხლი 2). შტატგარეშე მოსამსახურედ, იმავე წესის თანახმად, მიიჩნევა პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება გარკვეული ვადით სამინისტროში ან სსიპ-ში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მე-16 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურე სამსახურში მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, განსაზღვრული ვადით მიიღება: თანამდებობაზე დროებით არმყოფი სამინისტროს მოსამსახურის (გარდა შტატგარეშე მოსამსახურისა) შემცველი – სამინისტროს მოსამსახურის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე; შტატგარეშე მოსამსახურე – დავალების შესრულების ვადით; გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირი; დაცვის პოლიციაში სამოქალაქო პირის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, ჯ. ა-ე წარმოადგენს საჯარო მოხელეს, რომელიც მსახურობს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სისტემაში, მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და დადებული აქვს პოლიციელის ფიცი. სამ-



სახურში მისი მიღება, ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოხდა განუსაზღვრელი ვადით. დადგინდია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე – შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ შტატების შემცირება ან რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, ქმნის პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს, როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ შესაბამისად, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სწორედ იმ გარემოების მტკიცება, რომ ადგილი აქვს შტატების შემცირებას და სახეზეა პირის სამსახურიდან დათხოვნის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომელიც გამოვლინდა საქმის შესწავლის პროცესში. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მომსახურების თაობაზე მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, მიიღება გადაწყვეტილება იმ პოლიციელის სამშტატო ერთეულის შემცირების თაობაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა დაცვითი მომსახურება, ამავდროულად, იმავე დღეს შესაძლოა დაცვითი მომსახურების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა პირთან, რაც იწვევს ახალი სამშტატო ერთეულის დამატებას. შესაბამისად, ამგვარ პირობებში, ერთი დღის განმავლობაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს, როგორც სამშტატო ერთეულის გაუქმების, ასევე მისი შექმნის ფაქტს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ არსებული მექანიზმი, არა მხოლოდ ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის ზოგად პრინციპებს, არამედ ამავდროულად გამორიცხავს სამართლებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, რამდენადაც დამტკიცებული ერთიანი სამშტატო ნუსხის არარასებობა და სამშტატო ერთეულების პარალელურ რეჟიმში შექმნა-გაუქმება, შეუძლებელს ხდის დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი რეალურად შტატების შემცირებას და არსებობდა თუ არა ამ მოტივით საჯარო მოხელის, ამ შემთხვევაში პოლიციელის, სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს მიუთითოს დაცვის მომსახურების თაობაზე მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების ბუნებაზე, კერძოდ, საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის №ბს-901-867(გ-08) განჩინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და შპს „ს-ის“ სააპელაციო საჩივრები განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას დაექვემდებარა. წინამდებარე საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო პირების ხელშეკრულებების საფუძველზე დაცვა, ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.“

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს ევროპის სოციალურ ქარტიანზე, რომლის პირველი მუხლი ხელშემკვერელ მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყონ დასაქმების მაქსიმალურად სტაბილური და მაღალი დონის მიღწევასა და შენარჩუნებას. ქარტიის 24-ე მუხლის თანახმად, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ ყველა მუშაკის უფლება უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე „საპატიო მიზეზის გარეშე“, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე საწარმოს შინაგანანგსიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლება უპირობოდ გულისხმობს სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ვალდებულებას, სათანადო, კანონიერი საფუძველების გარეშე არ დაუშვან დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, და აღნიშნული მოხდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით.

საკასაციო სამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ვერ დაადასტურა, რომ არსებობდა ჯ. ა-ის კადრების განკარგულებაში გადაყვანის, სამსახურიდან გათავისუფლების და შემდგომ დათხოვნის კანონით გათვალისწინებული საფუძველი,

რის გამოც საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ გასაჩივრებული აქტები უკანონოა და სახეზეა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, დაზუსტებული მოთხოვნისა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამჟამინდელი სტრუქტურის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ჯ. ა-ის აღდგენა უნდა მოხდეს ...ის სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)